


d 2497

2

ილ. ალხაზიშვილი.



გუნდა და ცხოვრება

(მეტავრის დღიურიდან).

ილაზიშვილი
— 1897 —

— ა კ ი კ ა კ ი კ —

1897 წლის 10 მაისი

თბილისი.

არამდა ექვთიმე ივ. ხელაძისა.

1897.

ნაწილი პირველი.

მოგზაურთა განთიადი.

Дозволено цензурою Тифлисъ, 11-го Марта 1897 года.

ნატილი პირველი.

63. 174
ს. კ.



მისამართის გათიღადი.

თავი I.

ზამთარში ბარი, ზაფხულში მთა.—ქოროლი და თრიალე-
თის მთები.—მისამართი მოგზაურობისა.—განთიადის ღდე-
ბულენიერი სანახაობა და ჩვენი დაუდევრობა.—მწყვმანი და გუ-
თნის მეხრენი ჩვენზედ ბეჭრად ბელინირნი არიან.—მნათობთა
ცქერით ცაცვილი კაცი ანგელოზად ხდება.—გამირალდნებუ-
ლი შეაღამის ცა.—პირველი მამლის ყიფილი და ხალხში გა-
ვრცელებული ტრუ-მორწმუნოება მავნეთა შესახებ.—ჩვენი ზა-
ქრისტიანობა არა უფრო უფროი ვარსკვლავება, დათუნა, შეუძლებელი და მისგან დაურული ცხვარი.—ხარის ნავა-
ლი და ირმის ნახტომი.—ამათზედ გავრცელებული
ლექსით თქმულობა ჩვენს ხალხში.



თვესულის მზის ცეკვებრ სხივებმა ჩვენც გაგვით-
ბეს გული და აღვეძრა სურვილი მოგზაურობისა.
„ზომთარში ბარი, ზაფხულში მთაო „... ამ ბუნებ-
რივ კანონს სიამოვნებით დავემორჩილეთ და ბარიღვან მთის-
კენ გავწიეთ, იმ მთისკენ, რომელიც წელიწადში ცხრა თვეს
სოფლებს, სამ თვეს ცოცხლობს.

ხალხის გმირი ქოროლი უშლერს ამ თრიალეთის მოებს:

„... სამ თვეს ჰატარძლად მორთულნო,
მთანო, ცხრა თვეს დათოვლილნო...“

მგზავრობა ლამის სიგრილით ვარჩიეთ და უფრო-კი იმ
აზრით, რომ დავესწრათ ლიდებულ მოვლენას — განთიადის ბნე-
ლეთზე გამარჯვებისას.

მართლაც-და მთელს ჩვენს სიცოცხლეს ზოგნი ისე ვატა-
რებთ და ისე ვესალმებით ამ წუთი სოუელს, რომ ძნელად
თუ ვინმე — მეცნიერებზე არ მოგახსენებთ — განგებ და კვირვე-
ბია განთიადის სანახაობას და მისს დიად წეს-რიგს, თითქოს
ბუნების შვილი არ ვიყოთ და მის ნაწილს არ შევაღვენდეთ.

ამ შემთხვევაში მდაბიო ხალხი და მეტადრე მწყემსნი და
გუთინის მეხრები ჩვენზედ ბევრად ბედნიერნი არიან.

რას ბძანებთ! აბა მის უკუთხს რას იგრძნობ კაცი, რო-
ცა სოფლად ხარ, მშობელ ბუნების მკერძს ეხუტები და მას-
თან ერთად იღვიძებ! კას მნათობთა სიღიად-სიმშვენირით,
ზესთა-ზენამდე აღფრთვან გძული სული ჰარობს, გული-გო-
ნება გინათლდება, გისპეტაკდება და ცოდვილი კაცი, ანგე-
ლოზად გარდიქმნები; ჰერძნობ, რომ ცხოვრების ვარამით გა-
ცვეთილი ნერვები (ძარღვები), ამომავალ მზის ცხოველ-მუ-
ფელის სხივებით გეუურნება, გიხლასულება. ყვავლოვანი ბუ-
ნების ცქერით და სოფლური სადა ცხოვრებით სასიამონიდ
მოხიბლული გული მოსკენებას ეძლევა; უკვდავების ჰაერით
თავისუფლად, ხარბად ჰაერნთქავ და ახლად შეკრებილი სიც-
ხოვლით გულის ძერა, სიცოცხლის ხალისი გიძლიერდება.

ნაშუაღამეეს, გაუთენებლივ შევსხედით ცხენებზე და გზას
გაუუდექით.

მოწმენდილი კა კაშკაშ ვარსკვლავებით არის გაჩირალ-

დნებული, ახლად დაბატებული ლამის გუშაგი, თანამავალი დედამიწისა, არსად სჩანს —მისძინებია.

მღვმარე სოფელს კარგა რომ გავყილდით, მამლებმა შექმნეს პირველი რიგის ყივილი. ამბობენ, კარგი მამალი ლამის პირველ საათს არ გადაცდესო. მართლაც, პირველის შესრულებას სამი წამი აკლდა. —მამლის მტკიცე ჩეულება, ანდაზად გადაქცეულა: „მამალი რომ უდროო დროთ დაიყივლებს, თავს მოსკრინონ“.

ხალხში ჯერ აქამდე ის ცრუ რწმუნებაა გავრცელებული, ვითომ პირველ მამლის ყივილამდე მთელი ქვეყანა დაზესკნელი ღმევ ათასნაირი მავნეთი და არა-წმიდა სულით არის სავსეო და რა წამს მამალი იყივლებს, ყველა წყეული ქვესკნელს მიღისო.

კიდეც ამიტომ ჩვენი მეჯინიბე ზაქარო განგებ აგვიანებდა ცხენებს, თანაც რალაცას თავ-დალუნული პირჯვრის წერით ბუტბუტებდა — თურმე, ნუ ბძანებთ, იწყევლებოდა: „დასწყველოს სამას სამოც-და-სამა წმიდა გიორგიმაო“. ახლა-კი, მამლის ყივილის უმალ ჩვენი ზაქარო გამნევდა, გამხიარულდა, თითქოს წისქვილის ქვა ზურგს ეკიდა და უკუ აგდოო.

ამ გვარ ცრუმორწმუნოებისთვის ზაქაროს ბევრმა დაუწყო ხუმრობა. ბოლოს ყველამ ჩამოვთვალეთ ბავშვობისას რაც გაგვეგონა — ალი, მავნე და მეცვდრების ონები.

გზის ნაპირას სოფლის სასაფლაო გვქონდა გასავლელი. ჩვენმა ახალგაზდა თანმეგზავრმა ცხენი გაქუსლა, გზას გადუხვია, ლამის სიბნელეს არ დაერიდა — წინ გავეისწრო. ცოტა ხნის შემდეგ სასაფლაოდან შორით სიმღერის ხმა შემოგვესმა:

„ღმერთო, ღმერთო, მოწყალეო,
არეან მიუის შენგან გიდე,
შენგან კითხოვ შეწევნასა,

რაზომსაცა გზასა კლიიდე:

მტრთა ძღვება, ზღვათა დელება,

ღამით მაკნე განმარიდე,

თუდა დავრჩე, გმისაშერებდე

შენდა სხვერპლსა შეწირედე.“

ლამის პირველი საათია. სამიათასამდე ბრჭყვიალა ვარს-
კილავებით მოქედილი ცა მკრთალ სინათლეს ჰუენს დუმილით
მოცულ არე მარები, ცის კალთებზე ალაგალაგ გაფანტულან
მძიმე დრუბელნი, ხოლო გუმბათი უმთვარო ღამები საამოდ
კრიალებს.

აგერ ჯგუფი შვიდის ვარსკელავისა, დათუნა, ჩრდილო
კიდის ვარსკელავდი, ცის კალთაზე ჩრდილოეთით დაშეებულა,
კალხზე სდგას, თოთქოს კუდზე დაბჯენილაო. ამ სამიოდ საა-
თის წინედ-კი, კუდ-აშეერილი ცის გუმბათზე იყო გამოჭი-
მული.

ახლა მივიხედოთ აღმოსავლეთისკენ. აგერ ხომლი, ჯგუ-
ფი ექვსი ვარსკელავისა, თანავარსკელავდი კუროსი, ძლიერ
მაღლა, ცის გუმბათის შუამდე, ამოსულა და ცოტა არ იყოს
სამხრეთისკენ გადახრილა.

ზაფხულის პირზე, როცა საქონელი საძოვრად მინდვრად
გაპყავთ, ხალხი ძლიერ არიდებს საქონელს ხომლის ამოსელის—
ხომლი დაპკამსო. ამიტომაც გაიოცდილნი მწყემსნი ხომლის
ამოსელის წინედ საღმე ლელეში ჩატეკენ ცხვარს, რომ გორას
მოაფარინა, ხომლს მოარიდონ.

როგორც ჯავახელ მწყემსებმა ამიხსნეს, მხოლოდ საში
დღე არის საშიში—თბილთვის 7, 8 და 9. ამ რიცხვებში ხომ-
ლი აბულის მთასთან ამოდის და უეცრად ცეცხლის ალივით
ამოვარდება ხოლმეო. ამ დროს საქონელს თუ სხივები დაპკ-
რა—გააფუქებსო. საკმარა ორი-სამი საათით ცხვარი თუ სხვა
საქონელი მოარიდოთ პირველ ამოსელის ჭ მერე, რაკი ხომ-

ლი მაღლა და მაღლა წაყა, საშიშო აღარ არისო. თუ თქვენს ახორს (თავისის) სანათური აღმოსავლეთისკენ აქვს, საჭიროა ცხენიც მოარიდოთ.

ხომლის დაკრული ცხვარი ჯანზე ველარ მოდისო, რა-ლაც ნაირ მუწუკებს აყრის ტანზე, ჯანდაკდება და მატყლიც ცუდი აქვსო. როცა ვაჭარი მატყლს იწუნებს, ამბობს: „ხომ-ლის ნაკრავიაო“.

ხომლის ნაკრავ ცხენსაც ბუგრი ეხვევა და ცხეირ-პირზე რაღაც ხაზები დააჩნდება ხოლმეო.

ერთმა ჯავახელმა ბერიკაცმა მითხრა: „როცა გაზაფხულის პირზე, მწერისისა, ხომლი დასავლეთზე გმოჩნდება, გუთანი იგულისხმე—სახნის-საკეთი გაწეიძეო“.

ავიხედოთ ცის გუმბათისკენ,—აგერ ხარის ნაკადი და ორშის ნასტომი (მლეუჩაი ჟუტ), წუხელ საათის ათზე ჩრდილო აღ-ბოსავლეთით წამოსული, სამხრეთ დასავლეთისკენ იყო გადა-შვებული, ეხლა-კი მობრუნებულია, და ცის გუმბათს სარტ-ყელივით გაჰკვრია, რომლის ერთი ბოლო აღმოსავალ-სამხრე-თისკენაა ჩაშვებული, მეორე—ჩრდილო დასავლეთისაკენ. შესა-ხებ ამ ვარსკვლავთა ჯუფისა, რომელიც ვინ იცის რამდენ მილიონ წერილმან ვარსკვლავთაგან შესდგება და რომელსაც მეტნიერნი რძის ჭარბს უძახიან, ჩვენს ხალხში შემდეგი თქმუ-ლება სუფევს.

„ღმერთმა გადმოიხედა და ბრძანა: ადამიანს საშინელი ჯა-ფა ადგია, ამდენს გაკირვებას ვერ აიტანსო“. მოუხმო ცხო-ველთ და უბრძანა: „აბა ვის ძალგისმთ შრომის უღელი გაუ-წიოთ გლეხეაცხაო?“. გადმოხტა წინ ირგმი და დაიჭადნა: „მე მიკისრნია კაცის შრომა“,—დალოცეს და გამოისტუმრეს.

ირემბა იხტუნა, იხტუნა და დედმიწამდე მანძილს ვერ უწია, შეუა გზაზე გასქდა.

„დამიანის შენახვა კერავინ იღვა თავზედა;
ხენა, ფარცხვა, ზიღვი სარჩისა გასჭირდა მეტად ძალზედა.
ხარმა სოფება, პირმა ნათელმა, მე დავიწერავ თავზედა;
მოწიგვდნენ ანგელოზები, დაჭრუცნეს ორთავ თვალზედა;
ჩამოქნენ; წევიღი სანთელი, მაკარეს ართავ რქაზედა;
—წადი, ხარო, მძუშავე, ერთგულად მთა და სარზედა,
აქესი დღე უღელში ები, მეშვიდეს დაწექ მხარზედა;
კინც კეირა-უქმით შეგაბას, ხელი შეახმეს მკლავზედა.“

ხარმა დინჯის ნაბიჯით გამოსწია და მშეიღობიანად ჩა-
მოვიდა ქვეყნად. მას აქეთა ერთგული მეულლე გაუხდა შრო-
მის შეილს გლოცხაუცა...

აი, ი ალაგ-ალაგ რო ხალებივთ ატყვია, ეგ ირმის ნა-
ხტომია და თეთრად რო დიდი ზოლი მისდევს, ეგ ხარის ნა-
ვალი გზა არისო.

ბაეშობისას პირველად რომ ეს ლეგენდა მიამბეს, მახსოვს
ძრიელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზედ. მაგრამ, რამდენიც
შევხდავდი ვარსკვლავებით მოქედილ ცას, მიკვირდა, ეპვი
მტანჯავდა, არა მჯეროდა, რომ ცას იმ სიმალლიდგან ხარი
მანძილს გაივლიდა და ქვეყნად ჩამოვიდოდა. მერე ბებია ჩემმა
ამისსნა: „შეილო, გენაუვალე, უწინ ხომ ცა ასე არ იყო ჩეენ-
ზე დაშორებულიო! ადამიანმა რომ ღმერთი დაივიწყა და ცო-
დო-ზადლი ალარ სად იყო, ღმერთიც იმიტომ გაგვიწყრა, თო-
რემ უწინ ცა ისე ახლო იყო, რომ იალბუზის მთიდამ ხალხი
ცაში ალიოდათ. ერთხელ პატარძალი ჰურს აუზობდა გარეთ
ეზოში, და იქვე თონის ახლო ბავშვი ეღვა კოკინით. ბავშვ-
მა წაიხდინა, პატარძალმაც ცომიანი ხელებით აიღო და ბავ-
შვი თბილი ლავაშით გაწმინდა. ამაზედ განრისხდა ღმერთი
და აგერ ცა ახლა ჩეენზედ რამ სიმაღლეზედ არისო“!..

თ ა გ ი Ⅱ.

ღამის სურათი აჩემარისა. — განთიადის მოლოდინი. — ამომავა-
ლი ვარსკელავი. — უილი და ზაქარიას აზრი. — «ვარსკელავი» ჩა-
მოვარდა. — რა აღმატებული აზრისაა კაცი თავის თავზე! — უს-
ქია ეთ ცას მკათავე — ლეინობისთვე — გიორგობისთვეში. — ცა
ლაქარდი გუბათი როდი! — დედამიწა ბოძებზე-კი არ არის
დამყარებული. — ვარსკელავი მზე. — საშინელი სიღიღე და სი-
შორე ჩვენი მზისა. — თამარ მეფეს რუსთაველი რომ მზე-
სთან მოსაკითხად გაეგზავნა, თავის 700 წლის იუბილეისთვის
პასუხის ჩამოტანას მოასწრებდა თუ არა? — რა სისწრაფით ჩა-
მოდის ჩვენამდე მზის შუქი-სინათლე. — ვარსკელავთა სიშორე. —
რა ნაცუკა რამა საბრალო ჩვენი დედამიწა! — არჩიმედის აზარ-
მაცი. — „მცვევნა ვარსკელავები“ და მათი ვითარება. — არა აწ-
კვიყნის ნივთი (სამაჯური). — ცის უზარ-მაზარი ნატეხი. — უშევ-
ლებელი? უტეორი პეტერბურლის სამეცნიერო
აკადემიაში.



აიწყო ნაშუალამეევის მეორე საათი. ჩვენმა ცხე-
ნებმა, ლამის სიგრილით წახალისებულო, სა-
რულს მოუმატეს, მაგრამ ჩვენ არ ვჩქარობ-
დით — გზა ვიღას ახსოვდა.

აგრე შორით შავად მოჩანს ირგვლივ გა-
ბმული უზარმაზარი მთების აჩრდილი. მთათა
სერ-ქედის ოლრო-ჩილორ მუხლები, ვარსკელავ-
თა მკრთალ შუქზე ბუნდოვან სივრცეში იხა-
ტებიან — ზღვარს ავლებდნ!

მდინარეთა შინიერი და ჩანჩქერთა ჩხრიალი მოგვესმა —
ნიავმა მოგვიტანა.

კანტი-კუნტად ძალლების ზარმაცი ყეფაც ისმის.

ჩვენი ყურადღება მთლად აღმოსავლეთმა მიიქცია — გან-
თიადს ველით, ანუ უკედა ვსოქეათ, ჩვენ გვესურს დაევსწრად
იმ დიდებულ წუთს, როდესაც დედამიწა ამ ბნელეთის სივრ-

ცქან გაიცლის, შემოგვატრიალებს და ისევ მზეს მიგვიცხუნებს.
აგერ ერთი უარსკევლავი”, თითქოს კას მოსწყდაო, ჩა-
მოვარდა, ისარივით წავიდა და ჰაერშივე ცეცხლის ფრად გა-
წყალდა.

— კიდევ ერთი კაცი მოკვდა, — წაიღუდუნა ჩვენთა ზა-
ქარომ...

აღმოსავლეთით, აბულის მთის იქიდგან ნაკვერჩხალივით
ბრჭყვიალა, მშენიერი ვარსკევლავი ამოციმციმდა და მალლა-
მალლა გასწია. სიღიღით ყველა ვარსკევლავს სკარბობს, ხან
ბნდება, ხან ძალზედ ლადლადებს — ყვითლად, ლურჯად ენ-
თება.

ამ ვარსკევლავს რომ შეეხაროდით, იშვიათი რამ სანახავი
ვნახეთ. სამხრეთი უეცრად აენთო, სხივი მოპუნინა და მწრაფლ-
ვე ჩაქრა. მოულოდნელმა სანახაობამ ყველანი გაგვაოცა და
მეტად მშენიერმა სურათმა საამოც აღვიტაცა.

ბუნების ამ გვარ მოვლენას ჩაადა (ვარსკევა) ეწოდება.
ციალი მეტად ძლიერი იყო და მისმა სხივებმა მეტად დიდი
სივრცე მოპუნია ბნელ სამფუზში. ჩრდილოეთის ნაოვას (ცხ-
ვერიე ციქნი) ემზგავსებოდა. ზაქარომ სთქა: „თევზმა შეი-
თამაშა და იმან გაანათაო“...

ხოლო ფიზიკიდმ ვიცით, რომ შორს, შორს სამხრეთით,
საცალა, ელვა-ჭებილი ყოფილა და იქაურმა ელვამ თავის შუ-
ქი შორს სივრცეში გასტყორცნა, სხივი გამფანტა. ჭებილი-
კი იმიტომ არ მოგვესმა, რომ 25 ვერსის სიშორეზე ჭები-
ლის ხმა აღარ ისმის.

კიდევ ვარსკევლავი ჩამოვარდა, ჰაერის სივრცეში ცეცხ-
ლის ზოლი გაავლო და ჩაქრა. ხალხში ის ცრუმორწმუნოე-
ბა არის გავრცელებული, რომ ყოველ ადმიანს თავისი საკუ-
თარი ბელის ვარსკევლავი ჰყავსო — რა აღმატებული აზრისაა კა-

ცი თავის თავზე—და როცა კაცი კვლება, მისი ვარსკვლავიც ჰქონება.

ჩემს ბავშვობაში—კი მახსოვეს, ზაქათალაში ერთს ზაფხულს, მოსწავლენი გარეთ ბალკონზე ძილს ვაპირებდით. ამ დროს „მოსწყვდა“ ერთი „ვარსკვლავი“, ნაკერჩხალივით წამოვიდა და ჩენის მეზობლის ეზოში ჩავარდა. მეორე დღეს გავიგეო, რომ იმ მეზობლის რძალს ვაჟიშვილი მისცემოდა.

ვისაც გსურსთ „ვარსკვლავთა“ ცვინა ჰნახოთ და ამის სანახაობით გაერთოთ, შეხედეთ კას ულრუბლო ღამეში მკათათვის 28, 29 და 30; ლვინობისთვის 31 და გიორგობისთვის 1 და 2 რიცხვებში. ხუთმეტი წუთის განმავლობაში ოცამდე მეტი „ვარსკვლავი“ ჩამოცვივა.

შეიძლება ზოგს მყითხველს ეკონოს, მართლაც-და ვარსკვლავები ცვინოდეს ციდამ!

ეს, რასაკვირველია, დიდი შეცდომა იქნება, რადგან კამართლა ხომ ლავვარდი გუმბათი არ არის და მასზე ვარსკვლავები ჭრაქებივით ჩამოკიდულნი—კი არ არიან, ან დედამიწა ბოლებზე ხომ არ არის დამყარებული, რომ მთელ მსოფლიოს საძირკვლად გაუხდეს!

საქმარა ის გაეიხსენოთ, რომ თვითეული ვარსკვლავი იგივე მზე არის, თავისად ანათებს და ზოგი ვარსკვლავი—კი ჩვენ მზეზედაც უდიდესია! ხოლო ჩენი მზე ისეთი რამ უშველებელი ცეცხლის ბურთია, რომ დედამიწის ოდენა ერთ მილიონ ნახევარი გამოიჭრება. შეიძლება ასეც შევადაროთ: ცალ მხრივ დადეთ ერთი მარცვალი ხორბლისა და მეორე მხრივ დააგროვეთ ერთი ტომარა იგივე ხორბალი. ამ გვარ შედარებით აშეარად წარმოიდგენთ მზის სიღიღეს და სივრცეს დედამიწის წინაშე.

პო და კა ხეირიც დაეყრება ჩვენს დედამიწას, თუ ამოდენა ვარსკვლავი (მზე) წამოვიდა და ზედ დაეცა!

თუ ვიკითხავთ: მაშ რად სჩინან ვარსკელავები მაგრე პა-
ტარებათაო, მეცნიერება ია რა პასუხს მოგვცემს: მაგის მიზე-
ზი ის არის, რომ როგორათაც მზე, აგრეთვე ვარსკელავები
ძლიერ დაშორებულნი არიან, ისე შორს არიან ჩვენზე, რომ
ადამიანის გონებას ვერც-უ შეუძლიან წარმოიდგინოს. უკვე
გამოანგარიშებულია, რომ ჩვენის დედამიწიდამა მის სატრიფია-
ლო მზემდე 140 მილიონი ვერსია! აქედგან რო მზეს ზარბა-
ზანი ვესროლოთ, ზარბაზნის ყუმბარას ათი წელიწადი დრო
დასკირდება, რომ მზემდე უწიოს.—დედამიწიდგან მზემდე ტე-
ლეფონი რო იყოს გამართული, მზეზე ნათქვამი სიტყვის ხმას
დედამიწაზე 13 წლის შემდეგ გაიგონებდით. რეინის გზა რომ
იყოს მზემდე გამართული, რომელიც დღე და ღამ დაუყოვ-
ნებლივ მიგვაფრენდეს მზისკენ, მაშინ ჩვენი მგზავრობა სამას
წელიწადზე მეტს (330 წ.) გასტანს და თუ უკანვე დავბრუ-
ნდით, ექვსი საუკუნე მეტი მოვაუნდებით. ესე იგი, თამარ
მეფეს რომ რუსთაველი მზესთან გაეგზავნა მოსაკითხად, დღე-
საც გზაში იქნებოდა. ან იქნება თავისი უკვდავ პოემის შვი-
დისი წლის იუბილესთვის სამი წლის შემდეგ (1900 წ.) მზის
პასუხით ჩამოგვისწროს?

დიალ, ია ასე შორს არის მზე და, მაშასადამე, ადვილად
შეგვიძლია წარმოვიდგინოთ რა შეუბრალებლად, რამ სიშო-
რედ გასტყორუნა მზემ თავისი ანაგლეჯი, საბრალო ჩვენი დე-
დამიწა.

მზე ხო ასე შორს არის ჩვენზე, მაგრამ ვერ წარმოიდ-
გენთ რა საშინელი სისწრაფით ჩამოადის ჩვენამდე მისი შუქი-სი-
ნათლე! თითო წამში თექვემდეტი მილიონი ვერსი მოფრინამს
მზის სინათლე და დედამიწამდე რვა წამ ნახევარში ჩამოდის!

ვაგრამ, აბა რა სათქმელია მზის სიშორე!

ვარსკელავთა შუქი-სინათლე იმავე სისწრაფით მოფრი-
ნავს ჩვენკენ, მაგრამ ყველაზედ უახლოესი ვარსკელავი, რომლის

ბრეჭვალებითაც ასე ვხიამოკნებთ, ისეთ სიშორებზეა, რომ
ვიდრე იმისი შუქი-სინათლე დედამიწამდე უწევს, სამ წე-
ლიწად ნახევარი ღრო უნდება.

ზოგი ვარსკვლავი-კი, რომლის ბეუტვას ძლივს ვხედამთ,
ისეთ საშინელ მანძილზეა ჩვენზე დაშორებული, რომ ყოვლად
შეუძლებელია მისი წარმოდგენა. ვიდრე ამ გვარი შორეული
ვარსკვლავის შუქი ჩვენამდე მოაღწევს 3500 (სამი ათას ხუ-
თასი) წელიწადი ღრო უნდება მანძილის გავლაში. აგრძ ა იმ
ვარსკვლავის შუქი, ძლივს რომ ბეუტვას, მოსე წინასწარმე-
ტყველი რომ დაიბადა, მას აქეთია წამოსულა და დღეს ძლივს
ჩამოვიდა ჩვენამდე და გამოვგიცხადა თვისი ვინაობა.

ამ ამბების გამგონი აშეარია ვხედავთ, შედარებით რა
ნახუცა რამ ყოფილა ჩვენი დედამიწა. დიალ, ჩვენს დედამი-
წას იმოდენი ალაგი უჭირავს მთელ მსოფლიოს არემარეში
ანუ სივრცეში, რამოდენი ალაგიც ერთ წვეთ წყალს ზღვა-
კეანეში.

მაგრამ, მართლაც და არც ისე მასხარად ასაგდებია ჩვენი
დედამიწა, რომ, როგორც არხიმედმა დაიქადნა: „მომეცით
წერტილი რაზედაც შემძლოს დავაყრდნო აზარმაცი და მთელ
დედამიწას ბურთვით შემოვატრიალებო!“

კაი დაგემართოს, მარა ამ აზარმაცი ანუ ბერკეტს რამო-
დენი ხელის მოსაპილი ტარი უნდა ჰქონდეს, რომ დედამიწას
ნძრევა უყოს! მეცნიერთა გამოანგარიშებით, სინათლეს, რო-
მელიც წამში 16 მილიონ ვერსს მიფრინამს, ექვს ნახევარი
მილიონი წელიწადი დასჭირდებოდა, რომ ამ ბერკეტის სიგრ-
ძე ბოლომდე გაერბინა!

დიალ, არც მეტი და არც ნაკლები.

ახლა ისევ „შცვიფანა ვარსკვლავებზე“ ვიბაასოთ.

ის, რაც ციდან ჩამოვარდება ხოლმე, რომელიც ჩვენ

ვარსკვლავი გვგონია, შეგიძლიათ ოქვენის თვალით ნახოთ ზოგიერთ მუზეუმებში—მგონი ტფილასის მუზეუმშიაც მოიპოვებოდეს. ზოგი ქვის ნატეხს წარმოადგენს, ზოგიც ნამდვილ რეინის ნატეხსა, ასე რომ შეგიძლიანთ მკედელს მისცემ და დანა გააკეთებინოთ. მაგრამ აფხაზები... სჯობს სამაჯური გავაკეთებინოთ სახსოვრად რომელიმე ვარსკვლავისა. განა რომ სასურველი იქნება არა ამ ჭეშნას ნივთი?!.

სსნებული ნატეხები არიან რომელიმე ვარსკვლავის ანაგლეჯის ნამსხვერევნი, რომელიც პლანეტა შორის, ცალიერს სივრცეში ტრიალებენ, სრიალებენ. როგორც ძერას აედევნებიან ჰატარა ჩიტები, ისე ეს ვარსკვლავთა ნამტკრევნი დაედევნებიან ხოლმე დედამიწას ტრიალის დროს. ზოგჯერაც ეს ნამტკრევები ისეთის საშინელის სიჩქარით და ძალით წამოვლენ ხოლმე დედამიწისკენ, რომ მეტის-მეტი გლესით ჰაერშე ენთებიან, იწვიან, ცუცხლის ზოლის ავლებენ და ჰაერშივე ისპობიან. ზოგი-კი ისეთი დიდი ნატებია, რომ ნაკვერცხალივით გახურებული დედამიწამდე უწევს.

გამოცდილებით ვიცით, როდესაც ზარბაზის ტყევა ჰაერში მიფრინავს, ჰაერშივე გლესისგან იქამდე ცხელდება, რომ მცედლის ქურაში გახურებულ რეინასაებ ვარვარებს. ჰოლო დოუ-კი ზარბაზის ყუმბარა 7—8 ვერსის გავლით ასე საშინლად ცხელდება, მაში რაღა გასაკირველია ვარსკვლავის ნატები, რომელმაც უნდა რამდენიმე მილიონი ვერსი გაიაროს ისე გახურდეს, გაელვარდეს, როგორც ჩვენ გვეჩვენება ხოლმც ცის სივრცეში!? სწორედ ეს ფიზიკური კანონია იმის მიზეზი. რომ ზოგი ნატეხი ვარსკვლავისა ჰაერშივე იწვის, ჰაერშივე ქრება და ჩვენამდე ველარ ჩამოდის. უფრო-კი ნამსხვერევთა მტვერი ვერ უწევს ხოლმე დედამიწამდე და ჰაერშივე იწვის გლესის გამო.

ყოფილა არა ერთი მაგალითიც, რომ ციდამ ჩამოვარდნილა

უშულებელი ნატეხი, ვეკართველა კლდე ათასის ფუთის წონის. პეტებპურის სამეცნიერო აკადემიაშიაც ინახება ერთი ამითანა მეტეორი (ჰაერის ქვა) 50 ფუთის წონისა, რომელიც კიმბირში ჩამოვარდა განვლილ საუკუნეში. ეს ნატეხი თითქმის ხალასი რკინაა, მხოლოდ $10^{\circ}/\text{o}$ ნიკელი ურევა.

კაი ხეირს-კი ზეეყრება, ვისმეს რომ თავს დაეცეს ამოდენა „ცის ნატეხი“.

თ ა ვ ა III.

ბუნებას ჩასთვლიმა. — კა გაიხსნა. — ზაქარია ნატეხი. — ხად გვარდია, ფურთქ ცისქის ვარსკვლავად მოგვჩენებია. — რად ქვეიან და კარსკვლავს ქართულად ხარიპარია, თათრულად ქარ ჭან ყრთქნე? — უძროოდ მრგვაც ქარავანი და მისი თვა-გადასხვალი. — შედა ქიარიმა და მშენებელი ასლი. — 32 კბილი სიყვარულის მსხვერპლდ; — მიჯნურთ დუეტი. — დედიშობლა ქიარიშა უმღერს, შესთხოვს ქარვანყრანს — მალე გაათენეთ. — ჯოუტე ტერტერა და მისი მოგონილი თილისმა დარაა. — ქარ-ვანყრენი და უპატიებლად ამოვიდა. — ქიარიმა ხეწნა-ველრება ქარავანისადმი — ნუ ამოხვალ, გაჩრდიო. — ფერადი ვარსკვ-ლავები. — ასლი და ქიარიმა სიყვარულის ცეც-ლით დამწვარნი.



ილის ორი საათი შესრულდა, ერთი პირი ჩა-მობნელდა — ბუნებას ჩასთვლიმა, თითქოს წყალ-მაც-კი ჩაიძინაო.

„ცისა გახსნას შევესწრება
შევენების დამეურებასა,
შენს გამარჯვებას კისურება,
სამშობლოს აჭევაუბასა.“

ამულთან კა გაიხსნა — აღმოსავლეთმა გამოაშუქა. ხალხს

სწამს, რომ ცის გახსნის უმაღლ, რასაც ინატრებ, ყოველივე აკისრულდებათ. მაგრამ ეს დიდებული წუთი ისე უეცრად მოძღვა, რომ ჩვენმა ზაქარომ ვერც-კი მოასწრო სამჯერ ეთქვა:

„ღმერთ! მშე წხოვრება,
ჭონება და წხონება“...

ის ჩვენი სატრუთო ღადლადა ვარსკვლავი თრთოლით, ციმ-ციმით ძლიერ მაღლა, მაღლა ავიდა, მერე მისუსტდა — შიილია.

ახლა ველით ალიონის ნახეას — ცას შევცერით. ერთმა ჩვენმა თანამგზავრმა სთქვა: „საცაა მზე უნდა ამოვიდესო“.

უეცრივ, მოულოლნელად თვალი მოვარით უუმშვენიერესს დიდ ვარსკვლავს, რომელიც აღმოსავლეთით, მთის იქიდამ, ის-ის არის ამოსულიყო, ამოგვპაროდა. საათს დავხედვ და მესამის ნახევარი იყო.

ამ მნათობის სიღიად-სიკეკლუცემ და მისმა ნაზმა თეარძა ჰუქმა მთლად გაიტაცა გული-გონება.

წარმოიდგინეთ, რა რიგ მოვსტყუვდით! აბა რა დროს მზის ამოსულა იყო. თურმე ნამდვიოლი ცისკარი ეხლა ამოვიდა და ჩვენ-კი მთელი ერთი საათი იმ ყვითელ ვარსკვლავს ვეალერსებოდით, შევხაროდით — ცისკრის ვარსკვლავი გვეგონა, მაგრამ ვაი, სირცხვილო! რა უმეტრები ვყოფილვართ ვარსკვლავთა ცნობაში! თურმე ნუ ბრძანებთ, ის ცბიერი ყვითელი ვარსკვლავი ზარიპარა ყოფილა.

ახი კია ღვთის წინაშე, რომ ამ ყვითელ ვარსკვლავს ხალხმა ავაზაკის სახელი დაანათლა, თათრები ქარვანყრანი, უძახიან, ე. ი. ქარავანის გამწყვეტილობა.

ერთხელ, ოდესლაც, ზამთრის ღამეს, სწორედ იმ ღროს. როდესაც ეს ყვითელი ვარსკვლავი ამოსულა, თურმე დიდ ქარავანი ღამის ბინიღამ აშლილა და გზას გასდგომია, რად.

ვანაც ჰელონებით ცისქურის ვარსკვლავი ამოვიდა და საცაა
გათვალისწინებათ. ის-კი არი თუ გათვალისწინებამდე ჯერ შორს იყო.

უცებ უამ მოიქუშა, ამოვარდა ქარი და ბუქმა-ნაშექრმა
მთლად გაწყვიტა უდროოდ მოგზაური, მოტყუებული ქარავა-
ნი. მას აქეთა იმ ვარსკვლავს ქარავანუანს; უძახიან და ერი-
დებიან, მაგრამ მაინც კიდევ ისე სტუუდებიან, როგორც დღეს
ჩვენ მოვსტყუელით.

ქართველებმა სასამართლა იმიტომ უწოდეს ამ ვარსკვლავს,
რომ ლამის მეხრენი ბევრჯელ მოტყუებულიან — ხარი აუშლიათ,
გუთანზე მოურევიათ და გათვალისწინება-კი ჯერ არსად არის!

ამასობაში ცა თუ მოილრუბლა, მაშინ კუშეტ ბნელაში
ხარიც იკარგება. ამბობენ, ამ დროს ხარი საბალახოზე ვაი-
წევს და გაიპარება ხოლმეო.

სასამართლა ვარსკვლავი, ქარავანუანს, ბევრს ლექსებშია მო-
ხსენებული თათრულ ენაზე. აი ერთო საინტერესო ნიმუში.

ვიღაც ხანის შვილი, სახელად ქიარიმა, სიზმარში წახავს
თავის სატრფიალო ქალს, მისი სილამაზე ჩირჩება გულში და
ჰელად მიდის. აშული ქიარიმა დადის თარით და დაეძებს ქა-
ლაქსა და დაბგებში თავის გულის სატრფოს. ბევრი მოგზაუ-
რობის და ხერიალის შემდეგ ჰპოვებს ერთს უმშევენიერესს
ქალს, რომლის მსგავსი სულთანის ჰარამ-ხანაშიაც არ მოიპ-
ვებოდა. ეს ქალიშვილი სომხის მღვდლისა აღმოჩნდა, სახე-
ლად ასდა.

ქიარიმას გაუძლიერდა გულში ანთვებული სიყვარულის ცე-
ცხლი და დაუწყო განუწყვეტელი ტრფიალი თავის მიჯნურს.
ასლისაც ბოლოს და ბოლოს შეუყვარდა ქიარიმა. გაბეჭდებუ-
ლი ტერტერა აიყარა და მალულად სხვა ქვეყანაში გადასახლ-
და.

მაგრამ რა არ შეუძლიან ყოვლად ძლიერ სიყვარულს!
ქიარიმამ ბევრი ტანჯვა და ვაება გამოიარა, იმედ გადაწყვე-

ტოლმა კინალაშ თავიც მოიყლა. პაგრამ ბოლოს მაინც მიაღწია მიზანს —ხელ მეორედ იპოვა თავისი გულის სატრფო, მშევნიერი ასლი.

ტერტერას ცოლმა თურმე კბილების ექიმობა იცოდა და წესათაც ის ჰქონდა, ვისაც კბილს აძოულებდა, თავს ასლის კალთაში ჩაადგინებდა, რა არის, ასლის სილამაზემ გაიტაცოს და მუხლებთა ელექტრონის გამო კბილის ტკივილის სიმწვავე ვეღარ იგრძნოს.

ამ გარემოებით ისარგებლა ქიარიმამ, მოიავადმყოფა თავი და სხვაფრით ჩატმული, სახე შეცვლილი, მივიდა ტერტერას სახლში ყბა ახევული. შეცვლა ტერტერას ცოლს, . დაუძახა თავის ქალს. ასლიმ მოიკეცა. ქიარიმა ოხვრით და კვნესით წამწვა და თავი ასლის კალათაში ჩადო.

ასლი გულმტკივნეულად ნუგეშს სცემდა; ტერტერას ცოლმა კბილი უკვე ამართო, მაგრამ ქიარიმა ისეთ ნეტარებაში იყო და ისეთი სამოთხე პპოვა ასლის მშვენიერ შავს თვალებში და ისეთის მოსვენებას გრძნობდა მის ხშირ წამწამთა ჩრდილში, რომ არც-კი უგრძენია ტკივილი საღი კბილის ამოგლეჯის დროს. სიყარულით დამთვრალი, დაბნედილი ქიარიმა ძლიერ მოიყვანეს გონს, —ეგონათ გული წაუვიდა კბილის სიმწვავითაო. ქიარიმამ ვაშით და ვიშით უსაყველურა: ეგ კბილი შეცდომით ამოგილია, ის ეს კბილი მტკივაო. მეორე კბილიც რომ ამოულეს, ქიარიმამ კიდევ შარი მოსდო და ამ გვარად 32 კბილის ამოგლეჯა ირჩია და ასლის თბილ კალთიდამ თავის აღება-კი არა. ბოლოს გაუგეს ეშმაკობა, იცნეს ქიარიმა და რის ვაი-ვაგლახით დაითხოვეს სახლიდამ.

ქიარიმა უფრო გაგიედა. გადასწყვეტა — უსიკედილოდ მე ასლის თავს ვერ დავანებებო! გადაეკიდა ტერტერას: ვიწვი, შემიბრალე, ასლი მე უნდა მომცეო. ტერტერამ, რომ ვეღარას გზით მოიშორა, უთხრა: თუ ამ ზამთრის ლამეს დედიშო-

ბილა ჩვენს ბანზე გაათქვებ, მაშინ ასლი შენთვის მომიციაო.

სიყვარულით აღგზნებული ქიარიმა არც ამ განსაკდელს დაერიდა, თარით ხელში ავიდა ბანზე და ისეთის ტკბილის ხმით უმღერდა თავის სატრუქს, რომ ასლისაც გულმა ვეღარ გაუძლო და სიმღერით ოდიდამ პასუხს აძლევდა. ეს სამიჯნურო დუეტი ძლიერი მგრძნობიერის სიტყვებით არის აღსაცე.

ზამთრის ბუნებამ არ შეიბრალა ტანჯული მიჯნური, ღამის სასტიქმა ყინვამ სიყვარულის ცეცხლი გაანელა და გაუმწარა ქარიმას ასლისთან ტრფიალება. სიუკისეგან შეწუხებულმა ტან-შიშველა ქიარიმამ სულთქმა-უშით, თრთოლით, ძაგძაგით შესტირა ქარვანყრანს—ხარიპარია ვარსკვლავს: ამოდი მალე, გათვდეს ჩქარა..... დამიხსენ ამ ტანჯვისეგან შენ, ჩემო მოსისხლე მტრო, ლურჯ-ყვითელო მნათობოო.

ჩამოჰკრა სიმებს და უმღერა:

„სარი იღდზ, მავი იღდზ
უანღმ თღდნ ქარგანურან.
საბაზ თღმაზ, ბანა იაზეს,
უანღმ თღდნ ქარგანურან!

დურჯ-ყვითელო მნათობო,
ჩემო მოსისხლე ქარგანურან,
არ გათენდა, მე გიტანჯვი,
ჩემო მოსისხლე ქარგანურან“!

—
„სანნა ქარგან ურან დელდარ
ბანა დართლი ქარიმ დელდარ,
სანმ ასღმა შაბან დელდარ
უანღმ თღდნ ქარგანურან.“

შენ ქარგანურანს გამახიან,
შე დარღიან ქიარიმას,
ასდისათვის სევდანსა,
ჩემთ მოსისხლეებ ქარგანურან!

რა ტანჯვით და ვაგლახით მაინც გაათენა სულ გამწარე-
ბულმა ქიარიმამ. ხუცესმა რომ ვეღარა გააწყორა, დალოცა ქია-
რიმას და ასლის სიყვარული.

ეხლა-კი დაუდგა ქიარიმას ბედნიერი წამი და მიაღწია ტან-
ჯვით ნაპოვნ გულის წალილს, მაგრამ ტერტერას მაინც გულ-
ში შერი ჩაუვარდა. შეუკერა თავის ქალს თილიმა დარაია
(კაბა), რომელიც ასე იყო მოწყობილი დუგმებით: ერთი პი-
რი რომ გაიხსნებოდა, მეორე ისევ იკვროდა—ვიდრე შეკ-
რულ დუგმებს გახსნი, გახსნილები უკვე იკრიან. ტერტერამ
ჩაუვა ასლის ეს თილიმა დარაია და უთხრა სიხარულით გა-
გიჟებულ ქიარიმას: უკანასკნელად უნდა გამოვადო, რამდე-
ნად გიყვარს ჩემი ქალით: თუ გათენებამდე გაუხსნი ასლის
დარაიას, მაშინ შენია და შენი ჩემი ქალით. ეცა ელდა ოც-
ნებით გატაცებულ ქიარიმას, რომელიც ლომოდა გულ აღზნე-
ბული და გაელვარებული ტუჩებით ახლა-კი დასწაფოდა ტანჯვით
ნაპოვნს უკვდავების წყაროს, მაგრამ იმედი და სიყვარული
ამხნ ევებდა...

იწვის და იწვის ქიარიმა ასლის სურვილით, მაგრამ ვერას
გახდა—ვიდრე სიყვარულის ციებისაგან აკანკალებულ ხელე-
ბით მეორე დუგმას (ხრიკას) გახსნის, პირველი უკვე იკრის.
ამასობაში აგერ გათენებამაც მოატანა,—ქარგანყრანი ახლა-
კი დაუპატიჟებლად თითონ ამოვიდა.

— „დონ! დონ!—დაბრუნდი! დაბრუნდი! შე ჩემო მოსი-
სხლე მტერო, — უესახა გონება მიხდილმა ქიარიმამ. მერე ისევ
ვარსკულავებს შესტირის და ეხვეწება მუშთარს, ზუალს და სხვა

მნათობთ: შედექით, შემიბრალეთ, მოიცათ თქვე ჩემის ცო-
ლეით სავსენო, ჯერ ნუ ამოხვალთ, ნუ გაათენებთო.

"

სარი იღდზ, მავი იღდზ
ზოჭრა იღდზ, ზუაღ იღდზ
მუშტაღ იღდზ, თაბა იღდზ*)
ყანდმ ოღდნ ქარგანერან.

ბოლოს, როგორც ხალხი ამბობს, ქიარიმა სიყვარულის
ცეცხლით იქვე სატრფოს კალთაში დაიწვა.

ასლისაც მოვკიდა გულში ცეცხლი, გულამზსკვნით ხმა
მალლა ატირდა, დაუძახა სწორ-მხნაგთ, ერთი პირი იმ-
ლერა მწვავე სირცვებით, მერე კეუზე შეიშალა, პირიდ-
გან ცეცხლის ალი წასქდა და თითონაც დაიწვაო... ასე გვი-
ხატავს ამ მიჯნურობის სცენას არაბთა აღგზნებული ფანტა-
ზია.

*) ილდზ ვარსკვლავია თათჩულად (არაბულად), სარი—ყვითელი,
მავი—ლურჯი. უნდა შეენიშნოთ, რომ მართლადაც, როგორც ასტრო-
ნომიიდგან ვიცით, ფერალ-უერადი ვარსკვლავები ბევრია.—საცეცხლურ
ანალიზით 1869 წ. მეცნიერმა სეკკიშ ოთხი ათასმდე ვარსკვლავის
ფერი გამოიკვლია, რომელთა შორის აღმოაჩინა ზოგი წითელი, ზოგი
ყვითელი, ლურჯი, მწვანე და სხვა ფერისაც. რა ქვეყანასაც ეს ფერადი
ვარსკვლავი უნათებენ-მზეობენ, იმ ქვეყანაში ღლებ შესაფერი ფერისა
იქნება. ამ გვარად ზოგი ქვეყანა წითლად იქნება ღლისით განათებული,
ზოგი ლურჯად, მწვანედ და სხვ...

თ ა გ ი IV.

ცისკრის ვარსკვლავის სიმშევენიერებ მოგვაჯადოა.—ტოროლა
და განთიადი.—ბედნიერი მდაბიო ხალხი სიღვან იქრეფს ახალ
ძალას უხოვრებაში საბრძოლველად.—ნამდეილი მთიები,
განთიადის ვარსკვლავი ერში და მისი ვითარება.—ჩვენი დე-
დამიწაც ზოგჯერ კედ უ-ვარსკვლაობს.—გზად მიმავალი ავ-
თანდოლი ცას შესტიროდა, უმღერდა.—დიდებულ
შოთას ჟეღიწევნით სკონი ასტრონომია.—
ურანის და ნეპტუნის რუსთაველის შემდეგ აღ-
მოაჩინეს.



იმშევენიერებ ცისკრის ვარსკვლავისამ ისე მო-
გვაჯადოა, რომ მთლად ქერად გადვიქეცია...
ცხენებიდამ ჩამოქადით და იქვე ერთ გორაკზე ;
მწვანე ხალიჩაზე დავისცენეთ...

მთელ არე-მარეში სრული დუმილია, მხოლოდ ისმის ჩეე-
ცხენების ხარბი ხრამუნი.

უეცრივ ტოროლა აფთხრიალდა, ჰაერში ავიდა, ავიდ...
ბუნებას „გიხარღდენი“. უგალობა და მთელს არე-მარეს ამც-
ნო, ახარა გათენების მოახლოება.

დიდება შენდა, ძალო ბუნებისავ! ქს ერთი წიწწნა ფრი-
კელი თავის დღეში არ შესცდება, რომ განთიადი დროზე არ
ამცნოს მთელ ქვეყანას!..

აგრე შორით მოგვესმა ურმის ჭრიალი... სამწუხაროდ
ურმულ ხმას, რომლის სმენითაც სიამოვნებს კაცი ქართლ-ა-
ხეთ-იმერეთში, აქ ჯავახეთში ველარ გაიგონებთ, ასე მძიან
იყო სსმალთა უღლიო... მაგრამ ქვეყნისთვის არ გვცალდა...
ისევ ცას შევხდოთ.

ოლონდაც ბედნიერია მდაბიო ხალხი, რომ ცისკრის ვარ-
სკვლავის ცქერით ყოველ განთიადისას გული-გონება უნაოდ-
დება და ახალ ძალას იქრეფს ცხოვრებაში საბრძოლველად.

ჩვენც ხარბად დავეწიუენით ამ უკელავების წყაროს და ხანგრძლივ დაცსტებით ციურის შშვენებით, მთიების ცქერით.

ეს იყო ნამდევილი მთიები, განთიაღის ვარსკელავი ერმი, რომელიც სილამაზით, სიკელუპით და ბრძყვიალებით ყველა პლანეტას სკარბობს—მზის და მთვარის შემდეგ ერმი ყველა ვარსკელავზე ძრიელ ანათებს. ჩვენი საყვარელი ცისკრის და მწუხრის ვარსკელავი—მზის ჩასვლის შემდეგ დასავლეთით ბრწყინავს და განთიაღის წინ აღმოსავლეთით. ამიტომაც უწინდელ მეცნიერებს ერმი (ვენერა) ორ სხვა-და-სხვა ვარსკელავად მიაჩნდათ—აღმოსავლეთით გამოჩნდებოდა დაუწინებელი ეძახდნენ ე. ი. განთიაღის წინამორბედს და დასავლეთით რომ გამოჩნდებოდა კესჭერს ეძახდნენ, ე. ი. მწუხრის ვარსკელავს. ბოლოს ძლივს მიხვდნენ, რომ ორი ვარსკელავიკი არა, ეს ერთი და იგივე პლანეტაა, რომელიც ხან წინ უსწრებს მზის ამოსელას, ხან თან გისლებს და მზის ჩასვლის შემდეგ დასავლეთის ჰორიზონზე ჩემება.

მეცნიერები გვარწმუნებენ, რო ცისკრის ვარსკელავი და ჩვენი დედამიწა ერთმანერთს ძრიელ ჰგვნანო: რა ნივთიერებიდამც ჩვენი დედამიწის სხეული შესდგება, იმავე ნივთიერება რებიდგან ჟენერა (ცისკრის ვარსკელავი) შესდგებაო; ვენერაზედაც მოიპოვიან უზარ-მაზარი მთანი და ლრენი; როგორც დედამიწაზე—იქაც ჰაერია, რომელშიაც ლრუბელნი დაცურავენ და სხვ... აქედამ ის დასკვნა გამოჰყავთ და შესაძლებელიც ჰგონიათ, რომ იქნება ვენერაზედაც ჩვენისთანა გონიერი არსებან ცხოვრობენო და იქნება, როგორც ჩვენ ვენერას ვიკვლევთ, ისინი კიდე ჩვენ პლანეტას, დედამიწას, იკვლევენ და ათვალიერებენო.

როგორც დედამიწას არა აქვს თავისი საკუთარი შუქი, ისე ცისკრის ვარსკელავია სრულებით შევი და ბნელი, ხოლო მზისაგან მიღებული შუქ-სინათლით ასე ძალზე კაშკაშებს და

საამო ბრძევიალებას ჩვენ კენ გზავნის. დღისით, შეტადრე ზაფხულობით, როცა ჩვენი პლანეტა, ძალზე განათებულია მზის გამო, მაშინ ჩვენი დედამიწა ვენერაზე მცხოვრებთათვი-საც ისეთივე კექლუცი ვარსკვლავი იქნება, როგორც ვენერაა ეხლა ჩვენთვისა.

ეს! გვრწამს და გვიწამებია მეტნიერთა გამოკვლევანი და მათი აზრი, მაგრამ მაინც ვინ დაგვიშლის თავი ოცნებას მიუ-ცე და ამ ლამაზ ვარსკვლავს სრულის ილლიუზით ვეტრ-ფიალოთ.

ვარსკვლავი, ვენერა, უფრო იმიტოა კექლუცი, რომ არ თრთის, არც ციმულებს სხვა ვარსკვლავსავთ, რის გმიც საამოდ ნაზად, თეთრად აშუქებს, შეტადრე ეხლა, უმთვარო ლამეში სრულის ძალით და მშვენებით მეფობს.

ეს ის მნათობია, რომელიც არაბულად რტარიდად იწოდება და რომელსაც გზად მიმავალი ავთანდილი, ცას რომ შესტრიროდა უმღერდა:

„აჯა, მოწმობენ ვარსკვლავნი შვიდნივე მემოწმებაან:
მზე, ორარი და, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებაან,
მთვარე, ასპიროს, მარიზი მოკლენ და მოწმად მუკებაან,
მას გააგონე, რანიცა ცეცხლნიც უშენოდ მდებაან“ (*).

*) ორარი დი არაბულათა, ერმი ქართულად, *Venera* (ვენერა) ლათინურად.

‘ მუშთარი არაბ., დი ა ქაზთ., *Iupiter* (იუპიტერ) ლათ.

ზუალ არაბ., კრონის ქართ., *Saturnus* (სატურნუს) ლათ.

ასპიროზ არაბ., აფროდიტი ქართლ., *Mercurius* (მერკურიუს) ლათ.

.

მარიზ არაბ., არია ქაზთ., *Mars* (მარს) ლათ.

ბერძენი და ლათინი თავიანთ მითოლოგიურ ლმერთების სახელებს დაანათლებონენ ხოლმე ყველა პლანეტებს. ამიტომაც ცისკრის ვარსკვ-

აქ არ შეიძლება არ მივაქციო მყითხველის ყურადღება, რომ დიდებულ შოთას ზედმიწერნით სუოდნია ასტრონომია ვარსკვლავთა-მრიცხველობა). ზემო მოყვანილ ტაქტში უკვდავ ოცრს არა აქვს მოხსენებული მხოლოდ ის თრი ვარსკვლავი, ურსასია და ნეპტუნსია, რომელნიც რუსთაველის შემდეგ აღმართინება.

ურანისი (Uranus ბერძნ.) 1781 წელს 13 მარტს ინგლისის ასტრონომმა ვილიამ ჰერშელმა აღმოაჩინა, ხოლო ნეპტუნისა (Neptunus ლათ.) — საფრანგეთის ასტრონომმა ლევერიემ.

მეტის-მეტად გასოულარის ამ მეცნიერის ნიჭი! ლევერიემ 1846 წ. 31 აგვისტოს, პარისის სამეცნიერო აკადემიის წარუგინა თავისი შესანიშნავი გამოანგარიშება, რომლითაც იგი სტკიცებდა, რომ ამა-და-ამ დროს, ამა-და-ამ ალაგას კაზე უკველად უნდა გამოჩნდეს ახალი მნათობი (პლანეტი), რომელიც 36-ჯერ უფრო დაშორებულია მზისგან, ვიდრე ჩევრი ლანეტი, დედამიწაო,— 4170 მილიონი ვერსია მზიდამ ნეპტუნამდევ!!... ამასთანავე ახალი პლანეტი სიღილით 85-ჯერ უტია დედამიწაზე და მზის გარეშემოვლაზე 165 წელიწად გრძნობით 24-ჯერ მძიმეა დედამიწის სხეულზედაო. პლანეტა ურანისიც ცოტა დედამიწის გარსკვლავის (ნეპტუნისის) ზედგავლენის ქვეშ იმყოფებაო.

27 სექტემბერს იმავე წლისას უკვდავმა მეცნიერმა ლევერიემ წერილით აცნობა ბერლინის ასტრონომს გალლეს და ხომვა ამა-და-ამ ალაგს მონახეთ კაზე ჩემ მიერ აღმოჩენილი აღი ვარსკვლავი, რადგან თქვენი (გერმანიული) იარაღები უურბინდი, ტელესკოპი) უფრო ნამდვილნი არიანო.

ეს, რადგან ყველა ვარსკვლავზედ კავლუსია, მშეენიერების ღმერთას ელი, ვენერა, უწოდეს.

ავტორი.

გალლებ იმავე საღამოს იპოვა ლევერიეს ახალი მნათობ-
ბი წერილისა და სწორედ იმ ალაგასაც, რა ალაგზედაც ლე-
ვერიებ ცაჟე მიუთითა და ანიშნა, თუმც-კი ლევერიეს თეითონ
თვალითაც არ ენახა და მხოლოდ გარანგარიშებით, გონების
თვალით მიხვდა გამოჩენილი გენიოსი.

თ ა ვ ი V.

რიერაჟის სუსხმა ნაბდები მოგვანახენა.—გაციებული დედა-
მიწა თრთოლით, ცახუასით აღმოსავლეთს შეკურტებდა, შე-
სთავოდა.—განთიაღის შარაუნდებმა უფსერულს გასტყორცნა
კეკლუს ბუნების ღამის მანდილი.—თეთრად გათენდა.—თვალ-
წინ წარმოვიდგა ხელოუქმნელ დეკორაცია.—სიაფელმა გა-
იღვია, —ნახირი აიშალა.—ღიღებული კონცერტი მთელს
აჩე-მარეს მოერთო, სული შთაბეგერა.—ალიონის ცეცხლი.—
ღრუბელთა ფერხული,—უსამზღვრო სივრცეში სურათენად
გაიფანტნენ. —გველ-ვაპნი და მათი ბრძოლა ამომავალ მზის
სხივებთან.—სხივების გამარჯვება-ნავარდობა.—უაში მზე იყო,
ქვერალ-კი არა.—დღის მათობმა მსოფლიოს მოჭიი-
ნა სიუოცხლით სავსე შეიძლება სხივები.—ყოველი
სული აქებდა და ადიდებდა.—მაშ მზისკენ, ბატონე-
ბო, მზისკენ!!...



იქრაჟისას სიცივის სუსხი ღიაღაც ვიგრძენით.
ისევე შევსებდით ცხენებზე და გზას გავუდექით,
სიცივებმ ნაბდები მოგვანახენა. დადგა ის წამი,
როდესაც დედმიწიმ, რაც დღისით მზისაგან გუშინ სითბო
მიეღო, ღამით მთლად დახარჯა—სივრცეში გაპფანტა. მეტად-
რე ამისთანა მთა ადგილას (6—7 ათას ჭუტის სიმაღლეზე),
ჰაერის სითხელის გამო დედამიწა აღვილად ჰყარგავს მზისაგან
მიღებულს სითბოს.

ცისკრის ვარსკვლავი, მშევნიერი ერმი, ბრჭყვიალ-კაშა-

შით ღამის წყვლიატს ელევასაებრ მოედო და განთიაღის ჟარა-
ვნდედმა უფსკრულს გასტყორუნა კექლუც ბუნების ღამის
მანდილი. ვარსკვლავებმა მთლად დაარგვეს თავისი ბრწყინვა-
ლება—ოციოდე აქა-იქ ძლიეს-ლა ბეუტავს. თვალი უერუ-კი
შეესწარით, რომ ყველა ვარსკვლავი სანთელივით ჩაქრა. მხო-
ლოდ ცისკრის ვარსკვლავი-ლა დარჩა მინაზებული.

„ღმერთო, გინ მისწედეს შენგან ქმნილს,
მის უერ-უთვალავს მშენებას?
სიბეჭდეს აჭრთბ ნათელით,
სიგვადილით ჭაბადაგ ცხოვრებას!“

საათის ოთხი სრულდება და იქამდე გათენდა, რომ მსხვი-
ლად დასტაბბულ სტრიქონებს ვარჩევ. აპა თეთრად გათენდა.
მიბინდებული ცისკრის ვარსკვლავიც საცაა ჩაქრება. ფარდა
აეხადა მძლავრს ბუნებას და თვალ-წინ წარმოგვიდგა ხელო-
უქმნელი დეკორაცია თავისის მშევნიერებით.

ვიშ ამ სიტურეფს, დიდ მშევნიერსა სანახაობას! თავზედ
შეურავს მოკრალე ლავაზრის ცის გუმბათი და ფერხთ უგია
მწვანედ მობინე, ხავერდებრი მინდორ-ველი, დილის ცვარით
ნასხურები.

სრულებით გათენდა, მაგრამ ალიონი-კი ჯერ არსად არი.
სოფელმა გაიღვია. ნახირი აიშალა. დიდებულ სცენაზე
მყუდრო ღუმილს მწყობრად მოჰყვა ღიღებული კონცერტი:
სტვენა-გალობა, უიგილ-ხივილი, ჰიკეი-პუკუკუკი, უივეოვ-ელა-
ვილი, ბზუვილ-ქრიქნი, შევილ-ჩხრიალი, შრიალ-ბიბინი, ყი-
ვილ-კანი, ბლვილ-ბლუვილი, ჭრიალ-ლრიალი, ცეფა-კნავი-
ლი, ჭყივილ-ჭიხვინი, ცვირილ-ძახილი, მღერა-ლილინი, სიცილ-
ხარხარი, ერთობ, ერთ-ხორც შესხმული, ერთ-პარმონიად, ერთ
საგალობლად გადაჭული მთელს არე-მარეს მოერთო, სული
შთაპბერა.

ორ საათზე მეტმა დრომ გაიარა მას აქედ რაც ცისკარი
ამოვიდა და ალიონი-კი მხოლოდ ეხლა გამოჩნდა. აგერ აღმო-
სავლეთს მოეკიდა ალიონის ცეცხლი—დიდი სიცრცე ცისა
მუქად გაწითლდა.

„ზშეო ამოდი, ამოდი
ნე ეფარები გორასა,
სიცივეს კაცი მოუკლაეს
საწყალი აგერ გორასა“.

მთის კალთებზე ნამინარევი ჯანლი მძიმედ, ზლაზნით
აბარედა, მალლა-მალლა გასწია, იქ ლრუბლად გარდაიქცა და
მთებზე მძინარე ბუშერაზი ლრუბელნი მუჯლუგუნით დააღვი-
ძა. ასტყდა ალიაქოთი და ფერხულ-ჩაბმული, მთელი გუნდი
უშეველებელი თეთრ ლრუბლებისა თავშიშველა მთებს სპეტაკ
გვირგვინად დადგა. მერე მძიმე, მძიმედ, დარბაისლური ნე-
ლის ცურვით, ჰაერი განაცეს და ცის კამარას ფერად-ფერადად
მოყვინენ.

აგერ წავიდ-წამოვიდნენ, ნაგლეჯ-ნაგლეჯად ჰაერის ოკე-
ანოს ლურჯ ზეირთებში შეერივნენ და უსამზლერო სიცრცე-
ში სურათოვნად გაითან რნენ.

კერ წარმოიდგენთ, რა სანახავს შევესწარით!

სად იყვნენ, სად არა, თითქოს უდარაჯესო, უშეველებე-
ლი, მძიმე ლრუბლები ერთად დაგროვდნენ, გველ-ვეშაპები-
ვით მისცვივდნენ აღმოსავლეთს, მზის სხივები მთლად შთანთ-
ქეს, ქვეყნად აღარ გამოუშვეს...

მართლა-და საშინული ბრძოლა ასტყდა. უზარ-მაზარ ლრუ-
ბელთა გუნდებს ამომავალი მზის სხივები შეებნენ, დასძლიეს
და ამოდენი გროვა ლრუბლებისა სისხლით შეილება, ჯიგ-
რის ფერად გაიქცინთა.

შშევენიერის ფერადებით დაიხატა ცის კამარა: დელატიწის-კენ მზის სხივებმა რომ ვეღარ გამოატანეს, ცის სივრცეში მალ-ლა, მალლა გაინაერდეს, ცეცხლივით მოედნენ და უაზედ გაფანტულ ღრუბელთა ნაპენტებში დაიმსხვრნენ, რის გამოც მთლად ცის გუმბათი, შორს დასავლეთამდე ათას ფერად საუ-ცხოოთ აჭრელდა...

ცაში მზე იყო, ქვეყნად-კი არა. ასე გასტანა მთელმა სა-ათბა.

ბოლოს ჩვენკენაც გადმოსჩქეფა სიცოცხლის წყარომ. დღის მნათობმა, აღმოსავლეთის ცეცხლის ბორბალმა, უხვად მოჰყინა სიცოცხლით სავსე შეიდ-უერა სხივები.

ყოველი აჩსება, აძომავალ მზის სხივთა ძალით გაცხოვ-ლებული, ერთ ხმად ლხინობდა და სისხლ გამობარა, ძალ-შეკრებილი მზის სხივებსავე შექახოდა, აქებდა და ადი-დებდა:

„დიდება შენდა, მზეო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო, დიდება შენდა დიდებულო წყაროვ სითბოსა და სინათლისაო. ზენ გვაძლევ დღეს; შენი სითბო აღორთქლავს ზღვა-ოკეანე-თა, რათა შეგროვდნენ ღრუბელნი, და მოუვლინონ დედამი-წას სიცოცხლის მომფენი წვმა; შენ აღივებ და აჯეჯლებ დათესილ მარტვალს; შენ ჭრდი მცნარეს, ააყვავილებ და გამოიწვევ ნაყოფს, ამწივებ ხილს; შენ ანადგურებ, აღნობ ზამთრის თოვლს—თოვლის ზვინებს და მწვანით ჰმოსავ, ყვა-ვილებით ჰქარგავ მინდორ-ველო, ჰალა-ლელეებს. შენ აყვითლებ ოქროს ფერად ჩვენ მსაზროვებელ ყანებს და აწიუებ გულის მომლენ ყურძნის მტევნებს, უშენოდ ჩვენ ჩავცვივდებოდით საუკუნო წყვდიაღში და შევიმოსებოდით სიკედილის მომფენ ყინვა-სიცივით, უშენოდ ყოველივე სიცოცხლე მოისპოდა, გა-ქრებოდა; ყოველივე ცხოველი და მცნარე და თვით ჩვენ ც „ზეფენი ბუნების“, გაეწყდებოდით, რადგან საცა მზის მაღ-

ლი, სითბო და სინათლე არ არის იქ სიცოცხლე ყოვლა
შეუძლებელია“.

მაშ მზისკენ, ბატონებო, მზისკენ!

მზისკენ შენ, მდიდარო, პალატებში ფუფუნებით გაყვია
ლებულო! მზისკენ, შენ ღატაკო, სარდაფებში მიკრობები
დამპალო!..

ნაწილი მეორე.

ტაგიფურის ტბა.

ნაწილი მეორე.

ტაბიფურის ტბა.

თ ა ვ ი I.

ცისკრის ზარი.—სოფ. კაჭილაძ ტაბიფურის ტბისკენ.—ჩვენი ქალები მეფე ერეკლის ფაერონით.—სარჩია-საკვების ჩავრცელება.—მომწვანოდ მობიბინე ყანა ენკენისთვემდე.—ჯავახური ში მეა არ იციან.—ანეულები.—ღვთივ-კურთხეული მძღვრი ბურება რფლის დაგვარად აჯილდოებს.—ჩვენმა ქალებმა „კალო დასძლიეს“.—თოვლ-ზოლიანი კალო.—ას, სად არის სალეჭი მაშინა?!


კვე აეცილდით ბაქან-ბაქანად სახნავ-სათესად
მოვაკებულს მთის კალთას და ფერდოებს უწინეთ,
როდესაც შორით მოგვესმა ცისკრის ზარი და ჩვენთან ერთად ყოველი სული აქებდა
და მაღლობდა ზესთა-ზენას, ცისა ჭ ქვეყნის დამბადებელსა. ღიღი მანძილის გავლა აღარ და-
გვპირდა, პატარა ხევი გავიარეთ და ჩამოვხ-
დით ერთს სტუმარ-მოყვარე მემამულესთან
სოფ. კაჭილში. ჩვენი სახლობა აქ გვიციდა,
რომ ამავე ღიღით წავსულიყავით ტაბიფურის
ტბის სანახავად.

სოფელ კატიონდან მარიამპისთვის 30-ს დილა იღრიან — ქალები უჩრმით და კაცები ცხენებით — შეუდექით შელმართ გზას. გზაზედ შეკვედა სოფლები: ალათუბანი, ბალანთა, ბექანო და კიხარულა. აღმოჩნდა, რომ კიხარულამდე (მთის ძირასა) კიდევ შეიძლებოდა რაიმე ეტლით მოგზაურობა, მაგრამ ქალებისთვის ისევ მეტე ერევლის ფაეტონი ვარჩიეთ, რადგან კიხარულას ზევით საეტლო გზა სრულებით აღარ არის.

ორშაბათი დღე შეგვხედა. მინდვრებში გაცხარებული მუშაობდნენ — სარჩო-საკვების ჩაკვლევა-დაბინავებას ეშურებოდნენ. ზოგი ყანას სთაბდა, ზოგი ბულულებად სდგამდა, ზოგიც საძნე უჩრით შინ მოეზიდებოდა. ჩეენ გასაკვირველს დაკრიოთ, ზოგან პურის თავთავი ჯერ ისევ მომწვანოდ ბიბინებდა, ხვალ, ზეგური ენკენისთვე დგება და მაში ეს ყანა როდისლა უნდა გათიბონო! აქ ჯავახეთში ყანის მეტ არსად იციან, რადგან კირნახულის ღერო, ზრო, ისე მაღალი არ იზდება, როგორც ქართლ-კახეთ-იმერეთში და ბზე-კი ძლიერ საჭიროა.

ყანებს ანუ ანეულებს ჯავახეთში ასე ამზადებენ: პირველ წელიწადს არას დასთესავენ, ხოლო მეათავეში ბალასს მოსთიბავენ და მაშინათვე ათი წელილი ხარით მოხნავენ გუთნით. მეორე წლის გაზაფხულზე ამ ყანაში დასთესავენ პურს ანუ ქერს, სახნისით ჩახნავენ და ფიჩის ფარუხით დაფარუხვენ. მესამე წელიწადს ამავე ყანაში კელავ მოუხნავად დასთესავენ, კვლავ სახნისით ჩახნავენ და მერე დაფარუხავენ. მეოთხე წელიწადს-კი ისევ თავიდგან იწყებენ, ე. ი. ხელისხლად მოხნავენ და სხ...

საკვირველია, ან-კი როგორ ასწრობს პური შემოსულას? შემოდგომით დოლის პურის თესვა აქ იშვიათად იციან (ახლა და ახლა-კი უფრო შემოილეს), ყველანი დიკას და ქერს სთესენ გაზაფხულობით ანეულებში და მაისის ბოლომდე ძლიეს

ათავებენ. მეტადრე მთის ფერლოებზე ან ეულებში ზოგ წელი-წადს თოვლი მაისის ბოლომდე ძევს, ასე რომ შიგა და შიგ ქრელად სთხესენ, რა ალაგასაც თოვლი აღებულია.

მახსოვეს, 1896 წელს, გაზაფხულზე თოვლი ძრიელ გვიან აიღო და მერე განუწყვეტელი წვიმები მოჰყავა, ბარში ძლივ-ძლივიაბით თიბათვის ნახევრამდე გაათავეს თესვა, ხოლო მთა ადგილებში ალალ ბედზე თიბათვის ბოლოს გადაყარეს ხორ-ბალი სწორებში და სრულებით დაკარგულად მიაჩნდათ. მაგ-რამ წარმოიდგინეთ, რომ ამ წელს საუკეთესო მოსავალი იყო მთაშიაც და ბარშიაც! ეს მოვლენა იმით აიხსნება, რომ შე-მოდგომით ჩევეულებრივმა ყინვამ ვერ უსწრო, რის გამოც მარტვალი მშვენიერად დასრულდა, დამწიფდა. ამ გვარად ბევრს სანაწილად დარჩა: რატო ღმერთს არ ვანდეთ, რატო ბევრი არ დავთესეთო.

დიალ, ღვთივ კურთხეული შძლიავრი ბუნება, თითქოს გან-გებ, ხელს უწყობს მიწის მუშაქს, გულს უსრულებს და ოფ-ლის დაგვარად აჯილდოებს.

სოფ. კიხარულაში გაჩადებული კალობა იყო. შემო-დგომის მზე საქმაოდ უგზავნიდა მოკირნახულეს მაღლით მხერ-ვალე სხივებს.

ჩვენ ქალებსაც გულმა ვერ გაუძლო — „კალო უნდა დავ-ძლიოთო“ — და ასტეხს ერთი უივილ-ხივილი!

ხშირად შეხვდებით ჯავახეთში შემდეგ სურათს: მთები დიდი ხანია ჩამოთველილია, კალოზე გაცხარებული მუშაობაა და კალოს გარშემოც თოვლის ზოლი შემოკლებია, რომელიც მზის შუქზე ძალზე ბრწყინვას — თვალს ნაპერწკლებს ესვრის.

„ხერხი სჯობია ღონქსა, თუ კაცი მოიგონებსა“, სად არის ერთი კარგი სალეწი მაშინა, მთელ ჯავახეთს ერთს თვე-ზე კირნახული გაულეწოს და ხორბალი პატრონს ჩაბაროს? რამდენი მარტვალიც ეხლა საძალლ-ლორედ ხდება, მაშინის ქი-

რას მარტო ეს აუცილლდა, ეყოფოდა: მაგრამ რას იზამზ, რომ აქაური გლეხისათვის საქონლის საკვები, ბზე, იმდენათვე საჭიროა, რამდენათაც თავის საკვებავი პური. მაშინა-კი ბზეს არ იძლევაო და თუ იძლევა, ისიც არ ვარგაო, რადგან კევრივით ვერ ლეწავს, ვერ არბილებს, დაჭრილივით გამოჰყავს.

მაინც შორს არ არის ის დრო, როცა კულტურა თავისას გაიტანს და ამ მიყრუებულ ადგილშიაც ორთქლი ანუ ბუნებრივი მუქთი ძალა, მდინარე წყალი, დაატრიალებს გაშინებს და მით მუშა კაცს შეენახება ძალ-ლონე და ორმო-ბეღლელშიაც მეტ სარჩოს ჩაჰვლევს.

თ ა გ ი II.

მრისხანე ბუნება.—საწყალი ჩეენი ურემი რამდენჯერმე კინა-ლამ არ გაიტანს.—ჭიანჭელასავთ შრომა და ჭრიჭინასაებ ხრომა.—„კაცი ის არის“.—ჩინოსანის მათრაზი.—„ძმობა-ერთობა“.—ურუ ინტელიგენცია როგორ უცურებს გლეხკაცს—

მიწის მუშაკს.—ღმერთს ჯერ „ჩინოსნები“ შეუძნი და მერე მათვის ხალხი გაუქნიაო.—შეა საუკუნეთა ნა-ანდერძავი იდები.—„კაცი კაცის წამალია“.—ქრის-

ტეს მოძლევრება.



ზა ჭიხარულიდან აღმართს ასდევს. ქედზე რომ ავედით ჩრდილოეთიდან ციცა ნიავმა საამოდ და-უბერა. თუმცა ტბა ჯერ არსად სჩანლა, მაგრამ ეს მისი სიო იყო. ურემი გავაჩერეთ, სერზე გად-მოესდექით და გადმოვხედეთ ჯავახეთის დაცემულ უტყეო ვა-კეს, ტიტველა მთებით შემოზღუდულს. საქონელმა დაიშო-შინა, ფერდის ქარი ამოილო, მეურმე თედებ წევა. გვიტრჩი-ლა და ჩვენც, შესვენებული, მრისხანე ბუნების ცქერით ნა-სიამოვნები, ისევ გზას გაუდექით.

გზაში დიდი მოძრაობა იყო, თითქმის განუწყვეტლად გვიხდებოდნენ წინ თივით და ძნით დატვირთული საძნე ურმები. საწყალი ჩვენი ურემი რამდენჯერმე კინაღამ არ გაიტანეს. ამ შემთხვევაში ჩვენი თანამგზავრის „ყოვლად შემძლებელმა კოკარდამაც“-კი ვერ გვიშველა. მართლაც-და მოდი უბძანე გზა აუხვიონ, როდესაც მთის, გვერდელა ვიწრო გზაზე დაღმა მოაქანებენ უშეელებელ საძნე ურმებს. ახლა, მითომ, ჩემო რაო?!

ან-კი რა უფლება გვქონდა ზეიადობა-ყოყოჩიბისა!?

ხალხი დღე-ღმიეს ასწორებს, ჭიანჭველასაც შრომობს, სარჩოს ჩაკლევა-დაბინავებას ეშურება, რომლით ჩვენც უნდა გამოვევებოს და ჩვენ-კი, უქმ ხალხს, სასეიროდ მოგვიყლია—აგვილია თავი და ჭრიკინასაც საქეიფოდ დავხტიოთ.

რაღა სამართალით უნდა დავუყვიროთ: „ხაბარდა! ჩამოდექით, გზა მოგვეცით, ხომ ხელავთ მოებრძანდებით და ოქვენი სარჩოთი დატვირთული ურჩები-კი ტბაში გადაყარეთო!..“

„პაცი ის არის, ვინც ოფლეს მიწას დერის
და დაუდგრომდით სელით, ძლიერით,
დედამიწასა და მის წიაღსა,
ღვთისა მადლობით, მხიარულობით,
აპოსა და არღვეს, დაღალეს არ სდეს
და მუნით საყოფას აღმოაცენებს.
და იმ ტებაღს საყოფას ჭრიუ-ოჭერს უუოფს
და უშერბას მშერთ ობოდთა ცრემლებს!..“

დიალ, ბატონებო, ჩვენ გვმართებს მოღრეეა ამაყი ქედი-სა მიწის მუშაკის, მოკირნახულის წინაშე!!

მაგრამ ასე არ ფიქრობდა და ამ აზრებით არ იყო გამ-სკვალული ჩვენი მამაკი „ჩინოსანი“. განრისხებულმა ორი-ოდევაერ „ხაბარდაო!“ დაიჭირელა და მისმა მათრახმა ძალზე დაიწყო ჰაერში ზუზუნი—საბრალო მეურმებს გაუხურა ბეჭე-

ბი, რატო გზა არ მოგვეცითო...

„ქაცი ის რის, კის გულსაც ესმის
 ციური სიტყვა „მმობა, ერთობა“,
 და სიყვარულით აღსილა გულით
 დაკრძომილ მოუკასთ მოეხმარება.
 კინც საჭმით ქედით, გონებით, სწავლით,
 მიასდოგდება მძღვანელის დევთებას;
 კინც სწავლის მისწერებს და ქუთა მიხედვს
 საღმრთო განგიბის იდუმალ ნებას“.

ჰაი და ჰაი, დიალ, როგორ არა? ჩვენ-კი ვიქნებით, რომ
 ამდენად „თავი დავიმუროდ“, ჩვენს შარჩენელს გლეხს ძმა
 უწოდოთ? სოფლის ქაშია, გაიძევრა „აბლაკატს“ და მის ჯუ-
 რა სხვა მრავალ ვაებატონებს, რომელთა სიცოცლეც მხო-
 ლოდ იმ ხრიკებში ღალად, აუ ვინ გავაძათ მახეში და ვი-
 სის გულ-მარტივობით ვისარგელოთ, გავცარცუოთ; დიალ, ამ
 ობობა, გელა-გელებეს-კი ხელს გაუწიდეთ, წვენი წრის, საზო-
 გალიების წევრად ვთვლით და ჩვენს შარჩენელს, პატიოსან
 ბიწის მუშახ-კი ვერდებით. ვერიდებით იმ პატიოსან ოფლის
 მღვრელ მუშახს, რომელიც დედა ბოძად უდგია შთელ ქვეყა-
 ნას, და რომლის ქვდებეც დამატებულია თვით ჩვენი ყო-
 ფა - არსებობა. აქაოდა გლეხ-კაციდ ჩვენვე ჩაგვიწერიაო,
 აბა თქვენგან არ მიკვირს, როგორ ვიკადრებთ, გლეხს „თავს
 როგორ გაუყადრებთ“...

ასე, ჩემო ბატონებო, ჩვენმა „ჩინოსანგა“ მათრახები გა-
 დუკირა საბრალო მეურმეებს — რატო გზა არ მოგვეცითო.
 ვერ წარმოიდგენ, მეთხველო, რა ჩემი პროტესტი იხატებო-
 და იმ დროს გლეხის თველებში! ერთო-კი შემოგვხედა განუ-
 საზღვრელი სიმულვარით, მერე აიღო გადაგდებული ქეჩა-
 ქული, გაიბერტყა, დაიხურა და ჩვენი თავი ისევ პირუტყვო

ანაცუალია — ხარ-კაბექის მიუკალერისა, ხიო-მოლი-პოთი ურეში გზას
გაუყენა და ნაღვლიანი ღილინით გასწია.

ჩვენ ღილად შეურაცხყოფილი დაერჩით „ჩინოსანის“ უსა-
მართლო ქვევით, რისთვისაც ცხარე კამათობაც მოგვიხდა.
ერთმა ქალმა კიდევ ურმიდან უკიფნა: „ლორს ღმერთმა რქე-
ბი არ მისუა, თორემ ქვეყანას ამოაგდებდაო“.

ბოლოს და ბოლოს იმაშიაც-კი ვერ დავითანხმეთ, ვერას
გზით ვერ დავარწმუნეთ, რომ იგი „ჩინოსანი“ ხალხის, გლეხ-
კაცის მსახური არის. მისი აზრი მოკლეთ რომ გადმოგცეთ,
გამოდის, რომ ღმერთს ჯერ ჩინოსნები შეუქმნია და მერე
მათოვის ხალხი გაუჩინია.

ეჭ! რას იზამთ... შეა საუკუნოების ნაანდერძავი იდეები
ჯერ გვიან აღმოიგხვრება საქართველოში...

არა, ბატონებო! „კაცი კაცის წამალია“. ცხოვრების ას-
პარეზზე ურომა განაწილებულია. ჩვენ უველანი ერთმანეთის
მსახური ვართ: მღვდელი მსახურია ერისა, ერი მსახურია
მღვდლისა. უველანი ერთს აზრს, არსებობითი იდეს ვემსახუ-
რებით და არსებობის გასაუმჯობესებლად ვაბრძოვით, ვილწვით.
ხოლო, ის, ვინც ყოვლად უშრომლად სხვის ოფლსა სკამს,
სხვის იმსახურებს და თითონ-კი სხვის არ ემსახურება, მუქთა
სორად, პარაზიტად ჩაითვლბა.

ქრისტე მაცხოვრის სწავლა-მოძღვრება იმიტომაც სდგას
მაღლად უველა სწავლა-მოძღვრებაზე, რომ იგი სულიერ წხო-
კრების უმთავრეს მაზნედ მოუყასთა სიყვარულს და მათდამი სამსა-
ხურს სადის...

თ ა გ ა III.

ისლამი და ბატონყმობა.—ტაბიწყურის ტბა.—„ადგილის კურლელს, ადგილის შევვრი დაიქერს“.—ტახტის შემყვად-
რის ფარდულები და საღი მთის ჰაერი.—სოფ. წითელი საყ-
დარი და ქართველთა აქ ცხოვრების უტყვი მოწამე.—რად უძ-
ხიან ყიზილ ქილისას?—ჩელიგიური ფანატიშო და მისი შე-
დევი. —ნახელოვნარი ტბა—თამარი თუ ვახტანგ მეფე?—რა
უნარის პატრიოტები ყოფილან ჩეენი მეფენი!—დავით
ალმაშენებელის ეპიტაფია.



ამდენიც კუს ნაბიჯით ჩვენი ურემი წინ მიკრია-
ლებდა, იმდენად ტბა უფრო და უფრო გამოჩნდა.
მოვედით სოფ. მოლითში, რომელიც ტბის კიდე-
ზე მდებარებს და გორის მაზრაზე მიწერილი.
საჩივარი რომ ჰქონდეთ, მოლითელები სურამს უნდა წავიდ-
ნენ. ამ სოფელშიაც ქართველების ნანგრევებზე, აზრუმიღამ
გადმოსახლებული სომხობა ცხოვრიობს, მაგრამ აშეარა, რომ
უწინ ქართველობა ან აქედან გადასულან იმერეთის მოლით-
ში, ან იქიდან აქ. გამხვინვარებულმა იქ ბატონყმობაშ და აქ
ოსმალთა ძალ-მომრეობამ, განა მარტო ამისთანა საქმინი ჩა-
იდინა! აქედან მაშადის რჯულს გაურბოდნენ და იქიდან აუ-
ლაგმავ, გამხეცებულ ბატონებს.

მოლითს კარგა რომ გაუცილდით, ანკარა, მშვენიერი ლა-
შვარდის ფერი ტბა, სრული სიკრცით გამოჩნდა, რომლის
ზედა პირს ზეფიროსი არხევდა-აბიბინებდა. ცელნამგალა თე-
თრი ფრინველნი მოციმციმე ტბას ეტრფოლნენ, ეცელქებო-
ლნენ, მიწუნარებულ არებარეში სიუოცხლეს ჰევნდნენ.

კვლავ შემოგეხვდნენ წინ აუარებელი საძნე ურმები, რო-
მელნიც საკეირეველად აქვთ მოწყობილ-მოხერხებული ამ მთა

ალაგებისათვის. ჩვენებურ სანე ურემზე ბევრად დიდია, დამ-
ყარებული დაბალ ფიცრულ თვლებზე, რომელნიც ღერძზე
უძრავად არიან დამაგრებული და ღრმთან ერთად ტრიალო-
ბენ. თავდალმართისთვის თავლორა ურმის ხელნები მარხილის
თავებივთ არიან მოწყობილ - მოხრილი, აღმართისთვის ბო-
ლოთრია აქვთ მობმული და ისეთ იყვებულ მთის ფერ-
დობზე აღმა-დამა, უგზო-უკვლოდ გაატარებენ ხოლმე, რომ
კაცი განცვიფრდება.

„ადგილის კურდლელს, ადგილის მწევარი დაიქირსო“.
მოდი და ამათ ახალი რამ სისტემის ურემი ურჩიეთ და ისიც
რეანით გაწყობილი!..

ტბის დასავლეთით, მოლითის მთის გვერდაზე დავინახეთ
საზაფხულო ფარდულები, სადაც ტახტის მემკვიდრე, დოდი
მთავარი, გიორგი, ზაფხულში, რამდენიმე ხნით, ცხოვრებდა
თავისი ამალით. მართლაც-და ეს ზღვის ოდენა ცისფერი ტბა,
შემოსლულ-შემოფარგლული უზარ-მაზარ მთებით და ეს
გრილი, საღი მთის ჰაერი სურნელ ბალახ-ყვავილების ფშვინ-
ვა-სუნთქვით შენელ-ბული, სახარბიელოა ჯანის სიმრთელისა-
თვის.

ჩვენმა ურემა 15 ვერსი მეტი იჭრიალა, იჭრიალა, ბევრს
ხიფათსაც გადარჩა, მაგრამ მაინც მშეიღებით მოგვიყვანა სოფ.
წითელ საყდარს.

ნინო-ლელას *) მთის კალთა დინგივით შესულა ტბაში,
ასე რომ ნახევრ კუნძულს წააგვის. ამ მიწის ნაპერზედ არის
ქართველთა ძველი ნასოფლარი, რომელსაც ეწოდება წითელ-

*) მთის თავზე არის ეკლესია წმ. ნინოსი, ზაფხულობით ებლაც
მიღიან სალოცავად აქედან წარმოსდგა სახელი ნინო-ლელა.

საყდარი, ანუ თათრულად ყიზილ-ქილისა, როგორც ეტლა ეძახიან.

ქართველების აქ ოდესშე გაძლიერებულ ცხოვრების უტკუები მოწამე ერთად-ერთი ნაშთია ძველის ეკლესისა. ჩვენ სრული იმედი გვქონდა, რომ ამ ეკლესის წითელ თლილი ქვით ნაშენ კედლებზე რაიმე წარწერას ვპოვებდით, მაგრამ როგორც ხალხმა აგვისხნა, რაც წარწერები იყო, ციციანთ წაიღის რაღაც დავის დასასაბუთებლადაო, რადგან ბორჯომის მამულის მომიჯნავენი არიან და თავის მიჯნას ამ საყდრის ნახევრამდე ასახელებდნენო. ებლა-კი საციციანოს საზღვრამდე აქედან ბარე ხუთი ვერსი არისო...

ეკლესის კედლები, თუმცა ჯერ მაგრად სდგანან, თაღი-კი ნახევრამდე (იხ. სურ. 45 გვ.) ჩამონგრეულა და მეორე ნახევრამდე დღე-დღეზე პირებს ჩამონგრევას და მით მოისპობა ფაქტიური მოწამე ქართველთა აქ ოდესშე ბატონობისა-პატიონობისა.

ერთმა ბერი-კაუმა მიამბო:

„— უწინ საქართველოს აქ მეფობის დროს, თურმე ამ სოფელს სპარსენ დაეცენ და სწორედ აღდგომა ღამეს ცის-კარზე ეკლესიაში მთლიად ამოსწყვეტეს ქართველნი. მათი სისხლით ეკლესის კედლები სრულიად წითლად შეიღება—აღარ დასყალდათ, არ ელირსად უბედურებს წითელი კვერცხის გაუცემა! მას ძეგლ დაერქვა ეკლესის ყიზილ-ქილისა და სოფელმაც მიიღო სახელად წითელი საყდარიო“.

„— ეჭ! არც ჩვენები აკლებდნენ თათრებს; იმათი ბაირამი რომ მოვიდოდა თურმე, ჩვენებიც ლეთის წყალობა გაქვსთ, სამაგიეროს გადაუხდიდნენ ხოლმე“,—დაუმატა მეორე ბერი-კაუმა.

მე-კი აზრად გამიარა, ჩემ გულში ვიფიქრე: ღმერთო ჩემო! კაუმა რომ ჩაიხედოს წარსულის ისტორიაში, რამდენი მილიარდი აღამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა რჯულისა და სა-



რწმუნოების სხვა და სხვაობამ! ნერთა როდის დადგება ის ნეტარი დრო, მაცხოვრისგან ალთქმული, რომ ერთი სამწყსო იყოს და ერთი მწყების ჰყავდეთ, განავებდეს ამ ოუარებელ მიღეთის კაცობრიობას? ნერთა როდის შესწყდება სიმძულვარე რჯულის გამო, იმ ხალხთა შორის მაინც, რომელნიც ერთსა და იმავე კეშმარიტ ღმერთს აღიარებდნ!

ეკვი არ უნდა, დაუდგება კაცობრიობას ეს ნეტარი დროც, მაგრამ დაუდგება შხოლოდ მაშინ, როდესაც სარწმუნოება თავისუფალი გახდება პოლიტიკურ მოსაზრებიდგან, და როდესაც განათლება-ცივილიზაციის სხივი დასთრგუნავს რელიგიურ ფანატიზმის და სწავლა-მეცნიერება კაცობრიობას ერთის აზრით შეაერთებს, ძმობასა და სიყვარულს განუმტკიცებს...

—

ამ უამაღ სოფ. წითელ საყდარს ასახლიან 49 კომლი სომხობა და ერთი კომლიც ქართველი გამორჩეულა წამლად. ჩვენი ურემი, ბანით დახურულ სომხის ეკლესიასთან გავაჩერეთ, რომლის ეზოშიაც ვაპირებით დასვენებას; მაგრამ გამოჩნდა ერთი სტუმართ-მოყვარე კაცი, რომელმაც ძლიერ ითაკილა, იწყინა ჩვენი ამ გვარი საქციელი და თვითონ გაგვიმასპინძლდა.

აზრუმიღმ გაღმოსახლებულ სომხობას ყველგან თავისი შინ მიუტანია; დარწმუნებული ვართ, როცა ამ ნასოფლარზე დასახლდნენ (1828—30 წ.), ორიოდე სე მაინც იდგებოდა ამ ტბის პირას და, თუმცა ბორჯომის ტყე ახლო აქვთ, მაგრამ წიგის „ნაზუქებს“ აქაც შეხვდებით, ქვებზედ გაკრულს, მზეზედ გამოსაცხობად, —ჩვეულება რჯულთ უტეიცესიაო“...

ტბიწყურის ტბა ფარენას ტბაზე ცოტა პატარაა; გარშემო ოცი ვერსი იქნება და უფრო გრძლოდ არის წასული. ჩვენმა მასპინძელმა გვიამბო, აქ აღრევე ვიღაც „ჩინოვნიკები“

მოეილნენ და ამ ტბის სილრმე გაზომესო, ზოგ ალაგას 60 სა-
უნი სილრმე აღმოჩნდათ.

გაგონილი გვექონდა, ტაბიწყურის ტბა თამარ მეფემ მდ.
ქუიადან ადინაო, ჩვენმა მასპინძელმა-კი დაგვარწმუნა, რომ
ვახტანგ მეფის ნახელოვანია.

უზარ-მაზარ მთის გადაღმიღან მდ. ქუის წყალი არხით
წამოუღიათ და ამ მთათა შუა ვაკე, ჩავარდნილ ალაგას ტბა
შექმნილა, რომელიც უენევის ტბას ბევრად ჰგავს და მთელ
ჯავახეთს დაჰყურებს. მდ. ქუი ტბის გარე მორტყმულ მთა-
თა ქედის უკან მომდინარეობს და წალკისკენ მიდის. ვინც ამ
ტბასა და მდ. ქუის შუა მდებარე ბუზერაზ მთებს ჰნახავს და
მანძილსაც ივარაუდებს, მხოლოდ მას შეუძლიან წარმოდგენა
იქონიოს, რა უნარის პატრონებიც ყოფილონ ჩვენი მეფენი.

ტბას თვითონაც აქეს ან კარა წყარონი და მეტადრე შავ-
ნაბადა მთის კალთიდამ ციც-ციცი ნაკალულები საამოდ გამო-
ჩუხჩუხებენ. ამიტომაც ხალხი ზამთარ-ზაფხულ ტბის გემრიელ
წყალს ხმარობს სასმელად.

ქუა მდინარედამაც, უეპველია, წყალი უდენიათ, რად-
გან არხი, ნარუალი დღესაც ეტყობა, მაგრამ მე მგონი, უფ-
რო-კი იმ აზრით, რომ ქუის გემრიელი კალმახი ამ ტბაშიაც
მოშენებულიყო. ჩემმა ლმერთმა ძნელია კალმახის მომრავლე-
ბა, ალაგი-კი მოეწონოს და ყოველ წლივ თითო კალმახი 25
ათასამდე კვერცხს (ქვირითს) ამზადება!..

მაშ ჰერნიათ ჩვენს წინაპრებს პირის პატივი და გასტრო-
ნომიური გემოვნება!!...

როგორც სხანს დიდებული მეფის დავით აღმაშენებელის
ეპიტაფიიდან, ჩვენს მეფეთ დიდათ ჰყენარებიათ და სასახელო-
დაც მიაჩნდათ ოვეზთა მომრავლება:

„როს ნაჭარშაგავს მეფენი შეიდნი მე ჰურად დამესხნეს,

თურქეთი, სპარსინა და არაბინა სამზღვართა გარე გამეხსნება,
თურქინი ამერთა წევალთაგან ამერთა წევალთა შთამეხსნება.
„წე ამათსა მოქმედსა გულზედან ხელნა დამესხნეს“.

IV.

ჩვენი მასპინძელი — სომები, მისი ძმა ქართველი. ქალი თუ
რჯული? — სომხის ქალები მტკიცები არიან თავის რჯულსა და
ეროვნებაზე. — რიბიკონს განა შეუძლიან ეროვნება შესცა-
ლოს? — თარაქამაც ფრარნცუხია?! — მაშ, რუსები და ქართველე-
ბი ბერძნები კვლილვართ! — აბაშელი ყოფილა ქართველი. —
ეროვნობის დაცვისთვის ბრძოლა. — ბატყანი და ხმი თავის
დედაბს ეძებენ. — Простой народъ о национальности су-
дитъ по религии. — დამაზინჯებული დედა-აზრი. — გუგუ-
ლი და ტყის ჩიტები. — აი ჩვენთვის მაგალითი. — კუუ-
ხი და იხვის კუჭულები. — გადაგვარება მოდათ იყო. —
როგორ დაყარგა საქართველომ ეს ზემო ქართლი? —
ცხელ-ცხელი კალბაზი. — ცარიელა კუჭით მალლა ფარ-
დებში ეკრ ავალ.

ლექსი სანდაცე, ჩვენი მასპინძელი, იქმდე საინტე-
რესო კაცი აღმოჩნდა, რომ არ შემიძლია მკითხველ-
საც არ გავაცნო. ეს ალექსი — სომებია და მისი ძმა,
მოსე, — ქართველი. (ზემო ჩართულ სურათზე ალე-
ქსი სანდაცე ბუხრის ქუდით სდგას).
— „პაპა ჩვენი ქართველი იყო — აგვისხნა ალე-
ქსიმ, და ძალიან მიღებული კაციც ყოფილა ცხონებული ოს-
მალების აქ ბატონობის დროს. ოსმალოს მთავრობისაგან ბევრ-
ჯელ იყო თურმე გაგზავნილი საქართველოს მეფეებთან. მერე
პაპა ჩვენი რომ დაქვრივებულა, ახალციხეში ერთი სომხის ქა-
ლი შეცყვარებია. ქალს თუმცა საქმონ მოსწონებია, მაგრამ
თავის რჯულისათვის არ უღალატია, პირობად ის დაუდვია,
თუ შვილებს სომხად მონათლამ, შეგირთამ, თუ არა და არაა.

ცხონქბულიც დათანხმებულა, — მაგა ჩეენი სომხად მოუნათ-
ლავთ.

„თავის ახალგაზღვის შეკრიმა პაპა ჩეენს გულში ბო-
ლმად ჩაჰყოლია, და, ლრმა მოხუცებულობის ლროს თურმე
ეთხოვა თავის შეილისთვის, მამიჩემისათვის: „არ მინდა, შეილო,
რომ ჩემი სახენებელი გაწყდეს, და ჩემი სანთელი გაქრესო,
შენი სიყრმის შვილი მე მაჩუქე ქართველიდ მოვნათლო და
გავზარდოო“. მამაჩემსაც ერთი ვაჟიშვილი ცხონქბულისათვის
დაუთმია, ჩემი ძმა მოსე, და ეხლა ჩეენ სომხები ვართ და მო-
სე — ქართველი“.

— „მართალი ხარ ალექსი“, — უპასუხა ჩეენმა თანამეზაერ-
მა პ. თმოგველმა: — „სომხის ქალებს მე ქარგად ვიცნობ, ეგენი
ძრიელ მტკაცენი არიან თავის ეროვნებაზე და რჯულზე და
რაც უნდა სასარბიელო შემთხვევა მიეცო ცხოვრებაში, თავის
ხალხს, ეროვნებას მის დღეში არ უდალატებენ. ვიცი, რომ
ეგენი ყოველთვის მზად არიან მტლედ დაედეან თავის სამ-
შობლოს, მაგრამ ესეც-კი უნდა გითხრა, ჩემო ალექსი, რომ
თუმცა ეხლა შენ ქრისტეს სარწმუნოება სომებ-გრიგორიანთა
ტიბიკონზე გიჭირავს, მაგრამ მაინც ქართველი ხარ და არა
სომები, ქართველის სისხლი გიცემს მაგ გულში.

ქრისტიანენი ხომ ყველანი ერთს კეშმარიტს ლმერთს ვა-
ღლიარებთ და ერთ სწავლა-მოძღვრებას ვასრულებთ ქრისტე
მაცხოვრისისან დაწესებულს და, მაშასადამე, მარტო ტიბიკონ-
მა და რწმენის ფორმამ, განა შეიძლება შესცვალოს ადამიანის
სისხლი და ხორცი, მისი ბუნება, ეროვნება, მოღვაწი, სახე
(ტიპი), ზნე-ხასიათის თავისებურება, ენა და ჩეეულება!?

მაგალითად, აი მე ეხლა გვარ-ტომობით, ეროვნობით
ხომ ქართველი გარ, ხომ ქართველის სისხლი მიდგია“?..

— დიალ, ქართველი ბძანდები და...

— მოიცა, მოიცა ალექსი. ხომ ქართველი ვარ ბუნებით,

ბაგრამ საჩწმუნოებით-კი ქრისტეს აღმსარებელი ვარ ბერძნის კონდაკზე და ამისათვის მართლ-მაღიდებელს მეძახიან.

— ჰო და ქართველი ბძანდებით.

— კარგი და პატიოსანი. მე რო ეხლა ქრისტიანული წესი, ვსთქვად, კათოლიკე დოლმატით და მათ ტიბიკონზე ვასრულო, მაშინ ვინ ვიქნები?

— ფრანგი...

— რას ამბობ კაცო! როგორ თუ ფრანგი? სიტყვა ფრანგი ხალხის სახელია და არა საჩწმუნოებისა. ფრანგებს ხომ ფრანგულებს ეძახიან. ხომ გაგიგონია საფრანგეთი ანუ ფრანგისტანი (თათრულად)?

— ჰაი, ჰაი, რომ გამიგონია!..

— ჰო და ფრანგისტანი ქვეყანაა და ფრანგები ან ფრანგულები ხალხია, მისი მკვიდრია.

„მაშ საქმაო ყოფილია კაცმა კათოლიკე საჩწმუნოება მი-ილოს და ის არის და ის, თუ გინდ თარაქამა იყოს, თუ გინდ ლეკი-ჩერქეზი, მაშინათვე ფრანგუზად, ფრანგად იქცევა?! თუ არა და, შე დალოცულო, არაბი, ლეკი, სამალო, ყიზილბაში, ქურთი და არ ვიცი კიდევ რამდენი სხვა, ეს ამოდენი მი-ლეთის ხალხი ყველანი მაშმადის რჯულს აღიარებენ, მაგრა ჯიში, გვარ-ტომობა, ხალხოსნობა-კი სხვა-და-სხვა აქვთ. ჟერა ა! რა ქვეყანაში იტყვით და რა ხალხში გინდათ, რომ მისი ონერები კათოლიკე საჩწმუნოებას არ ავრცელებდნენ, მარა აისორები, ჩინელნი, შავეანიანი ზანგნი, ინდოელნი, არაბნი ყველანი ფარნცუზები დახდებიან!..

„თუ-კი არიან სომები კათოლიკენი, სომები ლოტრანგე და სხვა, რატომ არ უნდა იყოს სომები მართლ-მაღიდებელი ქართველი გრიგორიანი, ქართველი კათოლიკე, ქართველი მაშმადიანი და სხვ... ჭიში, მოდგმა, ჭიერი, ქნა, ჩეკულება სხვ არი და საჩწმუნოება სხვაა.

„ქართველებმა, რუსებმა და თითქმის მთელ სლავიანთა რასამ, რომელნიც წინად კერპთ მსახურნი იყვნენ, ყველამ ბერძენთაგან იცნეს კეშმარიტი ღმერთი; ბერძენთაგან მიიღეს ქრისტეს-მაცხოვრის სწავლა-მოძღვრება და ერთსა და იმავე მართლ-მადიდებელ ეკლესის ტიბიკონით ასრულებენ სარწმუნოებრივ წეს-რიგს. მაშ საცა სამართალია ჩვენ ქართველინი-კი აღარა ვართ და რუსები რუსები-კი აღარ არიან, არამედ ბერძნები ვყოფილვართ.

„დიალ, როგორ არა! აბა ერთი, თუ თავი მოგძულებია აფრიკაში მცხოვრებ შავკანიან აბაშელს უწურჩულე, რადგან მართლ-მადიდებელი ქრისტიანე ხარ, მაშ ქართველი ან რუსი ყოფილხარ-თქვ....

რუსი, ბალგარი, სერბი და სხ. ხომ ყველანი გართლ-მადიდებელი არიან, ხომ ყველანი სლავიანთა მოდგმათ ეკუთვნიან, შაგრამ სარწმუნოებას ვინ უყურებს, ყველანი სულ იმის ბრძოლაში არიან, მტკიცედ დაიცვან თავიანთ ეროვნული ვინაობა, ნაციონალური თავისებურება, ზნე-ხასიათი, საკუთარი ენა და ჩვეულება.

„არა, ერთი ეს მიბანეთ, ვინ გასცულით თქვენს შშობელ დედას დედინაცვალზე?!

ეჭ! რას ამობ, ალექსი, როცა ხბორები დაერევიან ხოლმე ძროხების ნახირს, ვის გინახავთ, რომ დაბმული ხბო განურჩეველად მივარდეს რომელიმე ძროხას და თავის მშობელი დედა არ მონახოს, თუმცა-კი ბევრჯელ სხვა ძროხის ჯიქანი (ცური) უფრო გატენილია ჩძით.

აბა ცხვარი ხომ სულელია, უტვინოა და გინახმთ როდისმე, რომ მთელ ფარა ცხვარში გარეულ ბატქობამ, თავის დედა არ მონახოს და სხვის ძუძუს დაუწყოს წოვნა?..

— რავქნად, ბატონო, რა რჯულზედაც მამა მდგარა, ჩვენც იმ რჯულზე უნდა გავიაროთ.

— მერე ვინ გეუბნება, კაცო, უეპველად რჯული გამოიცვალეთ? რატომ იმას-კი არ ამხელ: რა ეროვნებისაც პაპაჩვენი იყო, ჩვენც იმის ხორც-სისხლნი ვართ, იმ ეროვნებას ვეკუთვნითო? რა ვუყოფ რომ პაპაჩვენი სამი თითოთ იწერდა და ჩვენ ახლა ხუთი თითოთ ვიწერთ პირჯვარსაო...»

— Ну довольно... Охота тебе... Всёдь все равно ничемъ не убѣдишь. Онъ-же не настолько развитъ, чтобы могъ отличить народность отъ вѣроисповѣданія—простой народъ о національности судитъ по религіи. тѣмѣ-ველს ჩამართვა სიტუა ბ-ნა ვარძიელმა და განაგრძო:

— საკირველია ღმერთმანი, რად არი მდაბიო ხალხი ასეთის დამახინჯებულის აზრისა, რად ურუეს რჯულსა და ეროვნებას ერთმანეთში? რად უყურებს ასე ადვილად ადამიანის ბუნების გადავარებას! ამ შემთხვევაში პირუტყველი ბევრად ჰალლა სდგანან პირჩეტყველებზე.

აი რამდენიმე მაგალითი კიდევ ავიღოთ თვით ბუნებიდან და ენახოთ მოდგმისა და გვარის ანუ, უკედ ესთქვათ, მგზაუსის შესახებ ბუნებას რა კანონი დაუწესებია და რა წესს იცავს.

გუგულისოფვის ბუნებას გუგულობა დაუწესებია, კაქაჭის-თვის კაქაჭობა, თუმცა-კი ორივენი ფრინველებად გაუჩენია. გუგული, მოგეხსენებათ, მის დღეში ბუდეს არ იშენებს და თავის კვერცხს ათას ნაირ ხერხით და მოტყუებით ტყის პატარა ფრინველთა ბუდეებში სდებს—იმათ კვერცხებს ერთს თავისასაც მიუმატებს ხოლმე და გამოჩეულისაც ამ გაბრიყებულ პატარა ფრინველის თავში საცემად ხდის. მაგრამ-კი არავის გვინახავს, რომ გუგულის კვერცხიდნ გამოჩეული ბახალა იმ თავის ამხანაგებს დამსხავსებოდეს, რომლებთანაც ერთსა და იმავე ბუდეში და ერთსა და იმავე დედა-ჩიტის მზრუნველობაში იკებებოდა-იზრდებოდა. გუგულის ბლარტი და-

ჩრისედება თუ არა, ამოფრინდება დედინაცელის ბუდიდან და მაშინავე თავისებურად გუ-გუ-გუ-გუს გაჰყეირის ჰალა-ტყე-ებში. დაბრიუყებული ჩიტის ბლარტები კიდევ თავიანთებურად, მამა-პაპის ჰანგზე გალობ-ჭიკუბას იწყებენ და დიდად უხარისხთ, რომ ის არა მკითხე, მუქთა ხორა სტუმარი თავიდან მოშორდათ.

ავილოთ თუნდ შინაურ ფრინველთა მაგალითიც. ვინ არ იცის, რომ ქათმისაგან გამოჩეული იხვის ჭუპულები თავის ენას, ზნე-ჩვეულებას და ხასიათის თავისებურობას არ ჰყარგავენ. მთელს ეზოში თუნდ ერთი იხვიც არ მოაპოვებოდეს, რომლისაგანაც შეეძლოთ მაგალითის აღება, მანც ჭუპულები წყალს ეძებენ საჭყუპალაოდ და ქათმი-კრუხი-კი კუტ-კუტით ხმელეთისკენ უძახის და საშინლად სწუხს - ვაიმე! მიშველეთ, ხალხნო, წყალში წიწილები მებრჩობიანო!

კრუხის კუტ-კუტს, მის მზრუნველობა - გაფრთხილებას მხოლოდ მისი საკუთარი წიწილები უგონებენ, ემორჩილებიან, რადგან კრუხის ენა ესმით და დაშინებულნი გარს ეხვევიან — ჭუპულების მაგალითს არ მისდევენ. ამ დროს იხვი-ჭუპულები-კი წყალში ნაეარდობენ, კვუპალაობენ, კურყუმელაობენ და ფასცინიან კრუხს: „რას კივი, ჰეი! რამ გამოგაჩერჩერა შენ, ჩვენო დედინაცალოო? ღმერთმა ბანლიანი თითები იმი-ტომ მოგვუა, რომ წყალში ვიცურაოთო!..“

ეს! რომელი ერთი ესთქვათ... ამისთანა მაგალითები ყოველ ცხოველთა შორის მრავალზე უმრავლესია...

ბუნებაში აი ასეა გაძლიერებული პრინციპი პიროვნების შენახვისა და ამისთანა სასტიკი კანონებით განავებს ბუნება მსგავსის დაცვის შესახებ. ასე მტკიცეა მემკვიდრეობითი, ჩამომავლობითი ძალა და თუ რომ სახე მსგავსისა თანდითანაობით უმჯობესდება-ვითარდება და თუ რომ ოდესმე იცვლება, იცვლება შეუმჩნევლად, მიკროსკოპიულად და ისიც მხოლოდ

ათი ათასი და მილიონ წლობით, ბუნებითი შერჩევის და არ-სებობისთვის გრძლის გმო.

ადამიანიც იმავე ბუნების შეილია და იმავე ბუნების გა-დუვალ კანონს ემორჩილება, მაშასადამე, ყოვლად შეტყიდობის აზრი, მითომ ადამიანის გადაგვარება მაგრე ადეილი იყოს. ასეთი დამახინჯებული აზრი, მხოლოდ ნაყოფია ჩვენი გადა-ჭარბებითა სურვილისა.

საკვირველია, ღმერთმანი, ადამიანი თითქოს ყველა ცხო-ველზედ მაღლად სდგას და მაშ რაღა დაემრთა, რომ ასე ამა-ხინჯებს ბუნების დედა-აზრს; ასე ადეილად რად უყურებს გა-დაგვარებას. ალექსის პაპა ხო პირველი მაგალითი აჩ იყო. აბა როგორ არა სთქვას კაცმა, რაიმე გარემოების გამოცელით რად მიისწრაფოდნენ ჯავახელი ქართველები მოეკლათ თავისი ბუნება! რად დაკარგეს თავისი ეროვნება, ენა და ზეგ-ხა-სიათის თავისი ბუნება?

ეს! მახლას... ალბად გადაგვარება მაშინაც მოდად იყო შემოსული, ანუ სარფად ხედავდა აქაური ქართველობა თავი-ანთ წმიდათა-წმიდათი ევაჭრად და აკი მიჰყიდეს კიდეც თხ-მალებს, სომხებს და ფრანგებს, რომელთაგანაც მეტს გამორ-ჩენას, მეტს ჯილდოს და მფარველობას გამოელოდნენ!..“

ბ. გარძიელის სიტყვამ ყველანი გულის ხმას ჩაგვაგდო. მართლაც-და აბა გადაათვალიერეთ ჩვენი წარსულის ისტორია. რა იქნა, როგორ დაპარგა საქართველომ ეს ზემო ქართლი, მესხეთ - ჯავახეთიდან მოყოლებული პასანყალა - ტრაპიზონამ-დე?..

პოლიტიკური გარემოება შეიცვლებოდა თუ არა, თი-თონეე ქართველობა სამარცხეინოდ ცდილობდნენ და ერთმა-ნეოს ეცილებოდნენ გადაგვარების სურვილში. ქართველებივე, განსაკუთრებით მაღალი წოდება, დღეში ათ-ჯერ ფაშასთან გარბოდნენ საზრდაო ბიზლილით თავიათ მოძმეზევე და თი-

თონვე ეხმარებოდნენ ფაშას ქართველი ხალხის გადარჯულების, გადაგვარების საქმეში. ნაცვლად ამისა ფაშა, რასაკვირველია, აძლევდა ამ პირთ, სამშობლოს მოღალატე ქართველებს, სახელმწიფო სამსახურს, აღილ-მამულებს, სანჯახობას, ალალარობას და სხვა უპირატესობას.

ახლა მეტყვით ოსმალთა დესპოტიზმს და მათ ძალმომრეობას ვერ გაუძლეს და მაშ რა ექნაოთ? მერწმუნეთ, უკეთუ ქართველობას შეგნებული ჰქონდა ერთობის პრინციპი და თუ რომ ციხე შიგნიდან არ გატეხილიყო, ერთობის ძალას ვერა რა დაარღვევდა, ვერა რა დასხვევდა!

და თუ გინდ, იქამდე საქმე გაპირდა კიდეც, ნუ თუ არ შეეძლოთ ერთგული ქვეშვერდომნიც ყოფილიყენენ ასმალოსი და იმავე დროს თავისი ეროვნება, სარწმუნოება, დედა-ენა და ზნე-ხასიათის თავისებურობაც მტკიცეთ დაეცვათ!..

— ჩეცულება რჯულთ უმტკიცსი არისო, — დაიწყო ისევ თმოგველმა — მართლაც და მოდი ახლა შენ კურდღლელს ბუნება მოუკალ, ციყვად გადაქციყ ჭ ციყვს ბუნება მოუკალ, კურდღლად გადაქციყ! განა რომ ყოვლად ძლიერ ევალიუცის კანონსაც-კი ვერ ძალუძს კურდღლელი ხის ტოტებზე ახტუნოს და ციყვი კიდევ მინდორზე თავ-გადაგლეჯილი არბენინოს! თუმცა-კი ეს ორი ცხვველი ერთს და იმავე მლირლნავთა მოდგმას ეყუთნიან.

ეჭ! რას ბძანებთ ერთი... ყველა უბელურება, ჩემო ბარონო, ქართველებს გვემართება. ქათმის თქმისა არ იყოს: „ცხვარი დაკლეს ზედ წამაკლეს, ხარი დაკლეს ზედ წამაკლეს...“ მაგალითად, აი შენ, ჩემო ალექსი, ხომ სომხეთ სთვლი შენს თავს, აქა და მამაჩემი სომხის ტერტერს მოუნათლია?

— „მაშ, რავიცი, ვინ ვიქნები...“

— შენი ძმა მოსე?

— ის ქართველია...

— იმიტომ რომ მართლ-მაღიდებელ მღვდელს მოუწათ-ლავს... არა?

— ასე გახლავთ და ჩვენ ხომ კანონს ვერ შევცვლით.

— საქმეც ეგ არი, ჩემთვ ალექსი, რომ ბუნების კანონი ყველას არ გეხმით... ამა ახლა ჰკითხე ნამდვილ სომებს, რომელსაც მიუღია ან კათოლიკობა, ან პროტესტანტობა, ან მაჲმადიანობა და სხვა... ჰკითხეთ ამ გვარ სომებს ვინა ხირ-თქო, ან რომელი ერის ინტერესებს ემსახურები-თქო? პასუხათ აი რას მიიღებთ: „მე ვარ სისხლით და ხორცით, ეროვნებით და ენით სომები, სომხად უობილი ხოლო სარწმუნოებით ქრისტეს მორწმუნე-კი ვიყო და რომელ ტიბიკონის წესზედაც გინდა ვლოულობდე ეგ სულ ერთია...“

ტიბიკონი ჩემს ეროვნებას, ჩემს სომხობას როგორ დამაკარგვინებსო“.....

ამ დროს ცხელ-ცხელი ახალი კალმახი შემოგვიტანეს, წითელ ხალებით დაწინწკლული და ეს დალლილ-დამშეული ხალხი ყველანი კამად გარდავიქეცით, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა...

რას იზამთ, მახლას! ცარიელა კუპით, მოგეხსენებათ, მაღალ ფარდებში ვერ ახვალ და ვერც ფონს გახვალ, რაგინდ სიმართლესაც ღალადებდე...

თ ა გ ი V.

ალექსი სანდაძე სომეხი და მისი ალებ-მიურმობა.—მოსე სანდაძე ქართველი და მისი სიღატაკე.—ტბაზე ნავ თ სეირნობა.—გარუელი იხევბი ტბის კუნძულზე და ადმინისტრაციაში მსუბანის.—მეთევზესთან ბასან გარიბანის ცხოვრებიდან.—გვჯერა ადამიანის სიკვდილი?—თავვაგანწირული მეულლური სიყარელი გარიბანთა შორის.—არ ჰყანებინ ადამიანებს.—ტბის საშინელი სიღრმე და ტყეული შიში.—ივანე როსტომაშვილის ჯავახეთში არქეოლოგური შრომა, ჩვენდა სამაგარისოდ.—ბორჯომის მოაგარებენ ამ ტბაზე.— თავგუსტოვსი სტუმრები სანდექისთან და მათი საჩუქრები.



აფლავის ქვებზე ჩამოვსხედით ტბის პირას ეკლესიასთან და ისევ აქაური ამბების გამოკითხვა ვარჩიეთ.

აღმოჩნდა, რომ ჩვენ მასპინძელს, ალექსი სი სანდაძეს, მთელი ეს არე-მარე ტბისა, რომელიც ბორჯომის (დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის) მამულს ეკუთვნის, იჯარით აქვს აღებული; წელიწადში 12—13 ათას მანეთამდე იხდის იჯარას და სამი ათასამდე დღესეტინა საძოვარი და სათიბი ალაგი უჭირავს. ტბაც ალექსი სანდაძეს აქვს იჯარით აღებული წელიწადში 1500 მანეთად. როგორც თითონ აგვისნა და სხვებმაც დაგვარჩშუნეს, ალექსი სანდაძეს წელიწადში სამი ათას თუმნამდე ალებ-მიურმობა აქვს.

საძოვრებს ქიზიყელ მეცხარეებს აძლევს, სათიბებს ახალ ქალაქის მაზრის სოფლებს ურიგებს, სამი ათასამდე საკუთარი ცხვარი ჰყავს და ჩილდრობს კიდეცი: იაფად ნაყიდ საქონელს ასუქებს ამ იალაღებზე და მერე ჰეზაენის გასასყიდათ თბილისა და ქუთაისისაკენ. სამუშაო საქონელსაც მთელ მაზრის გლეხობას ურიგებს იმ პირობით, რომ მთელი ზაფხული ამუშაონ,

შერე ზამთარში დაასცენონ, გაასუქონ, ყაბებს მიჰყიდონ და იმ ფულით ისევ სანდაძისაგან იაილაზე ნასუქი ხარები იყიდონ. ხენა-თესებს ძრიელ ცოტათი ეწყობა, რაღაც ადგილის მდებიარობა და მთის ჰავა-ამინდი ხელს არ უწყობს, რის გამოც პურს მომეტებული ნაწილი ჰყიდულობს. ქართლ-კახეთისენაც მოყვარები ჰყავს და ვენახები აქვს დაგირავებული, საიდგანაც სარგებლობს და ღვინო სახლში უკლებად აქვს. ტბაში, მაისიღან დაწყებული, ღიღდალ კალმახს იქერს და ჰეზავნის ბორჯომშ, აბასთუმანს, ახალციხეს და ახალქალაქს; ფუთს + მან. ჰყიდის ზამთარ-ზაფხულ. ზამთარშიაც რეინის კავებით იქერენ და აქედგან პირდაპირ ჰგზავნის თბილის ღიღდალ კალმახს ჩავრადებით. გზა ამ ტბიღგან ერთი საციცანო მთებზე ჩადის პირდაპირ ქარელში და მეორეუ წალკისკენ გადადის; ეს მეორე გზა თითქმის საურმე გზაა.

მთელს ამ მაზრაში და წალკაში ალექსი სანდაძეს ღიღდინდობა და პატივისცემა აქვს ხალხისაგან დამსახურებული, რაღაც უკელას სინიდისიანად და პირიანად ეპყრობა.

ალექსი სანდაძეს ერთი ძმაც ჰყავს, სოლომანი, უსეც „სომებია“ და მხედვიბით, მოხერხებით, არ ჩამორჩება ალექსის და ალებ-მიცემობითაც თითქმის მეტოქებას უწევს. მაგალითად, წელს ტბა სოლომონს აულია იჯარით და სხვ. ამ გვარი.

ახლა, რაც შეეხება მოსე სანდაძეს, ქართველს, ამისი ოჯახი ვერ არის ისეთი შეძლებული, როგორც ალექსისა; ქონებრივად დაქვეიოებულია, არც ალებ-მიცემობას ეტანება, მაგრამ გამრჯვე კას ამობენ, თუმცა 68 წლისა არისო. ძმები ცალ-ცალკე ცხოვრობენ და შვილი შვილებით არიან სავსენი.

ალექსის ოჯახშიაც მომეტებულად ქართულად ლაპარაკობენ, რაღაც ეს სანდაძენი ბარალეთიდან არიან აქ გაღმოსახლებულნი.

სანდაძეთა გარდა ბარალეთიდან ოცამდე კომლი სომ-

ხობაა აქ ამოსული, რომელთა დედა-ენა ქართულია. ესენი ქართველი სომხები არიან საქართველოს აქ ბატონობის დრო-იდგან დარჩენილი. ერთს ამ გვარ სომებს, წითელ საყდრელს, ვკითხე: რა ენაზედ ლაპარაკობთ შინაურობაში-თქო?

— ჩვენ, ბატონო, უფროსები ქართულს ვლაპარაკობთ და ახალმოდნის ბიქობა-კი ეხლა და ეხლა უფრო სომხურს ეტა-ნება, რაღან ჩვენ სოფელში 30 კომლზე მეტი აზრუმილან გადმოსახლებული სომხობა ცხოვრობს.

— შენი სახელი?

— პეტრე ასლანოვი, შენი ჭირიმე...

— მერე რა, მაღლიერი არა ხართ, რომ ეხლა თქვენი შვილები თავის დედა-ენას სწავლობენ? ეს კარგად იცოდე, ჩემი პეტრე, რომ, რა კაცსაც თავისი ეროვნება დაკარგული აქვს და თავის დედა-ენაზე არ ლაპარაკობს, ის კაცი მტრისა-თვისაც საზიზლარია და მოკეთისათვისაც. ერთი მითხარ, თქვენ-მა კატმ რო ძალიერით კუფა დაიწყოს და ძალმა კიდგვ კა-ტასავით კნავილი, მეორედ მოსვლა მოხდება თუ არა?

— ჰაი, ჰაი, ბატონო, რომ ანჩი ქრისტე მოვა!

— ჰა და ადამიანიც მაგრეა...

მთელ სოფელ წითელ საყდარში მარტო მოსე სანდაძეს ოჯახია მართლ-მაღიდებელი, რომლისათვისაც მღვდელი ბარა-ლეთილან ამოდის. აქვე უცხოვრიათ რამდენიმე კომლს ქარ-თველობას ფოცხვერა-შეილებს, რომელნიც ბორჯომის ხეო-ბისკენ გადასახლებულან.

ერთმა ჩვენმა თანამზავრმა საინტერესო კითხვა აღძრა; გამოიკანით ამ ორთა ძმათა სანდაძეთა შორის ვინ უფრო ყო-ფილა მომზადებული ცხოვრების მეჯლისზედ საბრძოლველად, „სომეხი“, თუ ქართველით? ჩვენ ამის გამოცნობა არ იყო რომ გაგვიკირდა. ერთის შეხედვით არა რომ ეწინააღმდეგება ბ. ვარძიელის ბაას! მართლაც და ისე გამოდის, რომ საკმა-

თა კაცმა სომხის ეკულესის ტიბიკონზე გაიაროს, სომხის ტერტერამ მონათლოს და ის არის და ის, მაშინათვე მდიდარი გახდები, აღებ-მიცემბის შემცირების ფულის ყალრიც გეცლინება. ვიდრე ჩვენ თეორიებს წარმოვადგენ-დით, ჩემმა მობაასე გლეხმა, პეტრემ, გამოცანა მარტივად აგვისხსნა: „ალექსის ყისმათი იყო და უგ გამდიდრდაო... უწინ აქაურობას ფასი სად ჰქონდა! ტბა მაშინ თუმნად იყო იჯარით და ახლა ას თუმნადაც არ იძლევანო. თორებ მთელი სოფელი სომხობა არა ვართ, რაღა გასომხებული ქროველი გამდიდრდა და არა ნამდივილი სომხი? ეჭ! ვისაც ღმერთი მისურებს, მისურებს, ვერაცვალე იმის მაღლას“.

ტბის ნაპირზედ ორი კარგი მცენდრი ნავი ება. ჩვენ გულმა ველარ გავვიძლო, მასპინძელს ვსთხოვეთ ტბაზედ გასეირნება. ორმა მეთევზებ ლონიერი მკლავებით მოუსვა საჭებს და ამ ზღვის ოდენა ტბაში არხეინად შეგვაცურა. ტბის წყალი ისეთი ანკარაა, რომ რამდენიმე საუენის სილრმეზე ძირის ფერადი კერძები საამოდ მოსხანან, თითქოს წყალთა ნიმფებს (ალებს) თავისი ნაზი თითებით განგებ მოუქარგავთო. აյი იმიტომაც სავსეა ტბა გემრიელის კალმახით! საკურველია, რომ კალმახის მეტი აქ სხვა არა თევზი არა გვარობს.

ეკულესის გასწვრივ, ტბის თითქმის შუა გულში კუნძულია და თუმცა ქალებს, პირველი აღტაცების შემდეგ შიშმა - მოუარა, მაგრამ ჩვენი ნავი მაინც კუნძულს მიადგა. აქ გარშემოძლიერ ბლომად დაფრინავდნენ გარეული იხვები. გაზაფხულობით თურმე სავსეა ეს კუნძული იხვთა ბუდეებით, ბევრ კვერცხებსაც აგროვებენ მეთევზენი და ერბო-კვერცხით იგემრიელებენ პირს, ზაფხულში კიდევ იხვის ჭუჭულებს იქცერენ ჩასხობათ. ბუნების მცხოვრებთა გამრავლების თანამწორობაში ასე-თი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ადამიანის ღორმულო-

ბას. ისიც საკვირველია, რომ იხვის შეტი ამ ტბაზე არა ფრინ-ველი თურმე არ იყის და იშვიათად, მხოლოდ თეთრი ფრინ-ველი, ცელ-ნამგალა, გვიხვდებოდა. აქ არც გარიანია (გაგარი), არც ბატი, როგორც სხვა ტბებზე იყის.

ვისაც თვალი უდევნებია ამ იხვთა ცხოვრებისათვის, ბევრს საინტერესო ამბებს მოგვითხრობენ. ჩვენ ქართველებში კარგი მონადირე შეიძლება ძრიელ ბევრიც იყოს, მაგრამ იმ გვარიკი, რომელიც ერთსა და იმავე დროს ცხოვრელთა და ფრინ-ველთა ცხოვრებას თვალ-ყურს აღევნებდეს და აგვიწერდეს, ამის-თანა მონადირენი ჩვენში სულაც არ მეგულებიან. ამიტომ ისევ რუსის მწერალს დაუგდოთ ყური. აი როგორ აგვიწერს იხვთა ცხოვრებას ცნობილი რუსის მწერალი აქსაյოვი, რომელიც თითონვე გატაცხული მონადირე იყო და განგებ თვალ-ყურსაც აღვნებდა ფრინველთა ცხოვრებას.

„მეტად საგულისხმოა, მამალ იხვს რა რიგ თავგაწირულად უყვარს თავისი მეულლე! იმავე დროს-კი საშინლად ემტერება თავისავე დედალი იხვის ბუდეს, მის კვერცხებს და ჭუჭულებს. თუ რომ მიაგნო და იპოვნა მისი ბუდე, წამსვე მიანგრ-მოანგრევს და ბუდეში რასაც იპოვის — კვერცხები იქნება თუ გამოჩეკილი ჭუჭულები — ყველაფერს ანადგურებს: კვერცხებს სუამს, ამოსრუტას ხოლმე ან ნისკარტით დალეწას და პაწაწა ჭუჭულებს-კი ყველას ახრჩობს.

ხომ ასე უსამართლოდ, მტრულად ეპყრობა მამალი იხვი ჩამომავლობას, მაგრამ დედალი-კი ისე გაგიუებით უყვარს, რომ მის დღეში არ მოშორდება; ერთი წამი რა არი, ერთს წამსაც ვერ სძლებს თუ მეულლეს არ კურუკურება, თავს არ ევლება. რაც უნდა გაჭირვება შეემთხვევს, პირველი არ აფრინდება ადგილიდგან, ვიდრე დედალი არ დაიძრას. ხშირად შოხდება, რომ დედალი სადმე პატარა გუბეში ჭუჭალაობს, მამალი იხვი-კი განუშორებლად დარაჯივით ზის იქვე ნაპირას ან ქვაზე ან

ჩირგვებე. ამ დროს მონადირე უახლოედება მათ თოფის სრო-
ლაზე, მაგრამ დედალი ვერ ჰქედამს, ან ვერაფერს ამცნევს,
მამალი-კი ტრიალ-ფთხრიალს იწყებს, ცეირის, თითქოს ნიშ-
ნეულად ხმას ძლევსო, რადგან ნამდვილად ჰქედამს მათკენ
მომავალ მტრეს, მაგრამ შენც არ მომიკვდე, დედალი აინუნ-
შიაც არ იგდებს, აგერ აშკარად ჰქედამს მამალი, რომ მო-
ნადირემ მას თოფი დაუმიზნა, ნიშანში ამოიღო, მაგრამ დე-
დალზე ადრე მაინც არ აურინდება—სიკედილს რჩეულობს და
თავისი საყვარელი მეუღლის მომორებას-კი არა. აგერ იგ-
რიალა დაუნდობელი მტრის თოფმა და ერთგული მეუღლე იქვე
გაუარდა. დედალი იხვი თოფის ხმაზე წამსვე თავს უშეელის
ხოლმედა ცალი თვალით მაინც არც-კი დაჭხედამს მის სხვერპლს,
მისთვის მოკლულს მეუღლეს.

სულ სხვა სურათია თუ რომ მონადირემ დედალი იხვი
მოჰკილა. მაშინ მამლის ცოდვით ქვეყანა იწვის—ჯერ თავს
დასტრიალებს მონადირეს, გულ-საკლავად დაჭივის და მერე
რამდენიმე დღე განუწყვეტლად დასტირის იმ აღგილს სადაც
საყვარელი მეუღლე მოუკლეს.

ახლა წარმოიდგინეთ იხვის დედაშვილური სიყვარული,
რამდენი სიფრთხილე და ხერხი ჰმართებს დედალ იხვს, რომ
თავისთვის ბუდე მოაწყოს და მეუღლის მალულად კვერცხები
დასდოს, კუჭულები გამოიჩენა!

ჯერ საღმე იმისთანა მიფარებულ აღგილს იმზადებს ბუ-
დეს, საიდგანაც გაჭირვების დროს გაქცევა-დამალვაც შეეძ-
ლოს; ამისთანა სახერხო აღგილად-კი უფრო გუბის ანუ ტბის
ნაპირებს რჩეულობს. აგერ დაუდგა დრო დედალ იხვს კვერ-
ცხის დებისა, და ახლა-კი სულ იმის ცდაშია რაიმე ეშმაკო-
ბით გაეპაროს თავის მეტად განუშორებელ მეუღლეს. აქვე
ტბის ნაპირს დაჯდება, თავს ფრთის ქვეშ ამოიდებს... მითომ

მძინაბსო. მამალ იხვს მართალი ჰელინია თავის მეუღლის ძილი და თითონ-კი ნამდვილ ძილს მიეცემა ხოლმე.

ამ დროს დედალი იხვი ფრთის ქვეშ-ქვეშ მომძინარებული ცალის თვალით უცქერის მამალს და რაკი დარწმუნდება სძინავსო, წამსვე მიიმალება კილ-ბალახებში. თა ან ოც საეგნზე მეტს ქურდულად გაძრება-გამოძრება კილსა და ლერწმებში, მეტე რომ უფრო უკეთ არიოს გზა და კვალი, ცოტათი მაღლა ამოფრინდება, პაერში რამდენჯერმე იმზრვლივ შემოუვლის და სრულებით სხვა მხრით ისევ დაეშვება ბალახებში და თავის მზა ბუდისკენ ფარულად მიძრება. კვერცხს დასდებს თუ არა, ფრთხილად წააყრის ზედ ბალახსა და ბუმბულებს. ახლა ისევ სხვა გზით, სრულებით სხვა მხრით ისევ ბალახ-ბალახ გაძერება, ამოფრინდება, რამდენჯერმე შემოუვლის იმ ადგილის ახლოს სადაც მისი მამალი ზის, დაეშვება ისევ დედამიწაზე და სრულებით სხვა მხრიდგან მოევლინება თავის ერთგულს მეუღლეს. იშვიათა, რომ მამალი იხვი მთელ ამდენ ხანს გაბმულს ძილში იყოს. ზოგჯერ დედალი მთელ საათს იგვიანებს და ამ დროს გამოლვიდებული მამლი იხვი მოუსვენრად უძახის და დაეძებს თავის გაპარულ მეუღლეს, გაუაციცებით ათვალიერებს ყველგან და აჩქარებული დაცურაობს, უვლის ტბის ნაპირებს და დაეძებს თავის დედალს, მაგრამ არც ისე ძრიელ შორს მიდის, იმედს არ ჰყარგავს, ჩქარ-ჩქარა უკანვე იხედება, ხომ არ მოდის, ხომ არ მოცურაობს ჩემი საყვარელი მეუღლეო.

ზოგჯერ დედალ იხვს სხვა ეშმაკობაც სჭირია. როცა და-ჰედაბს, რომ მამალს ძილი არ მოსდისო, მივა და მოგოლერ-სება, დაუწყობს ნისკარტით ფხანვას მამლის კისერს და ზურგს, მოუხილავს ბუმბულებს და ამასობაში მიაძინებს. ზოგჯერ-კი ფხიზელ მამალსაც გაეპარება ხოლმე. რომ დაატყობს მამალი ძრიელ მაღიანად მიირთმებს საუზმესაო, ან თუ მამალი სხვა რასმეზე გაერთო, დედალი წამსვე გაპერება, ბალახებში მიიმა-

ლება და გასწევს თავის ბუდისკენ კვერცხის დასაღებად. მაგრამ მამლის ასე მოტყუება ყოველთვის, ჩასაკეირველია, რომ ძნელია, საწყალ დედას ზოგჯერ ძვირად დაუჯდება ხოლმე ბუდის და კვერცხების სიყვარული. თუ მამალი მიუხედა ეშმაკაბას, განრისხებული გამოყიდება დედალს, ჩასჭიდებს ნისკარტს კისერში, გამოათრევს ტბაზე და აქ იმდენს მიარტყამს, ვიდრე ჩვენ მივეშველებით — საწყალ დედალს ნაწიწკნი ბუმბულები პანტასავით სცივია.

ასე თუ ისე დედალი იხვი მაინც ახერხებს და მამლის მალულად თორჩმეტამდე კვერცხს სდებს. ახლა-კი სრულებით დაემაღება მამალს და კვერცხებზე ჯდება კრუხად. თთქმის მთელი დღე ზის კვერცხებზე და მხოლოდ დღეში ერთხელ გადმოდის ცოტა ხნობით, რომ იქვე ახლო-მახლო მალულად, ხელად შეჭამოს, შესვას რამე.

მთელი სამი კვირა უნდება კვერცხების გამოჩეკამდე და ამიტომაც კრუხი ძრიელ გამხდარია. ბოლოს გამოიჩეკებიან იხვის ჰუმულები მონაცრო კვითელი ფერისა და ორიოდე კვერცხიც უკეცველად ლაყუ გამოდის, რადგან იხვი კრუხი თანაბრად ვერ ათბობს ცველა კვერცხებს.

გამოიჩეკებიან თუ არა, ჰუმულები აღარ ჩჩებიან ბუდე-ში. რამდენიმე საათის შემდეგ დედას მიჰყავს და იქვე ტბის ანუ გუბის ნაპირთან საღმე ჭილიან, ჩალიან მყუდრო აღგოლებში დაცურაობენ. რა ალაგასაც წყალში ჰუმულებს ცურვა უჭირდებათ, დედა ფრთხილად, ნაზად ჩავლებს ნისკარტს და პირით გადაჰყავს. ეს ბევრ მონადირეს უნახავს და მეც ჩემი თვალით ვნახეო, ამბობს აქსაკვი.

რა განუსაზღვრელი დედა-შეილური სიყვარული აქვს დედალ იხვს, შემდეგ მაგალითებიდგნ შევიტყობთ: როდესაც ძალი ანუ კაცი ბუდიდგან ააფრთხობს, დედალი იხვი აფრინდება თუ არა, მაშინათვე თავს მოიმიზეზებს, ისე ფრინავს თი-

თქოს ფრენა არ იცისო, ანუ თოთვ ნაკრავია და ფრთხებში და-
კრილიათ, ასე რომ ვინც უნდა იყოს, იფიქრებს აღვილი და-
საჭერიათ და მაშინათვე გამოუდება. დედა იხესაც ეგ უნდა.
ძრიელ იშვიათია, რომ მონადირე ძალლი არ მოსტყუვდეს. ამა-
სობაში იხვი ძალლს ტყუებ-ტყუებით მოელ ვერსს შეტ მან-
ძილს ატარებს და მით თავის ბუდეს გადაარჩენს განსაცელი-
სგან. მაგრამ გამოუდილი მონადირე-კი მალე მოუხვდება ხოლ-
მე იხვს ეშმაკობას და თუმცა იმავე დროს დარწმუნებულია,
რომ დედა იხვს მოელი ბუდე კვერცხები, ვინ იცის დღე-დღე-
ზე გამოსაჩეკი, ოხრად დარჩება, მაინც მონადირეს ავიწყდება
ცოდო-მადლი და საწყალ თავ-განწირულ დედას თოვით ულებს
ბოლოს.

უფრო ხშირად-კი დედალი იხვი თავის პუპულებს ჟეს-
წირავს ხოლმე სიცოცხლეს. ახლად გამოჩეკილი პუპულები
დედას დაკავას და არხენიად დაუტრაობენ ტბაზე, მყუდრო
ადგილს, მაგრამ ნაკირს-კი მაგრე რიგად ძრიელ არ შორდე-
ბიან, რომ ვინიცობაა მტრისაგან თავი შეაფერონ ჩალა-ბუ-
ლაში. დაინახვნ თუ არა მტრის (მონადირეს), წამსვე საცა-
დავად შესწივლებენ პუპულები და შურდულის ქვასავით გაე-
ქანებიან ბალახებისაკენ და აქ იმალებიან. დედა იხეი-კი ტბა-
ზე რჩება, ზარდაცემული ყვირის, სცემს ფრთხებს და აქაპუ-
ნებს წყალს. მერე აფრინლება და მონადირეს ხან წინ ელობე-
ბა, ხან თავს დასტრიალებს. ამ გვარად მონადირე უნგბლიერდ
მოელ თავის უტრადლებას დედა იხვს აქცევს და იხეი-კი ამ
დროს სულ იმის ცდაშია, მონადირე სხვა მხარეს გაიტყუოს,
პუპულებს მოარიდოს. ადამიანიც, ხომ მოგეხსენებათ, შეუ-
წყნარებელია, უმიზნებს თოთხს და, შეილებისთვის თავ-დადე-
ბული დედა, გულში ტყვია ნაკრავი, მკვდარი დაეცემა ხოლმე
ტბაზე. ცქრიალა პუპულები, რაც უნდა პატარები დაოპლდ-
ნენ, მაინც ახერხებენ თავისი თავის გამოზღა-ვამოკვებას. ზოგ-

ჯერაც სხვა დედა-იხვის კუპულებს შეეყდლებინ და ორი ბუღობა ერთად დაუურაობენ. მე მინახავსო, სწერს აქსაკოვი. ზოგჯერ ერთი კრუხი დედა-იხვი ოცზე მეტს, სხვა-და-სხვა სიდიდის კუპულებს, მიუძღვდა.

კუნძულზე სეირნობის დროს ერთი მეთევზე შემგებაასა:

— „ბატონო, ი გარიანი რო ბძანეთ, ზოგჯერ ტბაზე გადმოივლიან ხოლმე, მაგრამ ჩვენი კაცი იმათ ხელს სულ არ ახლებს.

— რატომ?

— იმიტო, ბატონო, რომ გარიანის მოკვლა დიდი ცოდა—იმას ჩვენი კაცი თოფს არ ესკრის. მოხდება—კი ხოლმე, როგორ არ მოხდება, ზოგი კაცი ან თავხედობით, ან უცოდინარობით მოკვლამს გარიანს, მაგრამ მოკლულის მეუღლის ცოდვით, მთელი სოფელი იწვის—ჯერ მთელი ორი დღე იმ ადგილს დასტრიალებს, სადაც მოუკლეს მეუღლე; ისეთი გულამოსკენით ყვირის, ადამიანი გეგონება, ხან-კი ეძახის, არა სჯერა, რომ მცირდარია, თუმცა—კი მოკლული გარიანის ბუქ-ბულები იქვე ტბაზე ცურაობენ.

— ეგ რა უყოთ, უველა ცხოველი და ადამიანიც მაგრეა. შენ არავინ მოგედომია შენი ახლო ნათესავი ან ნაცნობი? თუ გინდ შენი ხელითვე დამარხო, აბა კარგა მოიგონე, ჩაუფიქრდი, გჯერა ადამიანის სიკვდილი? გჯერა, რომ ის შენი ნათესავი ანუ ნაცნობი ახლა მკვდარია?

— ეი... აი დიდება შენდა, ღმერთო! ე მწიგნობრობა რა კარგი რამ ყოფილა! ჩვენ აბა მაგის პასუხი კეკაში საიდგან მოგვივა და ის-კი უნდა მოგახსენო, რომ შარშან ერთი საყვარელი დაი მომიკვდა, მაგრამ მე დღესაც ისე მგონია, საცა წავალ, იმისი სული ჩემთან დაიარებაო. სიხმარში ხომ ხშირად ეხედამ. ჩვენი მოხუცნი ამბობენ—წირვას თხოულობსო. მოგეხსენებათ, შენი კირიმე—„სანთელ-საქმელი თა-

ვის გზას არ დაჲკარგავისა” — ნათქენიმია და ჩვენც ახლა წლის წირვას ვაპირებთ... მაგრამ, ბატონო, ი გარიანის ამბავი არ გაძათავებინეთ...

— როგორ არა... მე ველი. აბა სოქვი, რა უნდა გეთქვა?

— მე ის უნდა მეთქვა, შენი კირიმე, რომ გარიანის-თანა ცოლ-ქმრული სიყვარული აღამიანებში არც მინახაშს და არც გამიგონია. მთელი ორი-სამი დღე დაუალებული გარიანი არც სკამს, არც სეამს, ბოლოს იმედს რომ გადიწყვეტს, ავა საღმე ფრიალო კლდეზე, თავს ფრთის ქვეშ ამოიდებს და ციცაბ კლდეზე ქვასავით დაეშვი ბა, დაგორდება და თავს იქლამს. აი, ახეთი მეუღლეური ერთგულებაა ამ ფრინველთა შორის და აბა, ღმერთი არ არი? კაცბა როგორ უნდა გაიმეტოს მოსაქლავად გარიანი...

— შენი სახელი?


— დემეტრე, შენი კირიმე.

— მართალი ხარ, ჩემო დემეტრე. მაგისთანა მეუღლეობა, როგორც მაგ ფრინველთა შორის ყოფილა, აღამიანებში ძრიელ იშვიათია...

— იშვიათი როგორ არ არი, შენი კირიმე! თქვენში რა წესია, რა მოგახსენოთ და ჩვენში ჯავახეთში-კი აღათია, რომ ქმრის სიცოცხლის დროს მანდილოსანი მაგრე რიგად უცხო კაცს სახეს არ უჩენებს; მაგრამ როცა ქმარი მოუკვდება, მას შემდევ მთელი სახე ახდილი აქვს, მითომ რა არი, ხალხმა დაინახოს და ვისაც ექვენიკება მუშტრის თვალით გაშინჯოს...

კუნძულზედ ნასიამოენები ჩაესხედით ნაკში და ისვე მასპინძლის სახლისაკენ გავეშურეთ.

შუა ტბაში რომ მოვცურავდით მაშინ გაგვახსენდა ტბის სილრმე... მაშინ ვიგრძენით, რომ ჩვენი სული შენავეთა ხელ-შია, რომელიც ერთგულად უსვამდნენ საჭეებს.



— შენ, ეი დემოტრე!..

— რაო, ბატონო... .

— ე მუსიკით იყავი, თორე, ღმერთმა-კი დაგვიფაროს
და ე ნავი რომ გადაგვიბრუნდეს, მშვიდობით, ცოლო და
შეილო!.. 60—80 საუკის სილრმიდგან ვინდა ამოვეიყვანს?

— არა, შენი ჰირიმე, რაც კაცს არ უწერია, არ გადახ-
დება. ნუ გეშინიანთ, ბატონო... პირველი ხომ არ არი...
ხემწიფის შეილები გვიცურებია ამ ტბაზე...

შიშით რა იქნება — „შიში ვერ გიხსნის სიკედილსა, ცუ-
დია დალრეჯილობა“, — ჩეენი ბერიუაცი იტყვის ხოლმე.

შიში ტყუილი გამოიდგა, მშეიღობინად მივაცურეთ ჩეე-
ნი ნავი ისევ მასპინძლის კარებთან და დიდი მაღლობა გადუ-
ხადეთ სიამოენებისათვის.

ბ. ივ. როსტომაშეილმა ჩეენი ტბაზე ნავით სეირნობა
ფოტოგრაფიულად გადილო, რომლითაც შეიძლება წარმოდ-
გენა იქონიოთ ამ ტბის და მისი არე-მარის სურათისა (იხ. გვ.
65), აგრეთვე გადილო წითელ საყდრის ეკლესია და თითონ
სოფელიც.

სამწუხაროდ, სხვა მაზრებში აღარავინ მიპააძ იეანე რო-
სტომაშეილის მაგალითს, რომელმაც მთელი ჯავახეთის არქე-
ოლოგიური ნაშთი ზედ-წარწერებითურთ ფოტოგრაფიულად
და ხელით გადილო და აღწერა. დარწმუნებული ვარ, არც
ერთი სხვა მაზრა საქართველოში ასე საესებით არ არის აწე-
რილი და გადაღებული, როგორც ჯავახეთია, რისთვისაც დი-
დი მაღლობის ლირისა სამშობლოსათვის დაუღალავი მოლეაწე
ივანე როსტომაშეილი.

ცველა ჩეენგანს ამდენად რომ შეგნებული ჰქონდეს თა-
ვისი ზნეობრივი წმიდა მოვალეობა სამშობლოსადმი, მაშინ
რაღა გაუკირდება ჩეენს მომავალს თაობას!

ტბის შუვენიერ სურათს აღტაცებულნი გავცეკროდით.
ჩვენმა მასპინძელმა გვინდო:

— ბორჯომიდგან აქ ხშირად მოდიან მოაგარაკენი, გან-
გებ ამ ტბაზე სასეიროდ. თვით დიდი მთავარნიც ხშირად გა-
სულან იმ კუნძულამდე; ხემწიფის შვილმაც (აწ ტახტის მემ-
კვიდრე) ორჯელ ისეირნა და კუნძულზედაც ინადირა.

სანდაძემ ოქროს საათი გვაჩვენა:

— ეს ოქროს საათი ხემწიფის შვილმა მე მაჩუქა და ჩემს
შვილებს კიდევ ყველას ვერცხლის საათები დაურიგა. სტუმ-
რად ჩემს სახლში ბრძანდებოდა.

ნამესტრიკემაც (დიდი მთ. მიხ. ნიკ.) მედალით დამიჯილ-
დოვა და ერთი თოვე პიბოლისა მიბოძა. ამ მხარეში განსაკუ-
თრებით მე და ჩემს შვილებს გვაქვს ნამესტრიკისაგან ნება დარ-
თული პიბოლის და ბერდანკის თოვები ვიქონიოთ.

ეს, ხომ მოგეხსენებათ, მთა ალაგია და ბეკრჯელაც გვატუ-
მრებიან აეაზაკები, თარაქამა ყაჩალები, პაგრამ ვერას გვაკლა-
ბენ.

თ ა ვ ე VI.

ზამთრის სურათი გაყინულ ტბაზე.—დედა-შვილის ბასი ვა-
ყინულ ტპაში თევზა ცხოვრებაზე.—თმოკველის შენი შენა
ბუნების უცოდინარობაზე.—მეოვეზის მარტივი ახსნა.—ორ
არშინ ქვევით რატო ტბა არ იყინება?—„გიმნაზისტების“ სისუს-
ტე საკამათო საგანზი.—ჩევნ ქალ-გაჟო რად არ უყვართ გიმნა-
ზის დასრულება.—მარტო გიმნაზი იჯახისთვის ქალს ვერ
მოამზადებს.—ცხოვრებაში გამოსაღევ ქალებს უფრო პოლო-
ნელნი და ნემცები ზღიან.—ქათამ-შველის მოყვანილი მავა-
ლითი.—იჯაზი და ჰარამ-ხანა?—ყოველი ბუნების სხეული
სითბოსაგან განიერდება, სიციესაგან იყუშება.—რა ცული
დღე დაგვადგებოდა. უკეთუ წყალი ამ კანონს დამორ-
ჩილებოდა.—„რაც გინდ ყინამდეს ზამთარი“ თევზთა
ქეიფს ვერ დაუშლის.—წყალი-სითხე, წყალი ყინუ-
ლი.— წყალი ირთქლი.—კეკა-ქუხილით ყუმბარები
დახდიერილი.



ომ ტბის ყურებით ველარ ვძლებოდით, მასპინძელ-
მა ლიმილით ვვითხრა:
— „ჰმ! ნეტა ზოგი ზამთარშიაც გიჩვენათ ჩვე-
ნი ყოფა. აქაურობა 8—9 თვე უგზო უკოლი შე-
კრულია თოვლისაგან. მაგრამ ჩვენს ბეღზე ტბა ისე
ძრიელ იყინება, რომ ზამთრობით ჩვენი გზა მხოლოდ ეს
ტბა არის და ზედ მთელ ზამთარს ხე-ტყეს ზიღვენ ბორჯო-
მის ტყიდან სომხები და ლუხაბორები. მაღლობა ლმერთს, ჯერ
აქ არავითარი უბედურება არ მომხდარა, რადგან ტბა ძლიერ
ლრმად იყინება“.

— „უი! გენაცვალე დედა... საწყალი თევზები, მაშ ზამ-
თარში ხო სულ დაიყინებიან?“— მიმართა პატარა ქალმა თავის
დედას, ჩვენს თანამეზავრს.

— არა, შეილო, რად დაიყინებიან, აյრ ზამთარშიაც მო-
აქვსთ ხოლმე კალმახი!

— მაშ თუ-კი ჩვენ გვივა ზამთარში? ხელ-ფეხი გვაძ-
რება?

— ბატონთ თეკლე, გთხოვთ აუხსნათ თქვენს ქალს, რა
მიზეზით არ იყინებიან წყალში თევზები—ჩაერია ბასში ბ-ნი
თმოგველი.

— მე რა ვიტი რატომ არ იყინებიან... აგერ, შეილო,
მეთევზებს ჰქითხე და ისინი აგიხსნიან.

— გახსომთ ჩვენი არა ერთი კამათი, ბ-ნთ თეკლე. თქვენ
იმ აზრისა ხართ, რომ ოჯახისთვის შინაურულად გაზღილი
ქალი სჯობია; ბევრი სწავლა რა საკიროა ქალისათვისაო,
წერა-კითხეა-კი იცოდეს და მეტს რას აქნევს, ოჯახისთვის ისიც
კმარაო. აი ეხლა გაქვსთ თვალ-წინ მაგალითი. ბავშვის გონე-
ბა საზრდოს თხოულობს, მაგის ცნობის მოყვარეობა უეპელად
უნდა დააქმაყოფილოთ, მაგრამ თუ-კი ბუნებას არ იცნობთ,
რა პასუხი უნდა მისცეთ? მერე განა მარტო მაგას დაგეკითხე-
ბათ?—თქვენი ქალი ეხლა 12—13 წლისაა და მაგას ეხლა
ყველაფერი სურს გაიგოს.

— ბატონ! მაგისთვის რად „სპორობთ“, ჩვენი კუუთ,
იმიტომ არ იყინებიან ამ ტბაში თევზები, რომ ტბა ორ არშინ
ქვევით აღარ იყინება. თუ-კი თქვენ თქვენს ოთახებში არ იყი-
ნებით, თევზების სამყოფელი აღგილიც ეს ტბა არი. ასე და-
უწესებია ღმერთს, ვენაცვალე იმის მადლს—დააბოლოვა მე-
თევზე დემეტრემ.

— მართალი ხარ, ჩემო დემეტრე, მაგრამ მარტო ეგ პა-
სუხი არ გვაკმაყოფილებს. ჩვენ მიზეზი გვინდა შევიტყოთ,
ორ არშინ ქვევით რატომ არ იყინება ტბა,—უპასუხა თმოგ-
ველმა და ახლა მეორე ქალს დაეკითხა:

— ქალო, კატო, შენ ხო „გიმნაზისტკა“ ხარ, აგვიტენ
საგანი ჩეენის ბაასისა.

— Оставьте, пожалуйста!.. ჩეენთვის ეგ არ უსწავლე-
ბიათ.

— „ჰო და აბა მიტომ მომისხენებია თქვენთვის, რო გიმ-
ნაზიას გათავება უნდა. ჩეენი ქართველი ქალ-ვაჟნი რის ვაი-
ვაფლახით მეხუთემდე-კი მიატანთ ხოლმე და მერე მორჩა და .
გათავდა—ე რუსული ხო ვისწავლეთო (მოდინისთვის) და და-
ნარჩენზე თავი რალასთვის ვიტქეთოთ. ამ აზრს თავაღი უმა-
ტებს: მე ისეც „ნეიაზი“ ვარ და რომელი „ლიმნაზია“ მომცემს
კნიზობასათ—დე უბრალო კაცის შვილებმა იტეხონ თავი,
რო ხარისხი რამ მოიპოონ. ჰო და იმას მოგახსენებდით, ქა-
ლო, კატო, თქვენ რო მეხუთიდან არ გამოსულიყავთ და
ფიზიკა გესწავლათ სულაც არ გეუცხოებოდათ ჩეენი საკამა-
თო საგანი“.

— „უი! ნეტავი არ მინდა, მიუგო ქ-ბა თეკლემ—მე რო
ი თქვენი ფიზიკიანი ქალები მინახავს, ერთი იმისთანა შეგხვ-
დეთი ცოლად, ი ოჯახს რო ყირაბალა გადაგიბრუნებსთ, მა-
შინ მომიგონებთ, მართალი ვიყავ თუ არა. ძველად ქართველ
ქალს ფიზიკას-კი არ ასწავლიდნენ, ასწავლიდნენ ქმარ-შვილის
სიყვარულს, ოჯახის მოვლას, ერთგულებას და „რაც ვის რა
ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდესო“. ქართველი
ქალი ყოველთვის მორჩილი იყო თავისი ბელისა და რაც უნ-
და მძიმე ყოფილიყო მეუღლობის უღელი, მის დღეში არ გა-
უტქიდა სახელს თავის თავს და თავის იჯახს, თავის ქმარ-
შვილს“.

ჩემის აზრით, თუმცა ბ. თმოგველი არც გასამტყუნარია,
აბა სწავლა ვის მოსპარბებია, რომ ჩეენისთანა დაქვეითებულ
ხალხს სწავლა მოსპარბდეს, მაგრავ ისიც-კი მართალია, რომ
მარტო გიმნაზიები იჯახისთვის გამოსადევ ქალს ვერ მოგვიმ-

ზადებენ. ოჯახისთვის ქალი, ოჯახშავე უნდა აღზარდოს, მო-
ამზადოს. მეორეც ესა, თუ ქალს ბუნებითვე დაყოლილი არა
აქვს ოჯახის მოვლის ნიკი, აქ ან სწავლა რა შუაშია, ან უს-
წავლელობა. ქარაფშუტა ტიკინა ქალებს, რომელთაც თავის
სიცოცხლის მიზნად, მხოლოდ მოდაზე ჩატანა-დახურვა და ტან-
ცი-მანცი მიაჩნიათ, სწავლა-დასრულებულებშიაც შეხვდებით
და უსწავლელოთა შორისაც. აგრეთვე ქმარ-შეილის მოყვარულ,
ოჯახისთვის თავდადებულ მოყირათე ქალს უსწავლელებშიაც
იპოვით და ნასწავლებშიაც. მკითხველი დამეთანხმება, რომ
ცხოვრებაში გამოსადევ ქალებს უფრო პოლონიელნი და ნემ-
ცები ზრდიან. ეს ხალხი გარდა გიმნაზიურ სწავლისა, ოჯახში
და პროფესიანალურ სკოლებში ასწავლიან ყოველივე იმას,
რაც მომავალში საჭიროა მათთვის ოჯახის მოვლისთვის და
ცხოვრებაში გამოსვლისთვის. ამიტომაც რაც უნდა დიდებულ
მაგნატის და მდიდრის ქალიც იყოს უეჭველად ასწავლიან
ოჯახის მოვლას, ქრა-კერვას და მზარეულობას, რისთვისაც მო-
ზარდ ქალებს, თუ რამდენიმეა ოჯახში, თითო კვირის ჯერი
აქვთ და ამ ერთ კვირას მთელი ოჯახის შოვლა, თადარიგი
მორიგ ქალს ეყითხება.

ამ აზრს დაემოწმა ბ. ქათამაშეილი, რომელმაც გვიამბაზ:
— „ერთი კა ნაცნობი ქართველი ინტელიგენტი მყვას, რო-
მელმაც ვარშავაში ყოფნის დროს ეხლახან პოლონიელი ქალი
შეირთო. ქალი გამოჩენილი გვარისაა, სწავლა დამთავრებული
და კონსერვატორია გათავებული, უყელა ამას დაუმატეთ 15
ათასი მანეთიც ქრთამი. ახლა გაკვირვებულს ვართ. ეს ქალი
ზატარა, 10—12, წლის ბიჭით იოლას მიდის და მთელი დღე
უქნავ ტრიალებს — მზარეულიც ის არის, მოახლეც და მოსამ-
სახურეც... გაკვირვებულს ვართ. ჩეენი ქალი, — ცოდო გამე-
ლავნებული სჯობს, — ჩეენი ქალი ვერ იზამს ამას და აბა რო-
გორ ესთქვა ტყუილი. ახლა უყურეთ ამ პოლონელ ქალს,

როცა სალარბაზოდ ან სასეირნოდ გამოდის, იმაზედ, გრანდიას ჩვენს ქალაქში ვერც-კი შეხვდებით. აი ქალი ამას ქვია... დაიღლოცოს იმის აღმზრდელი...

„ჩვენ დედებს-კი საკვებურიად ის მიაჩინიათ: „ისე გამიზდია, ვენაცალე ჩემს ლოლოს, რომ ხელი არაფერზე გაუსვრია — სამზარეულოში ფეხი არც-კი შეუდგავსო“.“ მახლას! რას იზამ... მერე-კი ვჩივით, ყმაწვილებს გამტუნებთ, ოჯახზე გული რადა აქესთ ატრუქმოლი, რატომ ცოლს არ ირთავენ, ოჯახობას არ ეკიდებიანო. არა, ერთი მიბძანეთ, მუქთა ხორა ცოლი ვის რა პირად უნდა! — „მავამეთ, მასეით, მოდაზე ჩამაცვით, მასეირეთ, გამართეთ“... ე... მერე... გარჯა?.. „დიახ, როგორ არა, უკაცრაოდ! მე შენი „კუზარე“ როდი ვარ“. აი ჩვეულებრივი პასუხი ზოგიერთა ქალისა — ოჯახის დედა ბოძისა...

„უკაცრავად-კი გახლავართ, და ამისთანა ქალების ალაგი, პატიოსანი ოჯახი-კი არა, პარამხანაა!“

— „ბატონო... ე სიტყვა ბანზე-კი ნუ ააგდეთ, კრთი, თქვენებურად ავიხისენით, მაშ რა მიზეზია, რომ ზომთრობით ტბაში თევზი არ იყინება — მიმართა ცნობის მოყვარე მეთევზე დემეტრეჟ ჩვენს აყლაყუდა თანამგზარს.

— „საქმე ხო ცოდნა არ არი, ჩემო დემეტრე, საქმე ის არის, რო მე შეიძლება ვერც-კი მოვახერხო ქართული ენით გასაგებად ავხსნა...“

— ე, შე დალოცვილო, და მა რილის ქართველი ხარ, თუ-კი ქალთულიც არ იცი. მა რილასოვეს გაწუა ქართველმა დედამ ი ტკბილი ძუძუ, — მიუკო დემეტრემ.

— ისევ შენ ვვიამბე — სთხოვა აყლაყუდამ თავის ამხანაგს ბ. ვარძიელს და ესეც არ დაწიარდა:

— „დიდის სიამოვნებით, მაგრამ ჩემის აზრით მეთევზემ, თავის გამოცილებით, საქმაოდ ახსნა. მაგაზედ მეტად-კი ან

რა საქიროა, რომ ეგ საგონი ყველად უეპევლად შეცნიერულად იციდეს — ცხოვრებაში რა გამოსადევება. თუმცა კი ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი დროის საუკეთესო შეცნიერთა აზრით, ვინც ბუნებას არ იცნობს და ბუნების შეცნიერება არ შეუსწავლია, იმას არავითარი უფლება არა აქვს თავის თავს განათლებული კაცი უწოდოს. მართლაც და ბუნების უცოდინარი განათლებული კაცი ემსგაცება ჩვენს შინაურ უმეტარ ექიმებს, რომელთაც ადამიანის არც ანატომია იციან, არც ფიზიალისა და მკურნალიბას-კი ჩემულობენ“.

ბოლოს ბ. ვ. პირდაპირ გადავიდა სამცნიერო საგანზე:

— „რაღა თქმა უნდა, დიალაც საინტერესოა ვიცოდეთ, ასე საშინლად რო იყინება ზამთრობით ეს ტბა, რატომ კალმახინ-კი არ იყინებიან. მაგრამ წინადვე ბოდიშს ვიხდი, თუ ადვილ გასაგებ ენით ვერ აგიხსნათ...“

„საქმე იმაში მდგომარეობს, ბატონებო, რო ბუნებას კეუს ვერ ვასწავლით, თავის ოჯახში ყველასათვის სარისტა, წესი და რიგი მიუცია. ყველგან და ყველაფერში შესანიშნავად აქვს დაცული ოჯახის ყაირათი და თადარიგი.“

აქ დემეტრე ერთი ორი ამოიკვნესა...“

ხოლო ბ. ვ. განაგრძო: ।

— „ბუნებას ბევრი დაურღვეველი, გადაუვალი კანონები აქვს, რომელიც განაგებენ მთელ მსოფლიოს. ამთ შორის ერთი კანონია, რომლის ძალითაც უოველივე სხეული ბუნებისა სითბოსაგან განიერდება, ფართოვდება და სიცივისაგან იკუმშება, პატარავდება.“

— დროისა! — წამოიძახა აყლაყუდამ.

— „მაგალითად, გენახებად უთოოდ, როცა მპედელს უნდა, რომ ურმის თვალს ჩეინის სალტე გადაუჭიროს, მაშინ მპედელი ძალზე გახურებულ ჩეინის სალტეს ჩააცვალს ხოლმე ურმის თვალს და იმ წამსვე ცივ წყალში აციებს“...

— მართალი ბძანებაა, შენი პირიმე — წარმოსთქა დემეტ-რემ—როცა გვედელი რკინის სალტეს აკეთებს, განგება აკლებს ზომას, ასე რო ციფი სალტე ურმის თვალს სრულებით ვერ ჩეცემის და იმიტო აცხელებს სალტეს, რომ გაგანიერდეს და აღვილად ჩაეცას ურმის თვალს. მერე რაკი გაცივდება სალტე თავის ზომისა დაღება, ურმის თვალს მოვკირება.

— ვიწრო ფეხთსატელი, შეიძლება იმდენად არ გაწუხებდეს — მოიყვანა მაგალითი აყლაყუდამ, — მაგრამ აბანოში ბანების შემდეგ რამდენს ვეწვალებით ხოლმე, ვიდრე ვიწრო ფეხთსატელს ჩავიცავმდეთ.

— „ მაშასადამე — განაგრძო ბ. ვ. — რაც შეტაც ცხელდება რამდენ სხეული, იმდენად მისი მთელი გარსი (ინჟენერი) უფრო, მიტულობს, მეტს აღვილს იქერს და მჭიდროება (спеціаліст), აგრეთვე სიმკარივე (пілотності) სხეულს აკლდება, თანაც წყალში სუმბუქდება.

პირ-იქით, როცა სხეული ცივდება და რამდენადაც ძრი-ელ ცივდება, გარსში კლებულობს, მჭიდროვდება, იკუმშება, მეტავრდება და მძიმდება.

„წყალი რო ამ კანონის ძალის ემორჩილებოდეს, მაშინ, თქენი მტერი! ზამთარში ტბა-მდინარენი და ზღვა-ოკეანენი სუ მთლად გაიყინებოდნენ, ზედა პირიდგან ძირის ძირამდე ყინულის ლოდად გარდაიქცეოდნენ.

გაგალითად, ზედა პირი ტბისა გაიყინებოდა თუ არა და-ძირებოდა, ახლა ყინულ ზეით მოქცეული წყალი გაიყინებო-და, დამიმდებოდა, კვლავ დაიძირებოდა და კიდევ და კიდევ. რალა თქმა უნდა, რომ ყინულში ყოველივე სიცოცხლე მოი-სპობოდა, წყალთა ცხოველნი მთელ ქვეყანაზე გაწყდებოდ-ნენ. ეს-კი წარმოსალებენადაც ძნელია, რაღაც დასაბამიდგავე სიცოცხლე ჯერ წყალში გაჩნდა და მერე ხმელეთს მოეფინა“.

— „ კაი საქმეც დაგვემართებოდა, თქვენმა მზევ, რო წყალ-

თა ცხოველნი გაწყდნენ, —ჩაერია ლაპარაკში ჩვენი აყლაყულა. — რას ბძანებთ, რამდენი მილიონი ხალხი დარჩებოდა მშეეფრი. არამათუ წყალთა ნაპირების მცხოვრებთა, არამედ მთელი სახლმწიფოთა კეთილ დღეობა და ხალხთა სიმდიდრე წყალთა ცხოველების ნაღირობაზეა დამოკიდებული“.

— „ისიც-კი უნდა წარმოენდგინოთ, —დაიწყო ისევ ბ. ვ. — ტბა-მდინარენი და ზღვა-ოკიანენი მთლად რო იყინებოდნენ, ამ სისქე ყინულს ან-კი რა გაალხობდა!? თორმეტი მზე, მცონი თორმეტი ზაფხული რო ცდილიყო ვერას დააკლებდა. „კიდეც ამიტოა, ბუნება ბრძნულად მოიქცა და გზა აუხვია თავისავე კანონს, რადგან მისი ოჯახისთვის გამოუსადევარი და გამანადგურებელი იქნებოდა.

„ბუნებამ წყალს და მსოდოდ წყალს, სულ სხვა, განსაკუთრებითი თვისება მიანიჭა. ეს შესანიშნავი განსხვავებითი თვისება-კი იმაში მდგომარებს, რომ როცა ზამთრის პირას სიცივე ჩამოვარდება და ჰაერის სითბო 4° გრადუსამდე ჩამოვა, ამ დროს წყალი იუკმება, მომატებულად მჭიდროვდება, გარსში კლებულობს და შედარებითი წონაშიაც (უქმელესი ცხის) მარულობს. 4° სითბოს წყალი რაკი გადასცილდება, სითბო დაადგება თუ სიწიგვა, ეგ სულ ერთია, მაინც გაზიერდება, ფართოდება.

„როგორც საზოგადოთ, ისე ამ ჩვენი ტბის წყალი, როცა ზამთრის პირას 4° სითბოს გახდება, ძირის სართული წყალზე უფრო მძიმე შეიქმნება და ამიტო ტბა ჩასძირამს ამ დამძიმებულ ზედა პირა წყალს; ხოლო მის მაგიერ ძირიდგან სუბუქი წყალი ზევით აძოვა, აქ ისევ 4° სითბოს შეიძენს, დამძიმდება და ისევ ქვევით ჩავა, ჩაიძირება. ამ გვარად წყლის ნაკადულნი განუწყვეტლად აღი-ჩადიან, კიდრე მთლად ტბა ერთნაირ ტემპერატურისა, 4° სითბოსი, შეიქნება.

„მერე ზამთრის სიცივე-ყინვები რო დაიკერს, ტბის ზე-

და პირი შეტად გაციუდება, წყალი იყინება, კ. ი. წყალი 4° სითბოს ქვევით ჩამოდის, 0° იყინება და შეკუმშვის მაგიერ, რაც სხვა სხეულს უეჭველად დაემართებოდა, წყალი-ყინული განიერდება და შედარგითი წონაშიაც კლებულობს, სუმბუქდება.

ამიტომაც ყინული წეაზე გაცილებით სუსტება და ტბაზე ჩატეხის დროს ატივტივებული დაცურაობს.

, მდინარენიკი სხვათა შორის, მთლად იმიტო არ იყინებიან, რომ განუწყვეტელ მოძრაობაში არიან და საცა მოძრაობა იქ უეჭველად სითბოც იბადება. შეტადრე ჩეენი გიგი მდინარენი, გააფთრებული ქვიდვან ქვაზე რო დახტიან, ძნელად იყინებიან და მხოლოდ იმ აღაგას, საცა მდორედ მომდინარებენ.

, „მაგრამ ზღვა-ოკეანენი და ტბა-მდინარენი მაინც ძრიელ ძრმად გაიყინებოდნენ, თუ რომ ბუნებაში არ არსებობდეს ყოვლად ძლიერი დაბრკოლება — ფარედა-სითბო (скрытая теплота).

მაგალითად, ერთ გირგანქა წყალს 79 ერთეული სითბომბადი (теплородъ) უნდა წავართვათ, რომ 0° ყნულად გარდაიქცეს. ამას-კი ვერ შესძლებენ თვით ჩრდილოეთის ხანგრძლივი და საშინელი ყინვა-სიცივები.

, „ამასთანავე, თოთონ ზედა პირი ტბისა, რაკი გაიყინება, როდი-ლა უშვებს სიცივეს ძრმად ტბაში. მაგალითად, შემოდგომის ნათესი ზამთარში იმიტო არ იყინება, რომ თოვლის პერ თბილად ინახება, თოვლის ქობა არ უშვებს მიწაში სიცივეს და უთოვლო ზამთარი თუ შეხვდა, მაშინ ყანები ძრება-იღუპება...

„არც ზაფხულის სიცე ჩადის წყალში ლრმად, რადგან წყალი ცედი გარდამცემია (плохой проводник) სითბოსი. ამიტომაც არი, რო ლრმა ტბის გულში, წყალი ზაფხულ-ზამთარ

გამუდებითი ოთხი გრალესი სითბოსია და ცხოველთა ცხოვ-
რება წყალში კოველ ღროს ერთხაირ ტემპერატურაში (4°)
სწარმოობს”...

— ი შენი დედმამა ცხონდა, ბატონო, ეგ-კი მართალი ბძა-
ნებაა, ჩაერია ლაპარაკში მეოვეზე დემეტრე—ზამთარში რო
თვეზე მინალირია, ამოილებ თუ არა წყლიდან სათხეველს,
დიდ ყინვაში უეცრივ გაითომშება ხოლმე და წყალში რო ჩა-
ვაგდებ, ისევ ლხევება-რბილდება. მაშ სჩანს, ბატონო, წყალი
ჰაერზე უფრო თბილი ყოფილა. პო და რაღა თქმა უნდა „რაც
გინდ ყინვადეს ზამთარი“ თევზთა ქეიის ვერ დაუშლის!

— „პა, პა! რო იქნითებო? არა ხნავნ, არა თესვენ,
ბატონს ხარჯს არ აძლევენ და მოვახშეს ქედს არ უხრიან—
თავისუფლად, უზრუნველად ცხოვრობენ. მათ კარს წევმისა და
მზის მეტი არაფერი მიადგება. ჰაერი იმდენად არის წყალში
განზავებული, რომ რამდენიც სპირია თვეზს, სისხლის დასაწ-
მენდათ, ლაუზებით სუნთქაეს—წყალს პირში იგუბებს ხოლ-
მე და ლაუზებით სულის*).

„მოუნდა თევზს ცურვა? ვინაა დაშლელი—ტანის მოუ-
ვანილობა, ბოლო, ბუშტი და ფრთები საგანგებოდ ცურვის-
თვის აქეს მოწყობილი—გაარტყას პრტყელ ბოლოს მარჯვ-
ნივ, გაარტყას მარტნივ—წინ გასრიალდება, ფრთებს საჭე-
საებ მოუსვამს და საითაც უნდა იქით მიტრიალ-მოტრიალდე-
ბა; გაპერაეს ჰაერით საცურავ ბუშტს—დასუმბუქდება, ატივ-
ტივდება, ზევით ახტება; დაპუუკას ბუშტს—დამძიმდება, ქვე-
ვით ჩაეა, ჩისრიალდება და არის განუწყვეტელ სიამოვნებაში.
მოსშივა და, ჩემმა ლმერთმა, ვერ იშოვის საზრდოს—მხედველო-

*) ნადუღ გაციებულ წყალში ცოცხალი თევზი რამდენიმე წუთში
კვდება, რადგან წყალი როცა დუღს ჰაერს ჰკარგავს.

ბა საკირველად კარგი აქტს და აგერ ტბა საესეა წვრილმან ცხოველებით და ჭიშყინებით: ინაუარდე, ინადირე, ინადიმე— ბუნების სუფრა უხვია.

დაუდება თევზს დრო და ბუნებას მოვალეობას გადუხ-დის—თავის შეგავსის შესანახად, შთამოების გასამრავლებლად ათი ათასობით, ასი ათასობით და მილიონობით კვერცხს (ქი-რით) სდებს და აღარაფერს ზრუნავს, თითონვე გამოიჩი-ბიან, კვერცხის ყვითელი საზრდო ჰყოფნით და შერქ-კი დევ თითონ ისაზრდოონ—წყალში საკებავი მზა-მზარეულია, მხო-ლოდ ყბა გააღვ და იურავე. წყალში იძენად გაჭირვებუ-ლი არ არი ბრძოლა არსებობისთვის“.

— „ო... ი თქვენი ღმერთის ჭირიმე, თქვენი ღმერთისა!“ — წამოიძახა დემეტრემ და ჩვენც კველანი დიდად ნასიმოვნები დაერჩით და გულითადი მაღლობა გადაუხადეთ ორივე ლექ-ტორთ.

გამოვემშეიდობეთ ჩვენს პურად მასპინჯელს ალექსი სან-დაქს და მისი მადრიგლნი გზას შინათენ გაუდექით. მთელი 7—10 ვერსი გზა სულ ტბის ნაპირას მოსდექს. გზად მომვალო ლექტიის შთაბეჭდილება გამოგვყა და ტბის მცქერელნი ისევ წყალზე და მის თვისებაზე ებაასობდათ. მართლაც და წყალი საზოგადოთ ძრიელ საინტერესო სხეულია და ბევრი შესანიშ-ნავი თვისებაც სტირს, როგორც ფიზიური, ისე ჭიშური. აი, თუ არ გმიწყრებით წყლის ორიოდე ფიზიურ თვისებას კი-დევ მოგახსენებთ:

წყალს კველანი ვიცნიბო, თხელი სხეულია, რომელიც ძრიელ გავრცელებულა დედამიწის ზურგზე—მოგეხსენებათ, რო სამი წილი სმელეთისა წყალს უჭირავს. მაგრამ სხვაფრივაც ძრიელ არის გავრცელებული, თუმცა-კი ისე აშეარად არა სჩანს. მაგალითად, პაერში, ორთქლად ნაქცევი, აღორთქელილი და-ცურაობს და მერე სიცივე რო დაჭირავს, შეკუმშული ქვეყა-

ნადვე გვევლინება ვითარ თოვლი, წვიმა, სეტყვა, თრთვილი, ჯანლი და სხვ. როცა ჰაერი ($40^{\circ}/_0$) ორმოც პროცენტზე ნაკლებ შეიცავს ალორთქვლილ წყალს, ამ გვარი ჰაერი სასუნეულებელად აღარ ვარგია—ხმელია და სულს ხუთაშს. ხოლო ის ჰაერი, რომელშიაც $80^{\circ}/_0$ მეტი ურევია ალორთქლილი წყალი, ნოტიოდ ითვლება.

ამასთანავე, ყველა მცენარეთა და ცხოველთა სხეული კარბად შეიცავს წყალს. მაგალითად, ხის ნაკერი ჯერ ნედლი აწონეთ, მერე ფურჩებში გაახმეთ, მაშინ შეიტყობთ რამდენსაც დაიკლებს. ვსოქვათ რომელიმე ცხოველი, და თუ გინდ აღამიანიც, იწონს 150 გირვან ქს, ფურჩებში რო გვამილდერთი ფუთი ძლიერს-და დარჩება, ესე იგი, 110 გირვანქა ოჩთქლად დაიკარგება, რადგან წყალი იყო. ამ გვარად, როცა ხორცს ყიდულობთ იცოდეთ, რომ ფულს წყალშიაც აძლევთ, რადგან ორ გირვანქა ხორცზე გირვანქა ნახევარი წყალი მოდის და ნახევარი გირვანქა მაგარი სხეული. ბოსტნეულობა და ყველა გვარი მწვანილიც ხო ბლომად შეიცავს წყალს. მაგალითად: ისანაბი შეიცავს $88^{\circ}/_0$ წყალს, ახალი კართფილი $75^{\circ}/_0$, კიტრი $95^{\circ}/_0$, ახალი კომბისტოს თავი $85^{\circ}/_0$ და სხვ...

წყალი სამ გვარ მდგომარეობაშია ცნობილი. პირველი, რომ სითხეა, თხელა სხეულია; მეორედ, რაკი სითბო 4° ზე-ვით დაადგება, მაშინ წყალი გარსში მატულობს, ფართოვდება, მერე $100^{\circ}-$ ც. სიცხეში დუღს და ოჩთქლად, გაზად გარდაიქცევა; მესამედ, ვიცით, რო რაკი 4° სითბოს ქვევით და ქვევით დაიწევს და სიცივე დაადგება 0° , იყინება და მერმედ დიდი სიცივისაგან ქვასავით მაგარ უინჭდად გარდაიქცევა და იმავე დროს გარსში მატულობს და სუმბუქდება.

რომ წყალი გაყინვის დროს განიერდება და საშინლად ფართოვდება ეს ადვილი დასმტკიცებელია. ჩასხით წყალი ბოთლში პირთამდე და გარეთ სიცივეში დადგით როცა ჰყო-

ნავდეს. თუ ბოთლი უძრავად იღება, შეიძლება თითქმის—12⁰ სიცივეშიაც არ გაიყინოს, მაგრამ საქმაოა ცოტათი შეანძრიოთ, ან ყინულის ნაკერი ბოთლის პირთან წყალს მიაჟაროთ, ამ დროს წყალი ყინულად გარდაიქცევა, გაფართოვდება და ბოთლში ტევა რო აღარ ექნება, ბოთლს საშინელის ძალით დახეთქამს, ლუქმა-ლუქმა აქცევს. ან-კი რასაჭიროა ამის ცდა, ჩვენში ყველა დედაკაცმა იცის, რო ზამთარში სამსე კოკას გარეთ არ დასდგამს—„წყალი არ გაიყინოს და ე კოკა-კი არ გასქდეს“...

კოკა ან ბოთლი რა ბძანებაა. წყალი გაყინვის დროს ისეთის საშინელის ძალით განიერდება ხოლმე, რომ ბოთლის მაგივრად გინდ სქელი რეინის კურქელი იხმაროთ, მაინც ვერ გაუძლებს და პექა-ქუხილით დაიმსხვრევა. ბევრჯელ სტადეს (იულიამი), განგგბ თუჯის ყუმბარაში (ზარბაზნის ტყვია) პირთამდე ჩასხეს წყალი, დაუცეს რკინის საცობი ქახრაკიანი და ზემოდგანაც საცობზე დააწყეს მძმე ტვირთი, მაგრამ აი შენც არ მომიკვდე! რაკი ყუმბარაში წყალი ყინულად გარდაიქცა, ტრავულვე საცობი (პრობა) ამოისროლა და საშინელის ხმაურობით ყუმბარა ნაკერ-ნაკერ დაამსხვრია—გეგონებოდათ ზარბაზანი გავარდაო.

ნაწილი მესამე.

ერთი პუთხე ჯავახეთისა.

ნაწილი მესამე.

ერთი კუთხი ჯავახეთისა.

თ ა გ ი I.

დასაცლეთის ცეცხლი.—ზაქროს პრაქტიკული ჭკუა.—სამხარი კველას გვიამა.—საყველაშმინდოს შემდეგ მოგზაურთა ვუნდი შეასვე გაყო.—დედამიწაზ აბლა მეორე ვევრლი უცხენა მზეს.—ზაქარომ აგვისნა მზის და დედამიწის ვითარება.—მზე და ზღვის ხელმწიფის ქალი.—ხუმრისს მივედით.—ლირსული შვილი თავისი ერისა.—კოთელიელის ჩივილი მამულის უქონლობაზე.—„სხვან ასე იუჯვებინ, შენც ალინძებლე ჭკვ. საო“.—ლეგენდა ხუმრისზე—„თინათინის“ და „ავთანდილის“ მიჯნურობა.—ჩევნი მასპინძელი მაჰმადინი—სულეიმანი და მისი ბებია—ქრისტინი.—იგივე სულეიმანი ეკლესის მნათელ.—გლეხი კაცის ცხოვრების სასაჩი მამულია .—მიწა მიწის მუშაქს უნდა ეკუთვნოდეს.—მერენიელი სომხები ხუმრისში და აზარეთელი სომხები მოდევიაში.—ქართველების ცდა ფუჭი გამოდგა.—„წისქვილის დამკარგავი სარეკელს ექმდათ“.



ასაცლეთს ცეცხლი მოეკიდა, ღრუბელთა გროვა ფერად-ფერადად იწიდა—მზე ჩასვენებას აპირებდა, პატარა ყური-ღა უჩანდა. არე-მარებ ფერი იცვალა, ალაგ-ალაგ დიდ-დიდად დაიჩრდილა, ალაგ-ალაგ ჯერ შუქი იდგა. აგრილდა.

სოფელ მოლითთან უკანასკნელად გამოვეთხოვეთ სატრუიალო ტბას. კარგა მანძილი

რო გავიარეთ, ჩვენმა ზაქარომ განგვიცხადა: „ბატონო, ე ხურჯინმა მთელი დღეა წელი მოსწყვიტა ცხენს და ეს საგზა-ლი შინვე ხო არ უნდა მივიტანოთ“. მოგვეწონა ზაქაროს პრაქტიკული ჭიუა. ავარიით დაჩრდილული მწვანე აღვილი და თივის ბულულთან ხელად სუფრა გაეშალეთ. სწორე მო-გახსენოთ სამხარი ყველას ძრიელ გვიამა, ასე გემრიელად, ასე მაღანად მორნი მის დღეში პური არ გვეპამოს. დიახ, ასეთი გავლენა აქვს სუფთა ჰაერზე მოძრაობას! საყველაწმინდის შე-მდეგ ერთმანეთს გამოვეტშვილობეთ და მოგზაურთა გუნდი შუაზე გაიყო—ნახევარი შინ წავიდა, ქალების ურეშს გაჰყვა და ჩვენ-კი მარტბნივ გავწიეთ ხუმრისისაკნ.

შე სრულებით ჩავიდა, ჩაიმაღლა, მაგრამ მისი ცეცხლებრ სხივები ცაში ღრუბლებს ჰქეერავენ და სამსარის მთას ქედზედ ნასროლი, გაფანტული, დაქანტული სთვლემამდნენ, ბინდი სინათლეს შეებრძოლა. დედამიწამ ახლა შეორე გვერდი მიუ-ცხუნა მზეს—ჩვენ გვიბნელდება, სხვებს უნათდებათ.

ზაქარომ დაგვაჯერა: „მაგრე-კი არა, დედამიწა ზღვაზე სდგასო და ორ ვეშაპ თევზი იმაგრებებნო; ახლა შე იმ ზღვა-ში ჩაეიდა, იქ იბანებს, ამაღლამ დაისვენებს და ცისკრისას ისევ იღმოსავლეთიდან მოგვევლინება ახალის ძრიელებითაო“.

— „მაგრე-კი არა, ზაქარო, ის რაღათ დაგავწყდა, მზე— კაბუკია, ი ზღვის ხელმწიფის ქალთან ამაღლამ დაიძინებს და დილაზე ისევ ჩვენ დედამიწას ემსახურებაო“—უხურა ჩვენმა თანამგზავრმა.

— „არა, ბატონო, ეგ არ ვიცი და ის-კი გმიგონია, რომ მზე ცისკრის ვარსკვლავს ეარშიყებაო, მაგრამ სხივებს ესვრის თუ არა, კეკლული ვარსკვლავი სადღაც გაქრება ხოლმე“.

— „გინდა, ზაქარო, გიპოვო ეგ კეკლული ვარსკვლავი?“

— „რა ბძანებაა, ბატონო, სად იპოვით“.

— „დაჲკვირვებიხარ როდისმე: მზე_ჩავა თუ არა, დასავ-

ლეოზე ზოგჯერ მთვარე და ერთი ბრძუებიალა ვარსკვლავი წყვილად გამოჩნდებიან ხოლმე?“

— „როგორ არა, მინასმს, ბატონო, აი ძალზე რო ბრჯუებიალებს, „ყველა ბუზი-ბზუისო, ფუტკართან ყველა ტყუ-ისო“. ე ხო ყველა ვარსკვლავი ანათებს, მაგრამ მაგ ვარს-კვლავთან ყველა ტყუიან—მთვარესაც-კი უჯიბრდება ხოლმე. მაგას, ბატონო, ხო მწუხრის ვარსკვლავს უძახიან“.

— „ზო და ეგ მწუხრის ვარსკვლავი იგივე ცისკრის ვარ-სკვლავია, თუ იქ მზეს დაემალა, ხელიდან გაუსხელტა, ახლა რაკი მზე თავიდან გაიცილა მთელი მწუხრი მთვარესთან არ-შეიყობს, ეალგრსება, ცისა და ქვეყნის საქმებზე კორიენაობს“.

გზამ ისევ ტბას დაგვაახლოა—ტბის პირ-პირ მივდიო-დით. კარგა ბინდი შეიქმნა, როცა შამბნარიანი შეღმართი შე-ვიარეთ და სოფ. ხუმრისს მივედით, რომელიც უფრო ნასოფ-ლარსა ჰგაეს. რუს-ოსმალოს უკანასკნელ ომამდე აქ და სოფ. მოდეგიაში ბერძნები ესახლნენ და ომის შემდეგ ყარსისკენ ითხოვეს, გადასახლდნენ.

ცოტა არ იყოს გაგვიკირდა, რომ ჯერ აქ, ამ ნასოფ-ლარში სხვა ტომის ხალხი არ დაუსახლებიათ. ქეშმარიტად რო ლირსეული შეილი იყო თავისი ერისა ჲახელმწიფო ქონე-ბათა აწ განსცენტრული გამგე, ლილ-კაურბაშიაც-კი არ ივიწ-ყებდა თავის მოძმეთ და იგინი, როგორც რუსულ გაზეთებიდ-განაც ვიცით, ორი ათასამდე ახლად დასახლა თბილისის გუ-ბერნიაში. ამ საგანმა კამათობა გამოიწვია. აქვე ხუმრისში შე-მთხვევით შეგვესწრნენ ჩვენი კარგი ნაცნობი ერთი ბარალე-ლი და ერთიც კოთელიელი. ¹⁾ ამათ შემოგვჩივლეს:

*) ამ ორიოდე წლის წინად 5—6 სული ქურთი მოინათლა და ახ-ლა ბარალელი და კოთელიელი ამ ქურთების აქ დასახლების საქმეშედ ამოსულიყვნენ.

— „ვერ წარმოიდგენთ, რა შევიწროებაში არიან მამულის უქონლობით ამ ხუმრისის ახლო მდებარე ქართველთა სოფლები, მეტადრე კოთელია, კიხარულა და სხვ... მაგრამ განსვენებული გამგეს ღროს არამც თუ დასახლების ნებას ვერ მივიღებდით, სახელმწიფო სათიბ-საძოვრების შოენაშიაც-კი მისგან უპირატესობა სხვა რჯულის ხალხს ჰქონდა მინიჭებული“...

— „მე აქ გასაკვირველად არაფერი მიმაჩნია, ასეთი წესია ცხოვრების მეჯლისზე...

„ქპექპემა უთხრა უკავსაო,
ჩაკარდი გუდის ხმასაო,
სხვანი ასე ირჯებან,
შენც აღვიძებდე ჰქვასაო.“

სოფ. ხუმრისი იმავე ტაბიწყურის ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარეობს. ნახევარი ტბისა ბორჯომის მამულს ეყუთვნის და ნახევარიც სახაზინა, ჯვახეთშია. ამიტომაც სოფ. წითელ საყდარი ბორჯომისაა, გორის მაზრაზე მოწერილი, და ხუმრისი-კი ჯავხეთში ითვლება და ახალქალაქის მაზრისაა.

— „აი გიამბობთ რად დარქმევია ამ სოფელს ხუმრისი“, — დაიწყო კოთელიელმა ა. ბ. და განაგრძო: — „აი ეს სოფლები ხო ერთმანეთს გაჲყურებენ... ხუმრისელი ავთანდილი, წითელ საყდრელ თინათინის ეშხით იწოდა, მაგრამ ტბის სივრცე-სილრმე ხელს უშლიდა. მოგეხსენებათ, თუ კაცმა მონდომა, შეუძლებელი არაფერია. სიყვარულით გამჭვალულმა ბიჭმა ბოლოს ისწით ცურვა ისწავლა, რომ მთელი ტბა და მისი სილრმე სახუმაროდ მიაჩნდა; ჭომ დაღამდებოდა, ტბის იქითა ნაპირას გოგო დაიკერდა ანთებულ მკვრს და ამ ნიშანზე აქედან ეცემოდა ბოჭი ტბას და 3—4 ვერსის მანძილზე ცურვა-ცურვით ხელად გოგოსთან განძლებოდა. დიდხანს სტუბბოდნენ ქალ-ვაჟი სიყვარულის ცეცხლის შრეტით, მაგ-

რამ ამათაც ჩატუხამდით ნეტარება — თაფული ძიმწარედ გადაექცათ, მოგეხსენებათ ანდაზა: „რასაც კაცი თავის თავს უზამს, მტერი ვერ უზამსო“ ერთხელ გოგომ უხუმრა თავის მიჯნურს: „მე რო მკარი არ აგინთო, შენ ვერც-კი მომაგნებო“ ბიჭებით არ იყოს ეწყინა.

— „მე ხუთ ვერს ტბას მკერდით ვაპობ და ეს რეებს მეუბნებაო!?!“ — ქალმა განაგრძო: „ი მტყუანს ძირძიდა, რო ჟველაფერი ჩემი უნარითა“...

გაიარა კარგა დრომ და აյი უხუმრა გოგომ! ერთ ღამეს, კუმეტ ბნელაში, ი დალახვრილმა, ჯერ აანთო მკარი და მერე, როცა ივარაუდა, ახლა-კი შეუა ტბამდე იქნებაო, გოგომ მკარი გააქრო. ბიჭმა, გზა-კვალ დაბნეულმა, უნიშნოდ, წყვდიად ბნელაში ცურვით ნაპირს ვეღარ მიაგნო, იტრიალა, იტრიალა და მკლავებ მოდუნებული ტბის უფსკრულში შთაინთქა. ეს ამბავი გოგომ შეიტყო თუ არა — დაუდგა თვალი — გაგიუდა შეტუხარებისაგან და ისიც ტბაში გადავარდა, რომ საფლავიც ერთი ჰქონოდათ და მეგობარნი სულნი სიქიონსაც ერთად შემტებარიცყნენ. ხალხმა სთქვა: „ეს ვერაფერი ხუმრისი (ხუმრობა) იყოო?!!“

ესევე ლეგენდა მე გამიგონია ფარგანის ტბაზე (უდიდესი ტბაა ჯავახეთში) — ფარგანელი გოგო მკარს უნათებდაო და გამომიღებან, ქორლოლის მთის ნაპირებიდგან ბიჭი ჰეჭელა ფარგანსასებ ამ შუქჲე ტბაში ცურვით გადიოდაო. ბოლოს ესეც გოგოს მუხანათობით ტბაში დაიღუპა და მას აქეთა ტბას ფარგან ეწოდაო.

იმ ღამეს ხუმრისში ფაგვიმასპინძლდა ქართველი მაჭმაღიანი სულეიმანა, რომელიც აქ ძეველის ძევლადვე, მამა-პაპითვე მკეიდრობს, ბინადრობს თავისი სამიოდე კომლი მეზობლით. ის ბერძნები რო ყოფილან, ისინი პასკევიჩის დროს (1828—30) იყვნენ ოსმალეთიდგან გადმოსახლებული და მერე ისევ

ყარისისკენ გადასახლდნენ. ხოლო ხუმრისში ძველიად ქართველთა სიცოცხლე სღულდა და ახლა-კი მოწმად საქართველოს აქ მეფობისა სულეიმან-აღა დაგვრჩენია, რომელსაც ამ ათიოდე წლის წრნედ თავის ბებია ქრისტიანულის წესით დაუმარხავს.

აქვე არის თლილი ქვით ნაშენი ეკლესია წმიდა გიორგის სახელობაზე. მლოცველები, მეტადრე ზაფხულობით, იაილებიდან მეტხარე მწყემსი ბევრინი მოდიან — თუშები, ქიზიყელები და სხვ... ეკლესიას მნათედ თვითონ სულეიმანა არას, გასაღებიც მას აპარაა და სანთლებასაც სულეიმანა ჰყდას.

ჩვენი მასპინძელი ქართულის პურალობით დაგვიხვდა. ვახ-შამზე ლაპარაკი ისევ მწვავე საგანზედ, მმულის თაობაზედ, ჩამოვარდა. მოგეხსენებათ, გლეხ-კაცისათვის პირველი საგანი და სახსარი ცხოვრებისა მამულია, მიწაა და მის თვისება-რაოდენობაზე დამოკიდებული არამც თუ მისი ცხოვრება და კე-თილ-დღეობა, არამედ მთელი სახელმწიფოსი, მთელი ქვეყნისა.

„მიწა მხოდოდ უკედავი,

უკედავიც იგი ერა,

რა ერსაც უკედანს გუთანი,

სამშობლის მიწა-წევალა“...

დიალ ამ მიწას გლეხ-კაცი მთელი თავისი სიცოცხლით ეპიდება, ეჯაჯურება, შავ მიწას ჩაჟურებს და მის გულილგან ელის ხსნას ყოველივე გაჭირებიდგან. მტერსაც მითი უნდა გასცეს პასუხი და მოკეთესაც.

„მიწა კრ ნიადაგ მენა,

ბეწაგ გლეხად შობილი,

მიწა ჩემი დედმამა,

ჩემი და, ჩემი შმობილი“...

ცოტხალია — მიწა ინახამს, მოკვდება და ისევ მიწამ უნდა შეინახოს, მიწადვე უნდა მიიქცეს.

ტყუილად-კი არ ქადაგებენ მეტნიერი ხალხი, რომ მიწა მიწის მუშაკს, მიწის მოქმედს უნდა ეკუთხოდეს, ვინც მიწაში ოფლოსა ლვრის, პატრონიც იგი უნდა იყოსო, მაგრამ ბევრი წყალი ჩაივლის, ვიდრე ხალხთა ზორის ცხოვრება და საციალურ-ეკონომიკური დამკაიდებულება ნორმალურად მოეწყობა და ჭაცი — მსეცია, გარე — ადამიანდ გარდაიქნება.

როგორც აღმოჩნდა ვახშამზე ლაპარაკიდგან, სულაც არ დავიწყებიათ არც ხუმრისის და არც მოდევის მამულები.

ოცი კომლი ყოფილა ამორჩეული შორეული სოფლის მერენიელნი სომეხნი ხუმრისში დასასახლებლად. ამაზე საქმე წარმოობდა კიდევ, მაგრამ მერენის სოფლის საზოგადოება ერთმანეთში ვერ მორიგებულა — არ დათანხმდა მარტო ოც კომლი ესარგებლა ხუმრის მამულებით. ბოლოს სასოფლოდ უთხოვიათ და ახლა ხუმრისი თავისი სათიბ-სახნავ-საძოვრებით იჯარით აქვთ მერენიელებს 600 მანეთად წელიწადში.

მოდევის მამულები-კი, რომელიც ჭიბულულაზე ახლოა, ქართველთა ნასოფლარია, ეკლესიაც მათი დგას, აზავრეთელ სომხებისთვის მიუტიათ იჯარით 400 მან. წელიწადში.

— „ამ გვარად ქართველები-კი ჩვენი გამა-პაპეულიდამ პირში ჩალა-გამოვლებული დავრჩით“... დააბოლოვა ბაასი იმავე კოთელიელმა...

მაგრამ, განა არის რამე აქ საწყენი?.. — ასეთი წესია ცხოვრების მეჯლისზე... „ბავშვი თუ არ იტირებს, დედა ძუძუს არ მისცემს“...

მე ვუსაყვედურე: ქართველებს შნო და უნარი არა გაქვთ, უთაურნი, დაუდევერნი ხართ, ცველაფერს მოხერხება უნდა, ცხოვრება კუუის ბრძოლაა, „ერთი ხიდან ჯვარიც გამოიჭრება და ნიჩაბიც“-მეთქი.

— „ე, შე, დალოცვილო, — მიპასუხა ბარალელმა მწიგნობარმა: — რატო აჯერაც არ მიგვიცია თხოვნა: შევიწროებული ვართ და ნება მოგვეცით ხუმრისში დავსახლდეთ ოციოდე კომლი ქართველი, მაგრამ რას იზამთ, ორჯელვე უარი მოგვიციდა, მესამედ, აი, ამან, სულეიმანამ და მისმა მეზობლებმა მოწმობა მოგვცეს“ (პრიემიო სვიდატელეს्टვო)...

— „დიახ, შენი კირიმე, მართალი მოხსენება გახლავთ“, — დაემოწმა სულეიმანა — ჩენ ქალალდი მივეცით; რადგან აქ უწინაც ქართველებს უცხოერია და მათი ეკლესიაც არის, ოღონდ ქართველები გადმოასახლდეთ და ჩენს საკომლოებში მივიღებთო“...

— ეს მოწმობა არჩით წარვადგინეთ და შემდეგი „რეზოლუცია“ გამოვიდა: „преимущество будетъ дано Меренгийцамъ“ — უპირატესობა მერენიელებს მიეცემათო, — დაასრულა ბარალელმა.

სამართალი მოითხოვს ესთქვათ, რომ როგორც აღმოჩნდა, ეხლა ხან ჩემ-მიერ შეკრებილ ცნობებიდგან, მართლაც და მერენიელ სომხებისთანა შევიწროებული სოფელი მთელ მაზრაში არ მოიპოვა. გარემოებას ისე მოუტანია, რომ მამულების გაზომის დროს ზოგი საბატონოდ ჩამოუთლიათ, ზოგი სახაზინოდ და თითონ სოფელი-კი უმიწოდ დარჩენილა, რის გამოც საშინლად არიან დალატაკებული და ყელთმდე ვალებში იხრჩობიან.

მაშ ჩანს ჩემი ბარალელი ქართველი იმიტო თუ ცხარობდა, რომ ქართველების ნასოფლარი სომხებს რად უნდა ერგოთო.

მომაგონდა შემდეგი ანდაზა: ერთ კაცს წისქვილი ვალში გაუყიდეს და მერე კუნძულებში რაღაცას დაუწყო ძებნა.

ჰყითხეს: „კაცო, აქ რაღას დააფრატუნებო?“

— „დამაცათ ერთი! საჩეკელი დამეკარგა და იმას დავეძებო“ ... ქართველებმა მთელი ჯავახეთი დაკარგეს, სადაც ეხ-

ლა სამოური ათასი მეტი სომხობა ასახლია და ახლა რაც და
ნასოფლარისთვის-კი გული ეწვით...

ეშ! რას იზამთ, ასეთია წესი ცხოვრების მეჯლისზე...

თ ა გ ი ॥ II.

ხუმრისიდან თრიალეთისკენ. — იგივე ტბა და ამომავალი
მზე. — რა უბედურებაა ეს მოტიტვებული მოქბა! — უკვდავე-
ბის წყალი და პერი. — შორის ჩენენან მოქრობა-პაცილები. —
მთის ხალხი საკურვლად არჩენს კრილობას. — რეცეპტ მათი
სასწაულ-მომქმედი მაღამრის. — ბუნების კალთაზე ოცნებამ
გამოტაცა. — ხელმწიფე ვარ ბუნებისა, თუ იგივე უმნიშვნელო
ჭია? — მუშა ხრების ქარხანასთან შედაუბა. — მათი კუჭის სა-
კვირველი მოწყობილობა. — ევლურ ფალოსოფურის ბასი ხა-
რების ბეღნიერებაზე. — ლიპცერტის დასკვნა: ხარია ვამარჯვე-
ბულო თუ ადგანან? — რათი დაკირა კაუმ დღევანდვლი სა-
უკეთესო ადგილი ცხოვრების მეჯლისზე? — ბუნება ზოგისთვის
დადაა, ზოგისთვის დეინინგვალი. — ბუნების მეცნიერების ემ-
ბაზში ნათელ-ლება. — მაჟულის-შვილობად მხოლოდ ვაზე-
ში წერა მიაჩინათ. — ვაზეთის გამოჯავრებული ხელს იღებენ
ქართველობაზე. — რაოგორ იქცევან ჩვენი მეზობლები სომხე-
ბი? — ისტორიულად ახსნა, რად გვჯობიან სომხები? — კათ-
ლიელს მტრად მიაჩინა სომხები. — საქმე, ბატონები,
საქმე! — მეტი ნაწილი საზოგადო მოღვაწეთა რეკლა-
მისთვის ირჯებიან. — მომავალი თაობა სასტრი მსა-
ჯულია.


უმრისიდან დილა აღრიან გზას გავუდექით თრია-
ლეთისაკენ. ამომავალი მზის უბიწო სხივები ანკა-
რა ტბაზე ნაეარლობდნენ, ცელქობდნენ, ტბის
ციმციმა ზეორებში კრთოდნენ ფერად-ფერადად,
იმსხვრეოდნენ. თუმცა დიღი მანძილი არ გამოგვევლო, მაგ-
რამ ტბის და მის არე-მარის დილის სურათმა ანდამატივით მი-

გვიზიღა — დასუენება დავაპიროვთ. ამისთანა დიდ ტბებს, როგორც ჯავახეთში, იშვიათად შეხვდებით საქართველოს სხვა მაზრებში.

ტბის ნაპირას, ჩუხჩუქ წყაროსთან, კვავილებით მოქარგულ მწვანეზე ჩიმოვხდით და შიკრიკი მეოვეზეებთან ვაურინეთ. ვიღრე ცოცხალი კალმახი მოგვივიდოდა, მთის წყაროს ცოვ-ცივი წყლით პირი ვიბანეთ, გული ვიგრილეთ და ქვის ჩრდილში მწვანეზე წამოვგორდით. მართლა-და რა უბედურებაა ეს მოტიტვლებული მთები! ჩვენი ცოდვა ეკითხოს ვინც აქაური ტყეები გაჩეხა და ძირიან ფეხვიანად ამოაგდო! აბა, რაა! კაცი ერთ ხეს, ერთ ბუჩქს ვერ იპოვის, რომ პაპანაქებაში მზეს თავი მოარიდოს, ჩრდილს შეეფაროს. აბა ამისთანა ბუნებამ რა კეთილი გავლენა უნდა იქონიოს აქა მცხოვრებთა ხასიათზე, სულიერ მხარეზე!

სამაგიეროდ აქაური ჰაერი და წყალი უკვდავებაა, საუცხოაა, შეუდარებელია. ჩემმა ღმერთმა მიკრობებით მოიწამლები!

შორს ჩვენგან! თუით უკვდავმა მეტნიერმა პასტერნა და-ამტკიცა, რო მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში ათას ნაირი ბაცილა-მიკრობები უხვად ირევიან, სოფლად ნაკლებია, ხოლო მთა ალაგებში, მაღლობზე, თითქმის არ მოიპოვებიან არა-ვითარი ჩვენი დროის მიკროსკოპიული მავნენი.

მაშ რაღა გასაკვირველია, რო მთა ოლაგებში აღვილად არჩენენ იმ გვარ კრილობასაც-კი, რომელიც ბარად სასიკედინე კრილობად ითვლება. მართალია, მღაბიო ხალხის სხეული და მეტადრე მთიულისა, უფრო მოელია, საღი ხორცია, რის-თვისაც არ უავდება კრილობა, მაგრამ იმ გარემოებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ბარში ათას გვარი მიკრობები აგვევიატებიან, მოგიწამლავენ იარას, მთაში-კი სულთა მჟავბადის გამო თავისუფალი ხარ ამ ვაისაგან. თორე დიდ საიდუმ-

ლოს-კი არ შეადგენს მთიულ ექიმთა სასწაულთ-მოძქმედი შალამო. ღორის მუცულის ქონი (უმარილო, ახალი), ფიჭვის კევი და თაფლის სანთელი, ყვითელი. უფრო მცირდე ექიმებიკი ფიჭვის კევის მაგივრ თირამინდს (Terebinthina veneta) ხმარობენ. ამ საგნებს ნელ ცეცხლზე ტაფაში აღნობენ და შეიქმნება მალამო. ამავე მალამოს ზოგჯერ ავაჯუსაც (მცენარე) უმატებენ, რის-გამოც მალამო წითელი ფერის გამოდის.

ბუნების კალთებზე გორებამ ბუნებაზეც ჩაბატიქია და ცოტა არ არის ოცნებას მივეცი. წყაროს ჩუხჩუხ-ჩხრიალი სმენას მიტუბობდა; ტბის სიერცე, ცის ლავეარდი ოცნებას შორის, შორის იტაცებდა... შენ მაინც მითხარ, წყაროვ, გამიქარევ ეჭვნეულობა, მართლა ხელმწიფე ვარ ბუნებისა, მისი მრისხანე მბრძანებელი, თუ იგივე უმნიშვნელო კია?

ამ დროს რაღაც ქინქლა-ბუზი ჩამიგარდა თვალში, გამამწვევა, თოფ-ნაკრავიერით წამოვხტი. მივირბონე წყაროსთან, თვალს ბანეა დაუუწყე... ეს არი შენი პასუხი, წყაროე!.. ვაიმე, ჩემო ამაყო გონებავ, რა აღვილად დაგემსხვრა ოცნების ფრთები!..

გახურებულმა მზის სხივებმა კისერი დამწვა და ისევ ქვის ჩრდილი მომანახვია.

იქვე ტბის ნაპირად, მწვანე შელმართზე, მუშა ხარები მცურიან ბალას დამშეულნი აჩქარებით ძოვდნენ და რომელ ხარსაც მოესწრო ფაშვის გავსება, მუცულზე იწვა და ზარმა-ცად იცოხნებოდა. უემშურდა რო ამ ხარებს არც მზისა ეშინიანთ და არც ქინქლა-ბუზებისა, თავისთვის არხეინად იცოხნებიან.

წარმომიდგა რომელიმე ქარხანა, საღაც ორთქლის მანქანა ატრიალებს ყველა ჩარხებს და რამდენსაც მეტს შეუკუთებ შეშას ანუ ქვანახშირს, იმდენად მეტ ორთქლს მოგცემს და მეტის ძალითაც მოიყვანს მოკრაობაში მთელ ქარხანას. ისე

ეხლა ეს მუშა ხარები არიან: შეიძლება წინადვე ითქვას, რომ ხარისაგან ამდენ ფუტ შეჭმულ ბალახს ამდენი ძალა და სითბო აქვთ და ამოდენა ღონით შეიძლება ვამუშაოთ ხარი ამდენ ხანსაო.

ხარის ცოხნამ გამახსენა რა საკვირვლად რთულად მოუწყეოა ბუნებას ამ ხარების საჭმლის მოსანელებელი იარალი (კუპი). როცა ხარი სძოვს, ჩქარობს, რომ ტყუილა დრო არ დაკარგოს და რაც შეიძლება ბლობად მოსძოვოს — ერთი ენას-კი მოუსვამს ხოლმე და ხელდახელ, მსხვილად, ოდნავ დალეჭილ ბალახს პირდაპირ გზავნის დიდ ფაშვში (პირგველი კუპი). ფაშვში დამბალი ბალახი გუნდებად გადადის მეორე კუპში (ცოტი); აქ საჭმელი ლუკმებად ნაქცევი ბოყინის საშუალებით ისევ საქონლის პირს უბრუნდება. ახლა-კი იწყება ღინჯად ცოხნა და ხელ-მეორედ გულიანად დალეჭილ საჭმელს ხარი ყანყრა-ტოთვე ყლაპავს და გზავნის პირდაპირ მესმე კუპშია, სადაც საჭმელი უფრო რბილდება და ცოტა ხნის შემდეგ გადადის მეოთხე, ნამდევილ კუპში, რომელსაც დგრიტა ჰქვიან და რომელშიაც ქიმიურად იხარშება საჭმელი. ხოლო, სამელი წყალი და სხვა რამ თხელი საჭმელი პირდაპირ ამ ნამდევილ კუპში ჩადის. ძუძუთა ხბოს მხოლოდ ეს ერთი კუპი, დვრიტა, აქვს, ეს ის დვრიტაა, რომელიც იხმარება რძის ასაკრელად — ყველის გასაკეთებლად.

აი ასეთი რთული და ძრიელი იარალი აქვს ხარს და ყოველ მცოხნავ ცხოველს საჭმლის მოსახარშად, მოსანელებლად.

ცნობილ მეცნიერ მოგზაურს ბექქერს ჰქონია ბაასი აფრიკაში ველური ხალხის ერთ წინამძლოლთან კომმოროსთან. ამ ველურს კასა უთქვაშს: „ხარი აღამიანზედ ბევრად ბედნიერია, რადგან არც ხენა უნდა, არც თესვა, საჭმელს-კი ყოველთვის მზა-მზარეულს შოულობს და რასაც შესჭამს, ადვი-

ლად ინელექსო. ადამიანი-კი მხოლოდ დიდის ჯაფრით და გა-
კირებით შოულობს თავისითვის საჭირო იმ გვარ საზრდო-სა-
კებავს, ჩომლის მონელებაც ადვილად შეეძლოს“. ამ შავ-
კანინგ ფილოსოფიონის მოსაზრებაზე ლიპციერტი ამბობს: „მრ-
თალია კაცი ძრიელ ჩამორჩა შეცხნავ საჭონელს, რადგან ამ
ცხოველს აღვილად შეუძლია თოთქმის ყოველივე მცენარეუ-
ლი საჭმელი სასაჩვენო საზრდო-საკებად გარდაცემისთვის.

„კაცი აკლია აგრეთვე იმ გვარი ძალა ძარღვ-უნობებისა
და სიმარტე, როგორიც მტაცებელ მხეცთათვის მიუნიკებია
ბუნებას. ამიტომ, კაცი არც მხეცივით შეუძლია მტაცებლობა-
ნადირობით თავი იჩინოს, ისაზრდოვოს და, რაღა თქმა უნ-
და, რომ კაცი ბუნებრივ იარაღს—ჭანგს, საგლეჯ კბილებს
და სხ. მოკლებული, შედარებით ბევრ გვარ გაჭირებას
იღანსო“.

ამ შერივ თუმცა კერძოდ გენერალური ბიბი ნიღოსის ხელის ფილო-
სოფოსის აზრს, მაგრამ არ შეიძლება ისიც არ შევნიშნოთ,
რომ მას ნაკლებ სცოდნია ხარის ბუნება. განა ეს ცხოველი-
კი, რომლისთვისაც ბუნებას მიუტია ისეთი რთული და სრუ-
ლი იარაღი საჭმლის მოსან ელემენტლად, განა ეს-კი აღვილად არ
ჩაიგრძება ხოლო გაჭირებული საჭმლის უწყობის გამო?

იქ, სადაც ვერც ერთმა ცხოველმა ვერ შესძლო არსებობისთვის ბრძოლა, ვერ იცხოვრა და სრულებით ამოწყდა ჩვეულებრივი საჭმლის უქონლობის გმო, კამა ღირსეულად დაიცვა თავი, ამოწყვეტას გადარჩი და თავისი შეგავსი დაიფარა, როგორც გაყინულ ჩრდილოეთში, აგრეთვე ცხელ და მწირ ათრიკის უზანოში.

მერე რითი შესძლო კაცმა ასე გამარჯვება? რა იარაღით
იბრძოდა და იბრძეის კაცი არსებობისათვის? რითი დაიმკუიდ-
რა ბუნებაში უპირატესობა ყოველთა ცხოველზე? რა საშუა-
ლებით დაიმორჩილა, დაიმონავა კაცმა თავისთვის სასარგებ-

ლო ცხოველნი? რითი, რა ძალით დაიმორჩილა კაცმა თვით ბუნება და გამოიყენა თავის საკეთილდღეოდ ბუნების კანონ-თა ძალი და საიდუმლონი? რითი დაიჭირა კაცმა დღევანდე-ლი საუკეთესო ადგილი ცხოვრების მეჯლისზე?

უველა ამ კითხვებს ერთი პასუხი აქვთ—ღვთისაგან მო-ნიჭებულ ჰქუა-გონებით, სულიერის ძალით და სრულ-ყოფი-ლი აგებულობით გახდა კაცი ხელმწიფედ მოლად ბუნებისა და მით ღირსეულად იმართლა თავი შემოქმედის წინაშე, რო-მელმაც დაპატარა კაცი სახედ თვისად.

თუმცა კაცი მეფებს ბუნებაში, შემოქმედობის გვირგვი-ნად ითვლება, მაგრამ ბუნება ზოგისთვის დედაა, ზოგისთვის დედინაცვალი. უმთავრესად იმაზედაა დამოკიდებული, სად რა სახის ბუნებაა, რა რიგი ჰავაა, რა თვისების ნიადაგია და რა გვარს საჭმლით იკვებება ადგინანი. ამ გვარად, კაცის კეთილ-დღეობას, მეცნიერთა აზრით, ლიდი დამოკიდებულება აქვს თვით ბუნებასთან და, ცხოვრების ასპარეზზე, რასაკირველია, ბურთი იმას გააქვს, ვინც ჰქუა-გონებით განვითარებულია და სულით, ხასათით ძლიერია. ხოლო, გონიერი სულის ძლიე-რებით ისაა აღჭურევილი, ვინც ბუნების მეცნიერების ემბაზ-შია ნათელ-ღვებული.

მაშ ბუნების მეცნიერების კოდნით არ დაიმორჩილა კაც-მა ორთქლი, ელექტრონი და.....

ეს რაღა სასწაულია? თავს წამომადგა რაღაც გრძელი ჩრდილი... ავიხედე და, ბიჭის! თურმე ჩვენი აყლაყუდა თანა-მეზავრი მოაბიჯებს ჩემქენ. მომიახლოვდა თუ არა, რაღაც უც-ნაური ლაპარაკი დამიწუო...

— „ე ხო შეგატყე, რო შენ სხვა-და-სხვა ცნობებს გა-ზეთისთვის აგრძება“...

— ?!... წამოვდექი...

— პო და, თუ მაგის ნიჭი გაქვს, ღმერთმა ხელი მოგი-

ბართოს—მამულისთვის ისა სჯობს, რომ შეიღლი სჯობდეს მა-
მასა.

თუ არა და აი რა მოგახსენო. თვით ჩემს ნაცნობებში
რამდენი მიწახავს. დაიწყებს, ბატონო, ქართველობას, იბარებს
ქართულ ურნალ-გაზეთებს, ზერა-ქვერად არც-კი გაიცნობს
სამშობლო ლიტერატურას, ქართველის სულის ვითარებას, მის
წარსულ ისტორიას და აწყო ცხოვრებას და ახლა-კი სულ იმ
ოცნებშია, აცა, როდის იქნება, მისი გვარიც აღმეცდილი
ნახონ ქართულ გაზეთში—დე კიკინაზე გასქინდნენ ჩიტირე-
კიანთ ნიკა და ქარაფშუტანთ „ბარიძნა“ თიქაო. ასე ჰგო-
ნიათ, ბატონებო, მამულის-შვილობა მხოლოდ იმაში მდგომა-
რეობს და იმაში გამოიხატება, რომ უეპელად, გინდა თუ
არა, გაქვს ნიკი თუ არა, უეპელად გაზეთში გაგზაუნ და-
საბეჭდათ... პო და იმას მოგახსენებდით,—იღებს, ბატონო,
კალამს, აწყობს უაზრო ლექსებს (ამ ლექსებმა ხო სწორედ
რო საქმე გაგვიპირეს—რა ვიცი ვინ არ არის ეხლა ჩვენში
პოეტი—მეოცე საუკუნის დასაწყისი და ლექსები! აფსუს, და-
კარგული დროვ!)...

დიალ, აწყობს ლექსებს, ან დასწერს კერძო ამბავს კერ-
ძო ადამიანზე პირადობით გამოწვეულ რაიმე ბიზლილს. გაზე-
თი, რასაკეირველია, არაფერს არ უბეჭდავს... ოჟ! თქვენი
მტერი. ის არის და ის. მორჩა და გათავდა! იმ დღიდან, ის
აღარც ქართულს გაზეთს იწერს გამოჯავრებული, რატომ,
„თხზულება“, არ დამიბეჭდაო და გაზეთისავე გამოჯავრებუ-
ლი სრულებით ხელს იღებს ქართველობაზე და ისევ გადაგვა-
რების გზას დაადგება ხოლმე. მის მერე, რო მოკლა, ზედ გა-
დაკვდე, რომ შეეძლოს კიდეც, არავითარ ქართულ საზოგა-
დო კეთილ საქმისთვის ხელსაც არ გაინძრებს...—ჩვენდა სა-
ბეღნიეროთ, ბატონო რ., მაგ ჯურა, ქარაფშუტა, უნიადაგო
ვაუბატონები ცოტანი გვყავს!—მიეუგე მე.

— „ქრისტი ჯოჯობეთს ანათებსო“ —ჩვენ მეზობლებს ფული აქვთ, მე-XIX საუკუნის ძალა ხელში უჭირავთ, ვაკარი ხალხია. მაგათ დიღი ხანია ასე გადააკეთეს რუსთაველის უკვდავი სიტყვები:

„თასად გეარი დაფასდა,
თარი ათასად ზრდიდობა,
თუ კაცსა ფული არა აქვს
ცუდია გეარი შვიდობა“.

უმთავრესი მიზეზი-კი, რასაკვირველია, ისტორიაში უნდა ვეძიოთ. ცხრასი წელიწადი მეტია (კილიკია არაფერი ჩასა-თვლელია), რაც სომხებმა პოლიტიკური თვით-არსებობა დაჰკარგეს. მას აქეთია მოედნენ ქვეყნის პირს და მთელი თავისი ძალ-ლონე ინდუსტრიას მოახმარეს. ამ დაქაქსულ ხალხის შემაერთებელი სულიერი ძალა — ქრისტიანობა-ეკლესია-ლა იყო და არის დღესაც; თვით ჩვენი მეფებიც სომხებს განგებ იწ-ვევდნენ ვაჭრობა-ხელისნობისათვის, რაღაც ჩვენ თავად-აზნა-ურობას სამარტვინოდ მიაჩნდა ვაჭრობა და ზიზღით უყურებ-და არშინსა და სასწორს. ქართველი გლეხი-კი თუმცა იყად-რებდა, მაგრამ იმას მონიბაში ამოსდიოდა სული და ვინ მის-ცემდა მას ამის ნებას, რაღანაც ის ვერ მოშორდებოდა თა-ვის საბატონო ადგილს...

ხოლო, რაც შეეხება ჩვენს ისტორიას, ამ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე პოლიტიკურ თვით-არსებობისათვის შე-დგრად ვიბრძოდით და მთელი ჩვენი ძალ-ლონე შევალიერ თოხსავ კუთხივ შემოსეულთ ქრისტიანეთა მტერს. სადღა იყო მოსვენება, ვიღაც ესალა მოქალაქობრივი განვითარებისათვის, დამშვიდებული ცხოვრებისათვის მაშინ, როდესაც მთელი სა-ქართველო საომარ ასპარეზად იყო გადაქცეული და საუკეთე-

სო შეილები ერთი ასის წინააღმდეგ ბრძოლის ველზე სამშობლოსთვის სწყდებოდნენ.

ამ მცხოვრილების დასაწყისში, ქრისტეს-მიერ უფროსი ძმის ძლიერ ფრთას თავი შევაფარეთ თუ არა, ძმას ძურად ხელი მივეცით და კვლავ ერთად ვებრძოდით ჩვენს მოსისხლე მტერთ. ვით ბუნებითვე მეომარი ხალხი, მეტადრე ჩვენი თავადა-აზნაურობა, ახალმა სამხედრო დიდებამ და მასთან ჩინ-ორდენ-ჯამაგირ-პენსიებმა საშინლად გაიტაცა.

სომხებმა-კი ამ ძროს, როგორც მომზადებულმა, პრაქტიკულ კურის ხალხმა, ახალი მფარველობის ქვეშ, ახალი წყობილებით მზა-მზარეულად ისარგებლეს—საღაც ხმალი და თოფი გზას სჭრიდა, იმათ არშინი და სასწორი შეიტანეს, აღებ-მიცემობა გააძლიერეს და ქონებრივადაც გაძლიერდნენ.

შეიმუსრა სპარსი, ოსმალო, დაღესტანი და ჩვენც დაგვიდგა ძრო და ხანა მოქალაქობრივი, ეკონომიური განვითარებისა, მაგრამ ამ ახალი ცხოვრების ძროს ქართველების კულტურას ძრიელ აძრიკოლებდა ყოვლის გამანადგურებელი მონაბა, საზიანდარი პატონ-უმრავა, რომელიც რუსების შემთხველის დროს უფრო განმტკიცდა.

სომხებს-კი მის დღეში არ სდგმიათ მონობის მძიმე უღელი—არც თავიანთ მეფების ძროს და არც შემდეგ: სომხობაში ბატონ-უმრავა სრულებით არ ყოფილა.

მაშასადამე, ქართველების კულტურული ცხოვრების და-საწყისად ბატონ-უმრავის მოსპობის დღე (1864 წ.) უნდა ჩაითვალოს. და აბა ერთი მიბმანეთ, ლმერთი გადლენებელებთ, ეს პატარა ერი ამ 30—35 წლის განმამავლობაში რომელ ერთს გავძლოლოდით!..

ან როგორ შევქმიდით კულტურას, როდესაც ბატონები თავის ბატონობას მანც არ იშლიდნენ, თანაც სამხედრო ციფილიზაციას გამოუდგნენ და რაც რამ შეძლება ჰქონდათ

ან ზეობრივი, ან ქონებრივი ზიზილ-პიპილების ძებნაში და ფუფუნება-განცხრომაში ჩაღუპეს...

„თავისუფალი“ ვლეხი-კი, ჩემო ბატონო, ვიდრე გონს მოვიდოდა და თავის ახალ მდგომარეობას დაუკვირდა და კულტურის კიბეზე შესდგა ფეხი, უკვე სომებს ვაჭრის ქსელში გაება და დღეს-კი ყველანი ერთად, ბატონიც და გლეხიც, ერთ ტაფაში ვიწვით, ფულის ყმანი ვართ და ცხოვრება-კი რთული გახდა, მოთხოვნილება თანამდებობაში გვეძმტება“...

— „ეგ ხო მაგრეა, ყველაფეხში გეთანამები, მაგრამ, მაგარი ის არი, რო სომხობა თითონაც ძრიელ მუყაითა, გამრჯე ხალხია და ცხოვრების ავ-კარგი შეგნებული აქვთ. ამათ სრული სავსებით გამოიყენეს რესეფში თავიანთ უფლებანი, ჩვენ-კი აქვდ მხარეში დღეს უპატრიონოდ ვართ დარჩენილი და დაჩაგრული...

ამ ლაპარაკზე შემოგვესწრო კოთელიელი, რომელმაც პატივი გვცა—მთამდე მანძილი გამოგვაცილა.

ჩემი კოთელიელი მეგობარი ძრიელ გაცხარდა:

— „რას ბაანგბოთ, ბატონები! მეგონი დროა თვალი ავახილოთ და შევი თეთრისაგან გავარჩიოთ—შევიტყოთ ვინაა ჩვენი მტერი და ვინ მოკეთე! ჩემის ფეხით ჩაესულვარ თბილისში და მიძლევია წლის იჯარა მოდევიაში ასი თუმანი, ოლონდ ჩვენს გაპიროვებულ ქართველ სოფლებს მიეკით-მეთქი—არ იფიქ-როთ, რომ რაიმე ვაჭრობის ინტერესი მქონდა—ახლა-კი იგერ 15 წელიწადია მოდევიის მამულები აზაგრეთელ სომხებს ნახევარ ფასად, 400 მან., უჭირავთ წელიწადში...

„თუ აქ განგებ არ იყო საქმე მოხერხებული და თუ უპირატესობა სხვისა არ არის, მაშ რა მიზეზია, რომ არც ჩემი თხოვნა შეიწყნარეს და ჩვენს მამაპაპეულს მამულს ჩვენ არ გვაძლევენ?..“

— „აბა, ამაზე არის, აი, ნათქვამი: „აზამბურელი თათა-

რი ოორის თავს მედავებოლაო“ — ჩაერია ლაპარაკში ისევ აყ-
ლაყუდა თანმგზაური და განაგრძო: მაშ მართალი ვყოფილ-
ვარ თუ არა? სომხები გაზეთებში-კი არ ცვირიან, საქმეს არი-
გებენ. საქმე, ბატონები, საქმე! ცოცხალი საქმით, ცოცხალი
მაგალითით დავვიმტკიცეთ მამულის სიყვარული, თორე „სი-
ტყვა უსაქმოდ მკედარ არს“...

„ჩეენში გულწრფელი, საზოგადო მოღვაწე, რომელიც
მხოლოდ იდეას ემსახურებოდეს და ეკლიან გზაზე ბრძოლა
ლეინად მიაჩნდეს, ამისთანა თავვამოდებული მუშაკი დღეს
ძრიელ ნაკლებად გვყვანან — ერთი, ორი, სამი... სუ თითებ-
ზედ მოითვლებინ. დანარჩენები-კი თუ შრომობენ, უიდეოთ,
მხოლოდ ცრუ-თავმოყვარეობისთვის, რეკლამისთვის გამოდიან
საზოგადო ასპარეზზე და უფრო იმიტო, რომ ბრძოს მადლო-
ბა დაიმსახურონ და გაზეთშიაც მათი სახელი ქებით მოიხსე-
ნიონ... რას იზამთ, ასე საქმე. ადამიანი სუსტი ქმნილებაა,
თუ სულ წითელი კვერცხი არ გვიგორე, ხელსაც არ გავანძრევთ —
ჯერ არა ვართ მომწიფებულნი საზოგადო საქმისთვის, არა
გვაძეს შეგნებული ჩეენი წმიდა მოვალეობა და საზოგადო სა-
ქმის არსებითი მნიშვნელობა.

არა, ერთი მიბანეთ, ლვთის გულისთვის, რაზე ავიტკით
აუტკივარი თავიო — ასე სჯიან მეტი ნაწილი ქართველი ინ-
ტილიგენ ციისა.

რისთვის დავიგლიჯოთ ხელ-ფეხი ეკლიან გზაზე ბრძოლი-
თაო, როდესაც აგერ შარა გზა ვარდით მოფენილი მზა მახლავს
და კიდეც მაქეზებენ; მხარბებენ, ოლონდ აქეთკენ ქენ პირით.

არა, ბატონები! ადამიანი პირუტყვი როდია, რომ გარ-
და ფიზიოლოგური არსებობისა, სხევ არავითარი ზნეობრი-
ვი მოვალეობა არ ჰქონდეს. ხოლო ერთი უზენაესი მოვალე-
ობათაგან კაცისთვის არის სამშობლოს სიყვარული და მისი ერთ-
გულება. ჩეენში-კი დღეს გაწრიოკდა ქართველობა, იშვიერად-

და შევხდებით, რომელსაც შეგნებული ჰქონდეს თავისი მამულის-შეილური მოვალეობა შთამოების წინაშე... დიალ, ბატონებო, მომავალი თაობა სასტიკი მსაჯულია და ჩვენ ყველაზ პასუხი უნდა ვაგოთ, ანგარიში უნდა მივცეთ ჩვენი საქმეებისა შთამოებას და ისტორიას. ვინც იმ განკითხვის დღეს სამჯავროდგან პირ-ნათლად გამოვალთ, მეტი ნურც რა ვინდა. ხოლო ვაი იმას, ვისაც შთამოება და ისტორია პირუთვნელი განაჩენით საშეილიშეილოდ წყევა-კრულვას გადასცემს და უკუნითი უკუნისმდე შთამოების სალანძლავი გახდება — ამ ქართველს მეტი ჯოჯოხეთი ნურც უნდა...

მაშ ნერაზ არს კაცი, რომელიც შეძლების დაგვარად პირნათლად შრომობს სამშობლო კულტურის ასაყვავებლად“!..

თ ა გ ა III.

„აბულო, მთავ მაღალია!“.—გრძელებულთა ლაპარატორია საათ-საათობით მოძრავ მნათობებს გვიგზავნილა.—ჩად არის საჭი-რო ქართველების დასახლება ხუმრისს და მოდეგიაში?—ბა-რალელის გოდება-ჩივილი.—აზერეთელი სომხების მედგრო-ბა-გამჭრიახობა.—უხოვრების მეჯილისხე სომხები გვჯობიან.—სომხების ავტონომია ოსმალეთში.—თეთრ ფართულიანი სომ-ხის გოგოს ეროვნული თეით-მცნობიერება.—თავის გასამარ-თლებელი მიზეზი ისტორიაში გვაქს.—სომხის იშხანები და მი-წის მუშაკინ.—პრინციპი ერთობისა და თანასწორობისა.—სომხები გლებ-კაუს თეით-მცნობიერება და მისი უფლებანი.—წარინებული მოღვაწენი, პოეტი და პროფესორი სომხის გლებ კაცობილებან.—სომხის დევიზი—„რასაც შეიძენ შენია, რაც არა დაკარგულია“.—ქართველი გლეხეაცის შედარებითი არარაობა.—ეროვნულს პრინციპსაც ჩვენზედ კრგად იყა-ვენ.—ეკონომიური ძალა სომხებს უჭირავთ.—ეგ გვლუპას, რომ სომხები ჩენ მტრად მიგვაჩნია.—სომხები მწის მუშაკინი.—ანტონ ფურცელიაის წერილიდგან „მახვი-ლი თუ ინდუსტრია?“—უკანასკნელი დასკვნა ორ მეზო-ბელ ზალხთა შესახებ.



ხალის კალმახით პირჩაგეტრიელებულნი, და ტაბი-წყურის ნაპირზედ ნასიამოვნები შეესხდით ცხენებ-ზე და მგზავრობა განვაგრძეთ. აგერ აბულის მთაც გამოჩნდა თავ-მოშელებილი.

„აბულო, მთავ მაღალო,
უზდილო, შეგაგებულო!“

ამისთანა უზარ-მაზარ მთას უეკველია შობეპლილება უნ-და მოეხდინა ჯავახელებზე და ამიტომაც გამოუთქვამთ ეს ლექ-

სი, რომელიც მართლა რო ზედ გამოკრილია. ათი ათას უუტ-ზე უმაღლესი მთა ისეა „შეზღილი, შევაკებული, რომ გაუჭი-რებლივ ახვალთ ზედ. ხალხს ისე დაუბრივებია ეს გოლიათი მთა, რომ გვერდებს, ფერდობებს და კალთებს გუთნით უთხ-რიან-უჩიჩქნიან, ჯიან კველისაებ დაპხვევიან.

ვიცოდი, რომ აბულის მთა ჯავახეთისათვის ნამდვილი ბარომეტრია—ამინდის მაჩვენებელი, მაგრამ იმას-კი აბა როგორ წარმოიდგენდი, რომ ჯავახეთისათვის ცველა მნათობი უეჭველად აბულთან ამოდიოდა. წუხელ გაკვირვებული დავრჩი! გეგმნებოდთ აბულს მოპფარებიან გრძნეულნი და თავის ასტრონომიულ ლაბარატორიიდამ საათ-საათობით გვიგზავნიან მოძრავ მნათობებსაო.

ჯერ სომლი ამოვიდა, მერე საათის ათზე—რომელილაც ბრჭყვიალა ცვითელი ვარსკვლავი; მეორე საათის დასაწყისზე ხართ-პართა ამოკიმურდა, მესამე საათის ჩარექზე ცისკრის კარ-სკვლავი ამოკაშაშდა, მერე, საათის ოთხზე, პატარა აბულთან ალიონი ცას ცეცხლივით მოვეიდა და ბოლოს, ამდენი მზა-დების შემდეგ, მეექვს საათის ჩარექზე, ამოსხივდა თვით მზე, მნათობთა ნათელის გამნიჭებული.

კარგა მანძილზე რო გავიარეთ ჩემმა თანამგზავრებმა კო-თელიელმა და ბარალელმა მიმითითეს ერთ ნანგრევზე. ამ ადგილებში უწინ ძლიერ შიშიანობა იყოო და ამიტომ აქ ტბის ახლო ყაზახები იდგნენო (казачიй постъ). არც ახლაა მგზავ-რისათვის ეს გზა უშიშარი—ზამთარში ნამქერი და ზაფხულში ბორჩალოს თარაქამები ნავარდობენო.

— „აი კიდეც ამიტომა საჭირო ქართველების დასახლე-ბა ხუმრისსა და მოდგენაში, რათა ზაფხულობით ავაზაკობა შესწყდეს და ზამთარში კიდევ წალკისკენ გზა არ შეიკრას ამ მთებზეო—უამინდობას ხუმრისში შეიძლება შეაფაროს თავი მგზავრმაო...“

— „ყველა თავისას ჩიოდა, მენახირე ბუზალაქაო“ — გა-
გვიჭირეთ საქმე თქვენის ხუმრისით და მოდევით!“ — გაჯაერე-
ბულის კილოთი შესძახა ერთმა ჩევნმა თანამგზაერმა.

— „გვიჭირს, გული გვეწვის, — შეებაასა მწიგნობარი ბა-
რალელი — და ამიტომაც ყველას თავი მოვაბეზრეთ. არა, ერ-
თი მიბანეთ: „შინ რო ობლებს შიოდეთ, გარედ ტაბლის რა
უნდაო?“ ქართველებს რო სული გვეხუთება, მაშ სხვას რად
უნდა მიეცეს ჩევნი მამაპაპის სისხლით და ოფლით მორწყული
ნასაფლარები, დედულ-მამული; სხვა რჯულის ხალხს რად
უნდა ჩაუვარდესთ ხელში ჩევნი ეკლესიები, ჩევნი წმიდა სა-
ლოცავები ხუმრისისა და მოდეგისა, სხვას რად უნდა ვალან-
ძლეინოთ ჩევნი მამაპაპის სასაფლაოები, ვინ არის მოვალე, თუ
არ ჩევნ, ჰირის-უფალი გაუხდეთ იმათ ძელებს! თქვენი არ ვი-
ცი, ბატონებო, ეგ გულზე ჰკიდია, და ჩევნ გლეხ-კაც-კი სი-
კედილი გვირჩევნია და იმას ჩევნიც თვალით ვერ ვუკურებთ,
როცა ბარს დაუგდებენ, ან გუთანს გაატარებენ ჩევნი წინაპ-
რების სასაფლაოზედ...“

ბარალელი რო ილარ წყნარდებოდა მე შევებასე: „ეძი-
ებდეთ და ჰპოვებდეთ“ — მეთქი...

— „რავქნათ, ე ოხერი, რო არა გვაქვს ქართველებს იმ-
დენი ლიზლობა და მოხერხება!“ ..

აი რა მოგახსენოთ:

„მოდეგია რო იჯარით აზაერეთელ სომხებს მრსცეს, მთა-
ვრობამ ხელ-წერილი ჩამოართვა და სასტიკად აღუკრძალა
არამც და არამც არ გაბედით და არ დასახლდეთ მოდეგია-
შიო — მხოლოდ მამულებით ისარგებლეთო...“

„ახლა, როგორ გგონიათ!? დაურიდებლად ასულონ მო-
დეგიაში აზაერეთელი სომხები, აუშენებიათ მკვიდრი სახლები
15 კომლს და აგერ 15 წელიწადია არხეინად ცხოვრებენ და
სარგებლობენ — თავს მოვილავთ და აქედგან ფეხს არ მოვი-

ცულითო. აბა, ჩვენი ქართველი კაცი გაბედამდა, მოახერხებდა?!

„წრეულს კიდევ გამოეტადათ მთავრობისაგან, რომ აიყარნენ, დაცალონ მოდევია და აბა ვნახამთ...“

ნათქვამია: „ყმაწვილი სტირის, გაუა და სტირისო“... ეჭ! ჩემო ბარალელო, მერე აქ განა არის რამე დასაძრახი! ასეთია წესი ცხოვრების მეჯლისზე.

„უოდეა გამეღავნებული სჯობს“, ჩვენ ვერა ვართ ცხოვრების მეჯლისზედ საბრძოლველად ისე მომზადებული, როგორც ჩვენი მეზობლები სომხები არიან.

ახლა გამასსენდა ჩემი ბაასი ერთს სომხის მღვდელთან. ჩვენი ბაასი შეეხებოდა ეხლანდელ მწვავე ამბავს—სომხების ოსმალეთში აეტონომიას.

ბოლოს უთხარი ჩემი დასკვნა:—ავტონომიისა-კი რა მოგახსენოთ და აღამიანურ უფლებას-კი უეპველად მიანიჭებენ ოსმალოს სომხებს, რადგან ევროპის ჰუმანიური სახელმწიფონი ამას ითხოვენ, ხონთქარს ძალას დაატანენ-მეთქი...“

ამაზედ იცით რა პასუხი მივიღე?..

— „ოლონდ-კი ის უფლება მიეცით ოსმალოს სომხებს, რა უფლებითაც დღეს აქ რუსეთში ვსარგებლობთ; დაცული, შეუტყებელი იყოს მათი სიცოცხლე და ქონება, და ჯერ-ჯერ რობით ეგეც კმარა,—გარწმუნებთ რო 20—30 წლის განმავლობაში მთელ იქაურ მამულებს და ვაჭრობა-ხელოსნობას ხელში ჩავიგდებთო...“

ტერტერას სიტყვებს მგონი განმარტება აღარ სჭირია— ცოცხალი მაგალითები კველის თვალწინ გვაქვს...“

მერე რაო, განა ეს დაეძრახვით?!

ასეთია წესი ცხოვრების მეჯლისზე...“

ჩვენ რო გამოუფხიზლებლად სუ ვლოთობდეთ და „არ-

„ეინ ად“ გვეძინოს, ხვალისთვის არას ვფიქრობდეთ, საწყილი-შვილოს არას ვზრუნავდეთ, სხვისა ნეტა რა ბრალია?!

შენ რო გულაბის ქვეშ იწვე და ზარმაცად შეჲყურებდე: ახ ნეტა აის ქარვის ფერი, მწიფე გულაბი პირში ჩამიგარდე-ჲოდეს... მე რო ვიშრომო, ის გულაბი შენ თვალწინ მოვ-შეკიტო და შევექცე, განა არ შემერგება, უსინიდისობად ჩა-ჲომერთმევა?

დღიალ, ცხოვრების მეჯლისზე ვინც პირლია დარჩება, იმას პირიდან ლუქმა გამოიეცლება!

ერთს ჩემს ნაცნობს, თეთრ-ფართუკიანი სომხის გოგო შე-ეკამათა: „სომხის ერისთანა კარგი, ყოჩალი ქრი მთელ ჭეეყანა-ზე არ არისო“. ჰითხეს: „მერე, პატარა ქალო, შენ რა იციო?“ და აი მისი პასუხი:

— „ვარუჟებრა (მასწავლებელმა) სკოლაში გაკვეთილის დროს აგვისხნა, რო „ჰაიოც ასკი ბეს ლავ ევ ყოჩალ ჰასკ აშხარ ბოლოოროვინ ჩუა...“

აი ასე ზრდიან თავიანთ მოზარდ თაობას, ასე აყვარებენ სკოლის სამიღადნევ სამშობლოს და ასე ულვიძებენ სიყრმიდ-განვე ეროვნულ გრძნობას, თვით-ცნობიერებას. ახლა შენ გე-კითხები, მეითხველო: ბევრი გვყავს ქართველებს ამ გვარი მასწავლებელი?... მაშ მოლი და ნუ იტყვით: კეშმარიტად რო ბედნიერი ერია სომხობა და მომავალიც ამათია ცხოვრების მეჯლისზე.

რომ ჩენ ძრიელ ჩამოერჩით სომხებს ყველაფერში, ამას არავითარი ექვი არა აქვს, ხოლო ქართველებისთვის თავ გა-სამართლებელი მიზეზნი, ვამეორებ, ისევ ისტორიაში და სა-ციალურ წეს-წყობილებაში უნდა ვეძიოთ.

როგორც ზემოთაც მოგხხებენ, სომხობაში მის დღეში არ ყოფილა სამარცხენო მონობა—ბატონ-უმობა და თუ ჰყავ-დათ იშხანები (თავაღნი), რომელნიც მიწას ჰულობდნენ, ამათ-

თან იმ გვარიეკ დამოკიდებულება ჰქონდათ, როგორიც დღეს ჩეკშიაც სუფეს ნაბატონარს და ნაყმეს შორის. ამ იშნანებს მხოლოდ გადაჭრილ ღალას, მეთევდს, აძლევდნენ და ის იყო და ის, სხვა არავითარი უფლება იშნანს სომეხ გლეხზედ, მის პიროვნებაზედ არა ჰქონდათ-რა...

ამ გვარად პრინციპი ერთობისა და თანასწორობისა ამ ხალხს იმ თავითვე შესისხლხორცებული აქვთ. სომეხი გლეხ-კაცი იმ თავითვე თავის თაეს აღმიანად გრძინობდა, საზოგადო კირსა და ლიხინში ხმა ჰქონდა და მეტადრე ეკლესის საქმეში სრული მოქალაქობრივი უფლება ჰქონდა მინიჭებული, რადგან მნათე-დიაკანიდგან მოყოლებული, ვიდრე პატრიარქ-ქათალიკოსამდე ხალხის არჩევით იყო და არის დღესაც.

ამ გვარად იკით-ცნობიერება სომეხ გლეხ-კაცზე იქამდე იყო გაღვიძებული, რომ, რა წამს დასავლეთ ევროპის განათლების თითო თროლა ხსიება კავასიასაც უწია, იმ წამსვე სომეხი გლეხ-კაცი მზად დაუხვდა, აღტაცებით მიეგება და ამ მდგომარე საუკუნის მეორმოცე (40—50) წლიდგანვე სომეხ გლეხ-კაცის შვილები გამზედულად გამოდიან სალიტერატურო საპუბლიკისტო ასპარეზზე.

დიახ, იმ დროს, როდესაც ქართველი გლეხ-კაცი ჯერ მონაბის უდელ ქვეშ ტანჯვით კვნესოდა, უენო ცხოველს ედარებოდა, იმ დროს სომხის გლეხ-კაცის შვილები უკვე წარჩინებულ მოღვაწეებად გამოდიან.

მარტო ერთმა ერევნის გუბერნიაში იმ რამდენი ნიკიერი გლეხ-კაცი მისუა სომხის საზოგადოებას:

ა) სოფ. აშტარაკიდგან:

1) კათალიკზი ნერსეսი, რომელიც სამშობლოს მფარველად, მის ინტერესთათვის მებრძოლად ითვლება და საუკეთესო კაცად სომხის ბოლონდელ ისტორიაში;

- 2) რომანების მწერალი პეტ პროშიანცია;
- 3) პოეტი სუშმათ შახაზისი.

ბ) სოფ. ქანაქერიდგან:

4) საჩატერ აბოვანცი, რომელიც სომხის ახალ ლიტერატურის მამად ითვლება, რადგან ამან პირველმა გამოიდა და დასწერა ახალ სომხურ ენაზე შესანიშნავი წიგნი— „სომხეთის უძღვებანი“.

ბორჩალოს მაზრის სოფ. ბოლნისილგან გამოვიდა ერთი ნიკიერი გლეხ-კაცი:

5) ლაზაროს აღათანცი, გამოჩენილი პედაგოგი და შესანიშნავი მწერალი.

სპარსეთის სომებ გლეხებში სალმასტის მაზრიდან გამოვიდნენ:

6) პროფესორ ემინ.

7) პროფესორ ნაზარიანცი სტეფანოს, პირველი მოთავე ახალი ლიტერატურისა და რედაქტორი ლიბერალ უურნალისა „წრდილეულის მნითობა“-სა.

8) რაფიი, გამოჩენილი რომანისტი.

თბილისმა მხოლოდ ერთი ნიკიერი ხალხის შეილი მისცა 9) სუნდუკანცი—უნიბილი დრამატურგი.

ყველა აქ ჩამოთვლილი შესანიშნავნი პირნი სამშობლოს-თვის მედგრად მოღვაწენი, რომელთაც სომხური ლიტერატურა დღვენდელ ხარისხამდე ასწიეს, ყსენი ყველანი ხალხიდგან გამოვიდნენ, გლეხ-კაცს შეილები იყვნენ.

სომხის მაღალ წოდებილგან-კი მხოლოდ ერთი გამოვიდა, ცნობილი რედაქტორი „შშაკისა“ ბ. აჩწრუნი და ამით მგონი გათავდა კიდევ—სომხის მაღალ წოდებას არა მოუკიარა.

ახლა რაც შეეხება ეკონომიკურ მხარეს, სომები იმ პრინციპით იზრდებოდა. მოღვაწეობდა, რომ რამდენადაც მეტს გაირ-

ჯები, შეტ ენერგიას გამოიჩენ და ყაირათს გასწევ, იმდენად ქონებრივად, მატერიალურად გაძლიერდები, ცხოვრების მეჯლისზე კარგი ლურჯი გერგებაო—რასაც შეიძენ შენი და შენი ოჯახის საკუთრება არისო. ამ გვარად სომებს დევიზად გაუხდა: რასაც შეიძენ შენა, რაც არა დაკარგულია. ასე მიმდინარეობდა სომეთა ეროვნული ეკონომიკური ცხოვრება მთელი ათასი წელი და ასე მიმდინარეობს დღესაც, როდესაც ამ პრინციპმა პირველი აღიღილი დაიჭირა.

ავილოთ ახლა ქართველების წარსული ეკონომიკური, სოციალური მდგრამარეობა.

ვიდრე საქართველოში ბატონ-უმობა სუფევდა, აბა რა საფიქრებელი იყო ქართველი ხალხის ეკონომიკური განვითარება, აღებ-მიცემობა, მრეწველობა-ხელოსნობა!

არა, შენი კირიმე, რა გული უნდა მქონდეს შრომისა, რისთვის უნდა გავიტეხო ძილი და შევალიო ძალ-ლონე, როდესაც ნამდვილად ვიცი, რო რასაც შევიძენ, ხეალ მუქთა ბორა ბატონი მოვა და უველავეს წამართმებს! ხოლო, რაც შეეხება ქართულ ლიტერატურას, აბა თქვენგან არ მიკვრის! ზევნი გლეხ-კაცი არამცუ ასპარეზზე გამოსულიყო და სათავეში დასდგომილა საქმეს, არც-კი იცოდა ლიტერატურა ხეს ესხა, თუ თაერიზილამ მოდიოდა.

მე თითონ მახსოვეს ბატონ-უმობა, რაც უნდა შეძლებული გლეხი ყოფილიყო, ბატონის შიშით ქალამნებზე თასმების გაკეთებასაც-კი ვერ ჰქედავდა, ბაწრის ან ღაზლის ძაფით იმაგრებდა—ბატონში რო თასმები მინახოს, კოდის პურის მომზატებსო... გაშასადმე, რაღა ხალისი უნდა ჰქონდა ან ხელობა ესწავლა ქართველ გლეხს, ან მეტი ენერგია და გამჭრიახობა გამოეჩინა შრომაში და საქმეში.

შემოვიდნენ რუსები და აბა თითონ რა კულტურა ჰქონდათ ამ საუკუნის დასაწყისში, რო ჩვენთვის რა ესწავლები-

ნათ? რუსეთშიაც იგივე ბატონ-ყმობა მძვინვარებდა და ეს პრინციპი ჩვენშიაც უფრო განამტკიცეს. რუსების თავად-აზ-ნაურთა იდეალი—სამხედრო დიდება, ომი, ლხინი, ფლონგვა იყო და ჩვენ კუთილშობილთაც ეს უნდოდათ, წაქეზება არ დასჭირდათ, მზად დაუხვდნენ—ომი, დასინა, ფლანგება ჩვენ თავად-აზნაურობას დევიზად გადაეჭიათ.

ვაჭრობა-მრავწველობა-მეურნეობა ეხლა ხან ჩაიარდა პარივში, თორე უწინ ინდუსტრიას ვინ აქცევდა ყურადღებას.

ასე და ამ გვარიდ, გარემოებამ ისე მოიტანა, რომ დღეს სომხობა გვჯობნის ცველაფერში. ეროვნულ პრინციპსაც ჩვენ-ზედ წმიდად იცავენ და შეძლებითაც ჩვენზედ ძრიელნი არიან და ძლიერდებიან.

ახლა ერთი მიბანეთ, ღმერთი გადლევრძელებდეთ, ამის-თვის რა უფლება გვაქვს სომხებს უსაყველუროდ, მტრად უყუროთ, სომეხი აქ რა შეუშია? ჩვენ ხო ინდუსტრიისთვის არ ვიყავით მომზადებული და სულ ერთი არ არის: არუთინა და ვართანას მაგიერ, არონ და ხაიმა ურია იქნებოდა, დჯომბული ინგლისელი, კარლ ივანიჩი ნებეცი და მუსიონ უანი ფრანგი იქნებოდნენ და კიდევ სხვა ათასი მოჰკიდებდა ხელს საქართველოში ვაჭრობა-ხელოსნობას და იქნება უარესი დღეც გვენახა მათს ხელში.

თუ არა და რათა გვვონია, რომ სომები უეპველად ვაკარი და ხელოსანი უნდა იყოს! ჩვენ იქამდე შემუდარი შენედულობა გვაქვს შედგენილი ამ ხალხზე, რომ საქმაოა წარმოესთქვათ სიტყვა „სომები“, რომ მაშინათვე თვალ-წინ წარმოგვიდგეს სრული თავისი საზიზღრობით მუარცვავი ჩარჩი, მოეახშე—ობობა ვაკარი! არა, ბატონებო, მიბრძანდით და თქვენი თვალით ნახეთ:

კავკასიაში მთელი მაზრებია სომები გლეხ-კაცებით დასახლებული. აიღეთ, მაგალითად, მაზრები: ახალ - ბათუმისა

(91%/^o), გუბარისა (98%/^o), ასალ-ქადაჭია (97%/^o), ქმნაბანისა (97%/^o), შეშის (94%/^o) და სხვ... როგორც ხედამთ "0, ჩამოთვლილ მაზრებში ცხოვრობენ მხოლოდ სომებინი გლეხ-კაცნი, რომელნიც საშინელი შრომის მოყვარენი არიან, ცხოვრების მეჯლისზე მედგრად იბრძეიან და პატიოსან ოფ-ლით ცხოვრობენ – მიწად-მოქმედებენ: ხნავენ, თესავენ, მება-ლობენ, მევენახობენ, საქონლის მოშენებას ეწყობიან, ქირა-ზე დაღიან და სხვ. და სხვ. გასაკვირველ შრომასთან საშინე-ლი მოყაირათე ხალხია – ცხოვრებაში მოთხოვნილება ძრიელ შემცირებული აქვს და თუ ჩვენ ქართველ გლეხ-კაცს ყელში რო წაუჭირო, ერთი ბისტი არა აქვს თვალზე მიიკას, სო-მები გლეხ-კაცი სახლში და ჯიბეში ფულს გმოულევლად ინა-ხამს – შავი დღისთვის ზურგი გამაგრებული აქვს.

თუ სადამდე მიდის ამ ხალხის შრომის მოყვარება, მუციდობიანი მოქალაქობრივი ცხოვრების სიყვარული, ეს იქ-დგანაც ცხადად სჩანს, რომ ახალ-ქალაქის საპატიმროში მთელი ორი წელიწადი მხოლოდ სამი ტუსალი იჯდა და ისიც მგო-ნი თათრები იყვნენ. დის, ახალ-ქალაქის გაზრიშ, სადაც 70 ათასი სული სომხობა ცხოვრობს, მთელ ორ წელიწადს არც ერთი დამნაშავე არ მისცა! ან-კი საღ სცალია სომებ გლეხ-კაცს ქურდობა-ავაზაკობისათვის, როდესაც მედგრად შრო-მა და საშინელი ყაირათი გაღმერთებული აქვს.

ხოლო, რაც შეეხება ჩარჩ-მცარტვაობას, ეს პატიოსანი ხალხი, შრომის შეილი ისევე იჩაგრებიან ზოგი ერთა სომებ მოეახშეთავან, როგორც ჩვენი ქართველი გლეხ-კაცი. არ-კი გეგმოთ, რო თავიანთებს ინდობდნენ!..

ვინ არ ვიცით, რო მხეცური მტაცებლობა, ჩარჩობა, უსინიღისო მოეახშეობა სხვა არის და პატიოსანი ვაჭრობა, აღებ-მიცემობა და მრეწველობა-ხელოსნობა სხვაა.

ვინ არ ვიცით, რო ქართველებს დიდი ხანია ქალაქები

ხელიდგან გამოგვეცალა და მთელი ქართლისა და კახეთის ვაკრობა და ხელოსნობა, ე. ი. საუკეთესო ექონომიური დარგები სომხებს უჭირავთ. მაგრამ აბა ამ საგანს კრიტიკულად შეხვდით. ერთ კითხებას მოგცემთ: შეგვეძლო ქართველებს ქალაქების აშენება? არა. რატომ არა და იმიტომ არა, რო ქართველობა იმ თავითვე მეურნე ხალხია, შიწაზეა მიკერძებული და მიწაზედვე სოფელში უნდა ეცხოვა, ნება არა ჰქონდა მოშორებოდა. გარდა ამისა ყველგან და ყოველოვის ქალაქები მაშინ აშენებულან, როცა მიწა აღარ ჰყოფნიდათ და საქალაქო ინდუსტრიას ჰყიდებდნენ ხელს. ჩენ საქალაქო ინდუსტრიის გარემოება არ გვქონია და ამიტომაც ქალაქები მაშინ აშენებულან, როცა მიწა აღარ ჰყოფნიდათ და საქალაქო ინდუსტრიას ჰყიდებდნენ ხელს. ჩენ საქალაქო ინდუსტრიის გარემოება არ გვქონია და ამიტომაც ქალაქები ლიხს აქეთ საქართველოში სომხებმა დაიჭირეს.

ვინ არ ვიცით, რო მეტადრე ჩენს „დედა ქალაქში“ — (უი! მეხიმც დასცემია ჩენისთანა შვილებს) — თბილისში ისე ფეხს ვერ გადასდგამ, რომ თუ-კი რამ სავაჭრო გაქვს და ვაკრობა-ხელობის სახელი ჰქიან, სომხებს არ შეხვდე! საუკეთესო მამულები სოფელებში! ეს ხო ყველაზ ვიცით როგორ ნელნელა გადადიოდნენ და აწც გადადიან სომხეთა საკუთრებაში...
მერე რაო, განა ეს დაეძრახეთ?

„ხმალი მაგათაო!.. უკვე მესმის, მაგრამ უკაცრავად, ჩემო ბატონო! კიდეც ეგ გვლუბავს, რომ სომხები ჩენ მტრად მიგვაჩინია და სხვა რამის შნო რო ღმერთს ჩენთვის არ მოუცია, სულ ხმალზე გვიკიდია ხელი. ეს იმას ამტკიცებს, რომ ჩენ

1) თუ ლიხს იქით სომხებმა ფეხი ვერ მოიკიდეს ამის მრავალი ის-ტორიული მიზეზებია.

არა ვართ ჩვეული ქუუა გაეძრად და საგანს ლრმად დავაკვირდეთ.

სიტყვამ მოიტანა და რაკი მწვავ საჯანს შევეხეთ—ქართველთა და სომებთა ურთი-ერთ განწყობილებას, იმ განწყობილება-დამოკიდებულებას, რომელიც დიდი ხანია გამწვავებულია და ამ ბოლოს დროს დღიურ ვარმად შეიქმნა—საჭიროდ და სასარგებლოდ მიგვაჩნია აქვე მოვიყვანოთ ჩვენი ცნობილი მწერლის ბ. ან. ფურცელაძის აზრი.

მეითხველს ეხსომება, რომ ქუთაისში მომხდარი ჩხუბი ქართველთა და ებრაელთა შორის, ბ. ან. ფურცელაძემ სამწუხარო მოვლენად აღიარა გაზ. „ივერიაში“ დასტამბულ მეთაურ წერილით. ამ წერილის წინაღმდეგ ბ-მა ი—მ ღია წერილით გასცა პასუხი (იხილ. „ივერია“ ან წლ. № 255), რომელშიაც ავტორი ებრაელთაგან სომხებზე გადავიდა და სჩიდა, რომ ამ შემოხიზულ ხალხისაგანაც მოთმინების ფიალა აივსოვთ და ნულა გაგიკვირდებათ თუ რომ ამათთანაც როდისმე დიდი უსიამონება მოგვიხდეს.

ბ. ან. ფურცელაძემ ამის პასუხად დასწერა ფრიად საგულისხმო წერილი „მახევლი თუ ინდუსტრია“ (იხ. „ივერია“ № 262 და 263—ან წლ.) აი აქვე ამოვწერ მეტად საინტერესო ფაქტებს, საიდანაც აშკარად დავინახამთ ჩვენ ვართ ჩვენივე თავის მტერი თუ სხვა:

— „ბ-ნი ი ეხება დიდს, მწვავს საგანს—მოგვითხრობს

ბ. ან. ფურცელაძე—და მის წერილიდგან გამოდის ის აზრი, რომ სახსარი ჩვენის ხსნისა და ხალხთა შევიწროებისა იმ ხალხის უსამართლოებისაგან, რომელნიც ძველადვე შემოხიზუნან საქართველოს, არის ის, რასაც მიმართეს ქუთათელო შესახებ ებრაელებისა. თუ ამ ხალხის დაწინაურებელთა პირთა არ შეასმინეს თავის ხალხს,

რომ ჩეენს უსიამოენებაზე ხელი აიღონ, — საწყაო აიგსო
და სხვა ღლონე აღარ დაგვრჩენია...»

„საკირველია, თთქო ჩეენი საქრისტიანო სწავლა სულ
სახარებაზე არის აგებული და რატომ ასე მუდამ ივიწყ-
დება უველა ქრისტიანს სახარების სიტყვანი...»

„ჩავუფიქრდეთ, პატივუებულო ი, საქმესა და ავწონოთ:
განა მწერლობის მხრივ საკიროა კიდევ წაქეზება ამ საქმე-
ში? განა უფრო ხალხს კიდევ უნდა ამაში წასისინება? მუშასა და მახვილს დიღიზანია იქნებს კაცობრიობა და
რა ბოლო მოჰყა ამას?»

— ისა, რომ კაცი დღესაც ვერ გამოსულა მხეცის ბუ-
ნებიდგან, თუმცა სწავლაც, განათლებაც ბევრად წინ
წავიდა.

და რომ კაცს ის ძალა და სახსარი, რაც მოანდომა
სისხლის ლერას, მოეხმარებინა ბუნებასთან ბრძოლაზე,
თავის გონებრივსა, ქონებრივსა და ზეობრივს განვითა-
რებაზე, დღეს კაცობრიობა მხეცის ბუნებით-კი აღარ
იქნებოდა, ანგლოზთა ბუნებით და ჯოჯოხეთის წამე-
ბის მაგივრად სამოთხის განცხრომილებაში.

„მიჩენენ ხალხი, რომელსაც თავის სახსრად მარტო
მახვილზედა ჰქონდეს დამყარებული და თავისი ბოლო
მახვილზედევ არ გაეთავებინოს.

„ძლიერი და ხანგრძლიერი ბედნიერი ყოფილა მხოლოდ
ის ხალხი, რომელიც მახვილისაგან უფრო ინდუსტრიას
მოსჭიდება.

„ამ გვარი ხალხი ყოფილა გონებითაც, ქონებითაც,
სახელმწიფო წეს-წყობილებითაც, განათლებითაც დაწი-
ნაურებული.

„ჩეენ-კი განა ან ისტორიულმა მაგალითებმა, ან ჩეენ-
შა სხვა რიგად მოწყობილმა გარემოებამ დაგვაყენა ამ

აზრზე, რომ მუშტის და მახვილის წილ მიემართოთ ინდუსტრიას?

— „არა! ჩვენის აზრით გამოდის: ჩვენ ინდუსტრიით გვიბრძვიან, ჩვენ-კი მუშტითა და მახვილით გავცეთ პასუხიო. ეს რომ ველურის ხალხის წესია და არა იმ ხალხისა, რომელსაც ჰსურს ისარგებლოს ცივილიზაციის ყოველი ნაყოფითა!.. ბრძანებთ: საწყაო აიგსოო და მაშ რა ვქნათო!

„რა საწყაო? ის რომ ჩვენა ვჭამთ და სხვები ინახვენ?! ვსჭამთ არამც თუ დღევანდველს დღეს, ვჭამთ ხვალინ-დელ დღესაც, ვსჭამთ ჩვენთა შევილთა სისხლსა და ხორცა, ვსჭამთ მათს სიცოცხლეს.

„მაშინ, როდესაც ეს ჩვენი შემოხიზნული ხალხი, რომელთაც, თქვენი აზრით, ჩვენი მოთმინების საწყაო აავსეს, სკლილობდნ სარჩის შეძენას, ხვალინ-დელი დღის გამაგრებას, სკლილობდნენ აღგბ-მიმუემლობა, მრეწველობა, სწავლა-განათლება, ყოველივე ინდუსტრიული ძალა ხელში ჩაეგდოთ, ჩვენ ამ დროს რას კშერებოდით?!.. ვქითობდით და მთელი სამშობლოს ბედი, მთელი მამაპაპათა ნალაში, მამა-პაპათაგან სისხლით და მწარე ოფ-ლით შეძენილი და დაცული მამული ჩავაყარეთ ჩვენს სვაგს მუცელს, და ჩვენივე ხალხი, თავისივე ქვეყანაში, რომლისაც ყოველი ნაბიჯი გავსილია მათი მამა-პაპათა მის დასაცველად ჩაყრილი ძელებით, მორწყულია მათი მამა-პაპათა სისხლით, გაუშვით ბოგანოთ უცხო ტომთა ხელში.

„რატომ არ აიგსო ჩვენი მოთმინების საწყაო, ბ-ნო ი, როდესაც კახეთის თვალი, არამც თუ საქართველოსი, იქნება თვით მთელი ქვეყნის საუკეთესო მამულები კახე-

თისა წავიდა ჩვენი ხელიდამ ჩვენი სისუნაგით, ჩვენი ქარაუშუტობით, ჩვენი.... ჩვენი ათასი საზიზლრობით!?

„რატომ არ აიცხო ჩვენი მოთმინების საწყაო, როდესაც საქართველოს საზრდოს სალარო, მთელი ბორჩალოს მაზრა ჩვენი თავექარიანბით, გაქსუობით, ჩვენი სისუნაგით გადავიდა ჩვენი ხელიდგნ უცხოთა ხელში და გაიცხო ეს ქვეყანა უცხო ტომით, უცხო თესლითა?!

„რატომ არ აიცხო ჩვენი მოთმინების საწყაო, როდესაც გული და ლვიძლი საქართველოსი, დედა ბოძი და ბურჯი ჩვენი ქვეყნისა, ტფილისი, ძველადვე მთელს აზიაში პირველ ქალაქად განთქმული თავისი სიმაგრით და სიმდიდრით, რომელიც მთლად ერთადნად ეკუთხებოდა რამდენსამე ქართველთ თავადაზნაურთა გვარის — შთავნთქით და ჩავაყარეთ ჩვენს გაუმაძლარს მუცელს, შევაქმეთ კამელიებს, შევპატეთ ათინის ლამეებში, ლვინისა და ბანქოში?!

„რატომ არ აიცხო და არ იცხება მოთმინების საწყაო, როდესაც ბორჩალოს ქართველობა, ქართველმავე ლილებულმა თავადმა, მისი თქმით, ქართველთავე საბედნიეროდ, —განდევნა თავისი მამულებიდამ, ამოპხადა სულები მძიმე გადასახადებით, მიახწევინა ამოწყვეტამდის, ჩათქმლა მათ ალაგას უცხო თესლი, მისცა ამათ არამც თუ თავისი ქონება და თავისი თავიც შესაჭმელად?! გეხმით, ქართველი ღიღებული ქართველთავე ჰმესრავს... ქართველთავე საბედნიეროდ!! აიცხო განა ამით ჩვენი საწყაო?!...

„გადით მრავლისაგან მრავალს ჩვენს საბატონო სოფლებში და პნახაეთ, რა ხდება ქართველთაგანვე ჩვენი ქართველი ხალხის თავს. მთელი სოფლები იქლიტებიან-სწყდებიან სახლეულობით. ერთი სოფელი, სადაც ამ ოცდა-ათი, ორმოცის წლის წინად ესახლა რვაასი კომლი

და ოვითო კომლში შუათანა რიცხვით ითვლებოდა ოსუ-
ტმერ სულამდის, ეხლა აღარ არის ოთხასი კომლი, ისიც
შუათანა რიცხვით კომლში არ არის ხუთს სულზე მეტი.
იკვლიერ, ეძიეთ: რამ გაავლო იმათ მუსრი, და მიიღებთ
პასუხს: მებატონეთა უჯათმა, აუარებელმა გარდასახადმა,
შეუსვერებელმა ჯაფამ, უძილობამ, უსახლობამ, დღე და
ღამ ცარიელს ნოტიობზედ გდებამ. დღიურს სახნავზე იხ-
დის აქ და ბეჭრან სხვაგან მიწის მუშა ორს წილს;
თვითონ უნდა მოჰქნას, დაჭარუხოს, თავისი თესლით
დასთესოს, მორწყოს, გამარგლოს, მომკას, მოიტანოს,
გალეჭოს და ორი წილი კარზედ მებატონეს მიართეს,
ერთი წილი გაუშეას ცოლ-შეილის შესანახავად და ათ-
ასი გარდასახადის გასაძლოლად. საწვავი შეშის გარდასა-
ხადის აძლევს უღელ ხარზე თხუთმეტ მანეთს, აძლევს სა-
ძოვარს, სარწყავი წყლის გარდასახადს და სხვ. და სხვ.
ცხადია ამ გვარს მდგომარეობაში მყოფს ხალხს ადეი-
ლიად ერევა ყოველივე ავადმყოფობა და ოვით უბრალო
სურდოუ-კი ექცევათ ამათ სასიკედილო სენად და ევლე-
ბათ შეუწყალებლად მუსრი.

„გვითხაეთ თქვენ: რომელი ლანგ-თემური, რომელი
შაპ-აბაზი, რომელი ყრუ მურეანი-ლა უშერებოდა ჩვენს
ხალხს უარესს? ისინი თუ ჰეოცდნენ, ჰელერავდნენ, ჰელე-
რავდნენ, ჰეოცავდნენ უცებ, საჩაროდ. აქ ჰმუსრავენ
ცოტ-ცოტად, წვეთ-წვეთად, ხანგრძლივი წამებით.

„განა აიესო აქ ჩეენი საწყაო და ან ხმა-კი ამოვილეთ
საღმე ამაზე, ამ უჯათზედ, ამ წარმართობაზედ?!.

და სხვა, და სხვა, და სხვა.

„შევსკაბეთ. მამულები, დავკარგეთ მიწა-წყალი და უღებთ
ბოლოს ახლა ჩვენს მრჩენელს და შემნახველ ხალხსაც.

„განა ან-კი შევნიშნეთ ეს ჩვენივე ხელით ჩეენი ხალ-

ხისა და შეილების უყლების დავრა?!.

„ქართული ანდაზა არის: გიყის სარჩოს, კუკიანი იხ-
მარებდაო.

„როგორ გვონიათ, განა ისრეთი მდიდარია ჩვეუანა,
რომ ვინმე თავის სარჩოს ოხრათა ჰყრიდეს და არავის
უჭირდეს ამ სარჩოს აკრეფა?..

„მითხარით, ვისა და რას გინდა დააბრალოთ ეს ჩვე-
ნი ასე ოხრად უმიწაწყლოდ დარჩენა? განა ამაში ჩვენ-
ზე მეტი დანაშაული და ბრალი მიუძლვის ვისმე!? გადა-
ულეთ თვალი, როგორ და რაში გადავაგეთ ჩვენი სარ-
ჩო-საცხოვრებელი, ჩვენი სულს იქით. თქვენ მგონი ქარ-
თლში ბრძანებულხართ და გაგონილი გვექნებათ, რომ
ერთი ღიდი სათავადისშეგიდო მატები წავიდა ქართველების
სელიდებინ ერთი ქნების ერთს საკაბეში.

„მიბძანდით თბილისს ფრანცუზების მაღაზიებში და წა-
იკითხეთ მათს წიგნებში მარტინოლოი ჩვენი კნეინე-
ბის ნისიებისა: წევილი ჩულქი სამი თუმანი, ერთი ბაჯის
კრუპაკები თანა ათი თუმანი, ვაზიირის საკაბე რამორც თუ-
მანი, ფერჩატებები 25 მანეთი და სხვა და სხვა... და ამ
გვარს კრუპაკებისა და ჩულქ ფერჩატებში, სხვათა შო-
რის, მიდის ჩვენი ხელიდამ ერთი უდიდეს და უკეთეს მა-
მულთაგანი კახეთში, წავიდა ჩვენი ხელიდამ ქარვასლე-
ბი, საუკეთესო მამულები ბორჩალოში, ტფილისის მაზ-
რაში და მრავალს სხვა აღგილებში.

„ერთი ჩვენი სახელოვანი პოეტი, რომელიც გულის
მოსაკლავი ლექსებით აძლევდა შეჩენებას ჩვენს ამ გვარს
მამულების ფლანგვას, ამავე დროს თვითვე ჰულანგავდა
თავის მამულებს და ჩაუკდო ისინი ხელთ უცხო თესლო,
უცხო ტომის ხალხო...“

„აბა მოსძებნეთ და პნახაეთ ჩვენში მასაც, რაც სხვა-

გან ითვლება ანახრონიზმად. პნახავთ ჩვენს დილებულს მებატონეთა შორის, რომ ძალლებზე ჰხარჯავდნენ ასა და ათას თუმცნობით წელიწადში და ამავე დროს რომ უთხრათ: რუსეთსა და საზღვარ გარეთ ჩვენი მოსწავლე ყმაწვილობა, ჩვენი ქვეყნის მომავალი ნუგეში სიმშილით ისუსრება-თქო, გროვს ვერ ამოაღებინებ ჯიბიდამ.

„დიახ, არამც თუ კამელიებს, არამც თუ ბლოტებს, ჰერეფეს, ფაგეებს, ეფშტეინებს და სხვა ამ გვარებს ვაჭ- მევდით ჩვენს სარჩეს; არამც თუ ლინოსა, ათინის ლა- ზეებსა, ციგანკებს, აკტრისებს, ვოლტიურკებს და ქა- ლალდის თამაშობაში კაჭანდით ჩვენი საშვილიშვილო მომავალს ბედს, ჩვენ ვგლეჯამთ სიმშილისა და გაჭირვე- ბისაგან მიხწეულს გლეხს თავის ოფლს და ვაყრით ძალ- ლებს პირში, ვაჭმევთ იმათ ჩვენს საცხოვრებელს და ამა- ვე დროს გაიძიახით: შემოხიზულთ შეგვეამეს, საწყაო ჩვენი მოთმინებისა გაავსესო... განა ვამოჩნდა ჩვენში ერთიც არის მთქმელი, რომ ძალებზე ჩვენი მომავალი ბედის გადამგებს არა აქვს ადგილი ჩვენს საზოგადოება- ში?!

„მაშინ, როდესაც ჩვენი გასათხოვარი ქალები იტარე- ბდნენ დროს „я въ васъ влюблена“-სს თამაშობაში, უკე- თეს საქმედ მიაჩნდათ „я отъ него несъ умъ“-ს ძაბილი და ქართულს წითელ კვერცხათაც ვერ ალაპარაკებდი, — ამ დროს გასათხოვარი ქალნი ჩვენი შემოხიზული ხალ- ხისა დაღიოდნენ, კიდითო-კიდით სუნით ეძებდნენ თავი- სის მოდგმის ყოველს ქვეყნის კუთხეს გაფანტულს და გადაგვარებულს ხალხს, ულვიძებდნენ თავისს ძველი სა- მშობლოს სიყვარულს, აგონგბონენ თავისს ვინაობას, შეასწავლეს საუკუნეთაგან დაკარგული ძველი სამშობლო ენა, გამოაღებინეს მილიონობით ფული თავისს საზოგა-

დო საქმისთვის. „მაშინ როდესაც ამ შემოხიზნული ხალ-
ხის მუშანიც-კი სიკვდილის ჟამს სწირავდნენ ათასობით
და შეძლებაზედ კიდევ მეტს თავის საზოგადო საქმეებს,
— მიჩვენეთ ერთი ქართველი მდიდარი, გროში, გროში
რა არის, გროში შეეწიროს სიკვდილის ჟამს ჩვენი საზო-
გადო საქმისათვის...“

„ათასი საქმე, ათასი თავში საცემი წინ გვიღევს: ვეარ-
გავთ ენას, ვკარგავთ ხალხოსნობას, ვკარგავთ ათი და ასი
ათასობით ჩვენს ძმებს, კათოლიკთა და გაჭმალიანთა ქარ-
თველებს; სწავლა ქართული აღარ საღ არის და სხვ. და
სხვ. განა იქსება აქ ჩვენი საწყალ და ვიზრუნეთ რამე ამის-
თვის?!

„შეხედეთ ამ შემოხიზნულ ხალხს, რაოდენი კალმითა
და საქმით საზოგადო საქმის მშრომელი ჰყავთ ყოველს
ქვეყნის კუთხეს, საღაც-კი საჭიროა, რომ გაიყვანონ თა-
ვისი სიტყვა, აჩვენონ თვისი საქმე. მიჩვენეთ ერთი ქარ-
თველი კაცი, რომელიც უცხო ქვეყანაში იღეწიდეს
ჩვენი საქმისათვის. იქაც-კი, საღაც ჩვენი კაცნი კითხულ-
იყვნენ, ერთს საუკეთესო სამეცნიერო წიგნში ჩვენა ვართ
გამოყვანილნი, როგორც გამოუფიზლებელნი ლოთნი,
ლოთობისაგან სახე დასიებულნი და საზიზრად სახეში
სიწილე ჩამკვდერნი; ვართ გამოყვანილნი, როგორც
მხეცნი, ველურნი ადამიანნი, რომელნიც ცოცხალ პი-
რუტყვს ვაძრობთ ტყაეს, რომ გავაკეთოთ ტიკები და
რუმბები.

და სხვ. და სხვ. ამ გვარები“..

ბ-ნ ან. ფურცელაძეს ბევრი ამ გვარი სამწუხარო ფაქტე-

ბი მოჰყავს, რომელიც ამტკიცებს ჩვენს არარაობას... ბოლოს ის დასკვნა გამოჰყავს, რომ ინდუსტრიას უნდა მოვკიდოთ ხელი და ჩვენი ხსნა მაშია და არა მახვილშიო. მაღლობა ღმერთს ეხლა ჩვენც ვილვიძებთო და მეტადრე დიდი იმედი აქვს იმერ ქართველებისა.

თ ა გ ი Ⅳ.



უკანასკნელი დასკვნა ორ შეზოგვლებულ ხალხთა
ზესახებ.

კითხველო, ნუ გამიწყრები, ერთი კიდევ უკანასკნელად გადავავლოთ თვალი და განვიხილოთ ის გარემოებანი, რომელიც გახდნენ მიზეზნი და დაპატიჟებადეს დღევანდელი არა კეთილი განწყობილება ორ მეზობელ ხალხთა, ქართველ და სომეხთა შორის.

საკირო არ არის ადგენვადამ დავიწყოთ, საქმაოა მხოლოდ ის დღე მოვიხსენიოთ, რა დღესაც საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ შევიდა და ბოლოს შეუქროდა კიდეც, ე. ი. ამ მდგომარე საუკუნის დასაწყისი უნდა ავილოთ.

შემოდგა თუ არა რუსმა საქართველოში ფეხი, განუწყვეტელი ბრძოლა დაუხედა შინ თუ გარეთ. მთელი ნახევარი ამ საუკუნისი და თითქმის მეტიც რუსეთი საქართველოს მტერთ ებრძოდა—სპარსეთს, ლიბალის და კავკასიოს მთის ხალხს: ლექს, ჩერქეზს, ე. ი. შამილს და სხვ.

განუწყვეტელ ომსა და ბრძოლის დროს, რუსის დიდალ ჯარს ბინა-საღვრი (კაზარმები) უნდოდა; გამოკვება, სურ-საუ-პაქსი, მეტი ეჭირვებოდა; ამოდენა ჯარს გადაყენ-გაღმო-ცვანა და თოფ-წამალ, ზარბაზან-ყუმბარებს გადაზიდვა-გაღმო-ზიდვა უნდოდა. აი ამ ოპერაციებისთვის მოხერხებული ვაქა-

რო კაცები იუვნენ საჭირო და უექველად ადგილობრივი მუხო-
ვრები, რომელთაც სცოდნიდათ ადგილის მდებიარობა, ხალ-
ხი, მისი ენა და ზნე-ჩვეულება, გარემოება. თან ფულის პატ-
რონებიც უნდა ყოფილიყნენ, რომ „ფოდრათების“ აღება
შესძლებოდათ და პირნათლადაც შეესრულებინათ.

აბა ერთი მიბანეთ, ღმერთი გადღევრებელებდეთ, მაშ ვინ
იყო საქართველოში ამისთვის მომზადებული, თუ არ სომეხი
ვაჟარი?

ქართველი თავად-ზნაურობა ხომ არ იყადრებდა „პოლ-
კოვი მირეიტანტობას“ და „ფოდრათების“ აღებას. პო, და
მაშ ვინდა დაგვრჩა ქართველებში? მაშინდელი უწნო, პირუ-
ტყვი გლეხი?! ჩვენ გლეხს ან აღებ-მიუემობის უნარი, შნო
სად ჰქონდა, ან საჭირო თანხა?!... ან ნებას ვინ მისცემდა.

ამ გვარად მოელი 60 წელი რუსთეთიდგან ტომრობით
მოღიოდა ფული ჯარის და ომის საჭიროებისათვის და სომ-
ხობაც სარგებლობდა გარემოებით. პოტო ამბობს: წინ ჯარი
თოვთით და ხმალით გზას სკრიდა, შევიდობიანობას ამყარებ-
დით და ჯარს უკან სომეხი მისღვდა არშინით და სასწორ-
სწყაოთიო. დიახ, სწორედ სომხის ჯიბისთვის იყო კავკასია-
ში ატეხილი დაუბოლოვებელი ომი და ბრძოლა, რომელმაც
დაატრიალა სომეხ ვაჟართა შორის დიდ ძალი კაპიტალი. ამ
გვარად კავკასიაში მეურნეობამ, მრეწველობამ, ქარხანა-ზავო-
დებმა-კი არ შექმნეს კაპიტალი, როგორც ეს ევროპაში მოხ-
და, არამედ ჯარმა და ომებმა. თორე სიმართლე რო ვსთქვათ
აჩც სომხობა დიდი უნარის პატრიონი, ინდუსტრიის ხალხი.
დიაღ, კავკასიის პოლიტიკო-ეკონომიკა საზოგადო კანონებს არ
ემორჩილებოდა.

„თაფლი იყოს, თორე ბუზი ბალდადიდგან მოვაო“. ფუ-
ლის ხმამ ანდამან ტივით მოიზიდა საქართველოსკენ ქვემო პრო-
ვინციების სომხებიც განჯა-ერევან-ყარაბაღისა და სხვ...

ამ გვარიად არამცუ ქართველი სომხობა მდიღრდებოდა საქართველოში, გაღმმთიელმა სომხებმაც-კი მოიკიდეს თბილისში ფეხი და კაპიტალისტებად შეი ქნენ. დიალ, ვაჭარ სომხებს ჩაუვარდათ ხელში მე-XIX საუკუნის ძალა—კაპიტალი, ის კაპიტალი, რომელმაც ევროპაშიაც ძირითად შესცვალა ფეოდალური წეს-წყობილება.

დადგა ახალი ხანა. ცველაფერში გაბატონდა ფული და ჩვენს დედა ქალაქში წარმოგვისუპდნენ სომები კაპიტალისტები თავით მრავალ სართულიანი სასახლეებით და მდიდარ დუქან-ბაზრით, სოლილა-კვერა-კუჯია—შეითან-ბაზრიდგან და სირაჯხანიდგან ამოძრა.

მოგეხსენებათ, რომ გარემოებაც ხელს უწყობდათ: ომი და ჯარი იქით იყოს, სომხებს სხვაფრივაც რთველი კარგი ჰქონდათ—გიურ ფლანგავდა და კევიანი ჰკრეფდა.

ჩვენ თავად-აზნაურობას ერთნაირი მოარული, კირი შეხვდათ—მნია განადგურებისა, მიპყო, ბატონზ, ხელი და შეძენის მაგიერ, რაც მამა-პაპეული განძი და მამულ-დედული ჰქონდა, ფლანგა და ფლანგა, ახალ ცხოვრებას შეალია, თითქოს ხვალ ანუ ზეგ ქვეყანა უნდა წაირლვნასო. სომხობას-კი სწამდა, რო ნამდეილი ცხოვრება ეხლა იწყება, ეხლა შენდებაო, წარლვნა რას მიქვიანო და მხოლოდ ხვალინდელ დღეზე ფიქრობდა. რაც „გიურაცუას“ მეტ ბარგად მიაჩნდა, შორ მხედველ სომხისათვის განძი იყო—ზედი-ზედ ჩაიგდო ხელში ავეჯი, თვალ-მარგალიტი, ძვირფასი განძეული, მამულები და ხვალინდელი დღე გაიმაგრა.

ასე და ამ გვარიად გავვიბატონდნენ ყაზარ, მარქარ, კარაპეტა, რომელთაც ალლო აიღეს ახალი ცხოვრებისა, ახალი მოხხოვნილებისა და იღარს არშინი და საწონ-სასწორი, მისცეს შვილებს უმაღლესი განათლება, შეითვისეს ევროპიული ცივილიზაცია და ზომიერი ყაირათიანი ცხოვრება,

დაუახლოვდნენ ეკროპიულ სავაჭრო ფირმებს, დაიშაბურეს ნდობა, ჩაგდეს ხელში ვაჭრობა და შუამავლობა მთელ ეკროპასა და აზიას შორის —ეკროპას საქონელს —უაბრუკა-ზავდების ნაწარმოებს აზიას აწყდიდნენ, აზიის ნეღლ მასალას და ზოგიერთა ნახელოვნარ საქონელს ეკროპას აძლევდნენ...

იგრძნეს ფულის სიძლიერე, გათამამდნენ, აღადგინეს და განაძლიერეს ეროვნული თვით-მცნობიერება, გაამდიდრეს საშმობლო ლიტერატურა, გააუწეს თავი ეკროპას და მასთან ერთად ცდილობდნენ კავკასიაში გაძლიერებას, აღგილ-მამულის, ტერრიტორიის შექნას, რომ დამკილტებულიყვნენ სამუდამოდ და დამკილტნენ კიდეც. საქმე იქმდე გაჩალხეს, რო ეკროპას განუცხადეს, მთელ კავკასიაში პირველი კულტურული ერი, მხოლოდ ჩვენ სომხები ვართო და თუ არ გჯერათ მობანდით და გვნახეთო. მთელ დედამიწაზედ მოუარტულმა სომხებმა ამ ოციოდე წელიწადში სამშობლოს აღსაღებენად იმდენი იშროებს, რომ დღის, როგორც მოგეხსენებათ, ოსმალეთის სისუსტით ჰსურა ისარგებლონ და მის ნამგრევებზე სომხეთი აღალგინონ. —ეკროპას ძალას ატანენ, როგორც ქრისტიან ხალხს, ეკროპული ცივალიზაციით აღქურვილს, პოლოტიკური თეოით-აზსებობა მოგვინიჭეთო, ბოლდარები ჩვენ მითომ რითი გვჯობიანო და სხვ. და სხვ.

როცა სომხები ასე ირჯებოდნენ თავიანთ ჯიბისეფვის და სამშობლოს ინტერესებისთვის, ჩვენ რაღაც ვარაგებდით? იმას, ბატონებო, რომ თავი საღათის ძილს მივეცით და თუ ენერგიას ვიზენდით, გამოუვაზოველ ლითონაში და კინტოურ ყოჩალობაში იხტებოდა ჩვენი შეი და უნარი. ხოლო, როცა ახალ მოდის ცხოვრებამ, მისმა გარენობამ ჩვენი თავადობა დააკოტრა, მშინ მიჰყვეს ხელი და სომხის და რუსის „ეუწების“ ქალებს თხოულობდნენ დადა ქრთამით და მზითვით. ხოლო, როცა აღარაფერი დაგვრჩა დასაგირავებელი და შესა-

შეელი და კუპწებიც მიხვდნენ, რო ცარიელი ტიტული კნია-ზობა-კნინობისა კუქს ვერ გააძლობსო, ჩვენი ნაჭირნახული ფულები რაც გაფლანგეს ისიც ქმარაო, ახლა, რასაკვირველია, ჩვენც გამოვცხიზლდით, და გვწყინს, გული გვტკვა, რომ ჩვენმა შემოხიზულმა ხალხმა ძრიელ შორს გაგვაწრო, უველაფერში გვაჯობდეს—მთელი კავკასიის ინდუსტრია ხელში ჩაიგდეს, ქალაქები მათია და სოუკელშიაც ჩადგეს ფეხი. გიმნა-ზია, უნივერსიტეტები სომხის შეილებით გაივსო, რაღაც უკა-ნასკრელ მეწვრიმალეს უფრო ქეხრხება შეილის გამოზდა გიმ-ნაზია-უნივერსიტეტში, ვიდრე ჩვენ თავადაზნაურობას. ახლა ჩვენ იმის მავიერ, რომ ჩვენც სომხების მაგალითს მივყევთ, სომხებზე ხმალ ამოღებული ვიწევთ—გაგვიშვით, სომხები არი-ან ჩვენი მტრები—ხმალი მაგათაო!

დიახ, ბატონებო, სომხები ცხოვრების მეჯლისზე ზემო თარის მოექცენ, სათაურში სხედან და ჩვენ-კი კიდევ კარგი თუ სუფრის ბოლოს დაგვითმეს ალაგი. ვშიშობ, ვაი, თუ ჩვე-ნი დაუდევრობით მათი ნასურალის ამარა-ლა დაერჩეთ, თო-რე სუფრის ბოლოს ვინ-ლ ჩივა. დიალ, ბატონებო, გულ-საკ-ლავი სიტყვებია, სათაკილოა ჩვენისთანა თავ-მოყვარე ხალხის. თვის, მაგრამ რა გაეწყობა! ქვეშარიტებას ძრიელაც რო თვა-ლი და თავი ვარიდოთ, როდემდე უნდა ვარიდოთ!

დიახ, ბატონებო, ამ სამარცხვინო მდგომარეობიდან ის-ლა გვიშველის, რომ მამულ-დედულში მაგრა ჩავდგათ ფეხი. ქალაქები ჩავივდოთ ხელში, მეურნეობა განვაგრძოთ, სწავლა განათლებით განვითარდეთ და საზოგადოთ ვრცელ ინდუსტ-რიას მივყოთ ხელი. ყველა ამის შესრულებისთვის-კი უქმედას საჭიროა ცხოვრებაში მოთხოვნილება შევიმციროთ, შრომა დ-ცოდნა გაჟიღმიერთოთ და ყაირათი-ეკონომია განვამტკიცუოთ— თუ შავი დღისთვის არ ვფიქრობთ ე საბნის შესაფერ მაინ- გავშალოთ ფეხები!..

დღეს არა მახვილით, არამედ ინდუსტრიათი ისე უნდა
შეეიარალდეთ ცხოვრების მეჯლისზე საბრძოლველად, ვით
ჩვენი წინაპარნი ქუდზე კაცი შეიარალდებოდნენ ხოლმე სამ-
შობლოს გაჭირვების დროს.

მაში გაუმარჯოს ქართველების ასაღ დეკიზის:

„შრომა, სწავლა, უარათა,
მაშედი და ინდუსტრია“!

ნაწილი მეოთხე.

თხილაშოთის მთა და ცხვარი.

თ ა გ ი I.

„კამერის მინდორი“. — ღვინობისთვის ცამეტის საშინელი უბე-
დურება. — აი სად იყო ლევ ტოლსტიო! — თავ-კვეთილა და
შავ-ნაბადა. — საიდგან წარმოსდგა საქართველოში ამდენი მთე-
ბი? — ჩვენი კავკასია ახალგაზდა ხმელეთია. — ირაკ-
ლი ხანი, ზილხ-აბჯარიანი, ასპინძის ომ-გადახდილი
ამ გზით დაბრუნდა. — თრიალეთის მთებზე მოფენი-
ლი ცხვარი. — ბრემის აზრი შინაურ ცხვარზე.



ასიამოვნო ტბის პირად მიმავალ გზით, ცოტა
ხნის შემდეგ გადავედით კამერის მინდორზე.
უწინ, როდისძალა, შემოდგომის პირზე წა-
ლკიდამ მომავალ კამერიბისთვის აქ უცებ თოვლ-
ჭყაპს უსწერია და მერე ბუქ-ნამქერ-სიცივეს კამერიბა მთლად
გაუწყვეტია. ბევრი უძახიათ ნოესთვის „ნოე! ნოე!-ო“, მაგრამ
ნოეს მათოვის არ უშეველია. მას აქეთ დარქმევია ამ ტრიალ
მინდორს კამერის მინდორი.

ეს ამბავი დიალაც დასაჯერებელია. 1876 წ., ღვინობის-
თვის 13-ს, ბორჯომის გზაზე, მთის ქედის გადმოსავალზე (9000

ულტ.), რომელიც ამ კამების მინდოორზე თუმცა ძრიელ და-შორებული არ არი, მაგრამ ცოტა მაღალი-კია, ცხრა-წყაროს მთაზე, ოლავერდელ (ალავერდი?) სომხებს უსწრო თოვლ-კყაპმა და მერე ისეთი საშინელი ბუქ-ნამქერი ასტყდა, რომ 40 კაცი და 65 ხარ-კამები დაახრიო. ამათ ქერები წაეღოთ ქი-რით ახალ-ქალაქიდან ხაშურში და ცარიელები რო დაბრუ-ნებულან, მაშინ უსწროია ამ საცოდავ მშრომელ ხალხისთვის მოულონდელ უბეღლურებას...

საქონელი მაინც რო გამოეშვათ, არც ერთი არ დაიხრ-ჩობოდა,— რომელსაც ძალიად ტაბიკები გამოუმტვრევია, შინ გაქცეულა, გადატენილა.

თუმცა-კი თოვლი დიდი არ მოსულა, მაგრამ შეშინებულ უთავბოლო ხალხს დავთრები დაჰკარგვოდა და მის მაგიერ, რომ ერთად შეგროვილთ ლონე ელონათ, ყველა თურმე თა-ვისთვის გარბოლა, მოძმეს არ დასდიეს, დაქსაქსულები დაიხრ-ჩენენ. ამდენ ხალხში ერთი კაცი ვერ გამოჩნდა მტკიტკე ხა-სიათისა, რომ მოესაზრა: ყველანი ერთად შეეკრიბნა, ირგვ-ლივ დაედგათ ურმები, რამდენიმეც შეშად დაემტვრიათ, და-ენთოთ დიდი შეუცელი, ერთი ხარიც თუნდ მწვადებად შეეწვათ და გამოდარებამდე ასე გაერარებინათ დრო.

ერთი პატარა ბიჭი ურმის ქვეშ შემძურალა, მწოლარე ხარს ჩაპხუტებია და რაღაც სასწაულით გადარჩა. თურმე თოვლს ბლომად წაუყრია და თოვლის ქვეშ სიცივემ ველარა დააკლო-რა. საინტერესოა ამ ბიჭის ნათხრობი: „მამა ჩემი-კი ურემზე იწვა, სიცივით იფიჩებოდა, რამდენჯერმე გაღმომხედა, რაღა-ცას ლუდლულებდა, გაყინული პირი ვერც-კი გაეღო.

„მერე გარიერაუისას გამოიდრა, ქვეყანა დამშვიდდა. მამა-ჩემმაც ძალა მოიკითა, ხარებს გაღმოხედა და მეითხ: „შეი-ლო, დანა არა გაქვს, ხარებს აპეურები დავაჭრათ, გამოუშ-ვათო“? ადგა, ჩამოვიდა, დანა მივეცი, ხარებს აპეურები და-

აჭრა, ტაბიკები ამოაცალა, უღლიდგან გაანთვისუფლა, შაგრამ ხარები-კი დახრჩობილიყვნენ. ბევრი წაპერა ფეხი, შაგრამ ისე თქვენი მტერი და დამაწყევარი აღვეს, როგორც ის ხარები აღვნენ.

„სწორედ ამ ალაგას ურმის გარეშემო ათი კაცი მეტი ეყარა თოვლში. მამაჩმი მივიდა, ერთს წაპერა ფეხი, აბა წავიდეთო, რალის ელითო, მაგრამ ყველანი-კი მკვდარი დახვდა, მერე რალაც უუსუუსი დაიწყო და ე კაცს მუხლები ჩაეკეცა და იქვე თქვენი ჭირი წაილო. მივარდი და გათოშილი-კი და-მხედა“...

აი სად იყო ლევ ტოლსტოი, არ აღწერა ფსიხიური (სულიერი) მდგომარეობა ამდენ ხალხისა—მის, „Хозяин и рабочий“-ს ბევრად აჯობებდა.

კამეჩის მინდვრიდგან შეეუძლექით ხრია აღმართს. გზამ თავ-გეოთილა და შავ-ნბადა მთებს შუა მიგვიყვანა და ჯავახეთით წალკა/გადავიხედეთ.

თავ-კვეთილას იმიტომ უძახიან, რომ თავი მთას მოკვე-თილი აქს—უეპველად ნიშანია სანძრისა (კულკანისა). მოკ-ვეთილზე ტბაც არის და უწინ ირმის ჯოგი მოდიოდა ხოლ-მე წყლის სასმელადაო. ახლაც თურმე ბოგინობს ამ მოტიტვ-ლებულ მთებზე კლდეებში დაოვი, მგელი, მელა, კვერნა, მა-ჩივი და იშვიათად თხაც ხედებაო.

შავ-ნბადა იმიტომ დაერქვა მთას, რომ შორიდამ შავად გამოიყურება, გეგონება ნაბადი წამოუსხამსო.

მართლაც-და შესახარი, მრისხავი სანახაენი არიან ეს ტი-ტველა უზარ-მაზარი კლდიანი მთები. სწორე მოგახსენოთ, ვე-რაფერი სასიამოვნო სანახავი იქნებოდა ბუნება მაშინ, როდე-საც ჯერ არც მცენარე იყო აღმოცენებული და არც ცხოვე-ლი გაჩენილი. ან-კი საიდამ წარმოსდგა საქართველოში ამდე-ნი მთები? ამ კითხვაზე მეცნიერება აი რა პასუხს გვაძლევს:

„იუო დრო, ჩოდესაც მთლად დედა-მიწის ზურგი წყალს
ექირა, ამ გვარ უსამართლობას, რაღა თქმა უნდა, ბუნება ვერ
მოითმენდა.



სანძარი.

განრისხებულმა დედა-მიწის გულის ცეცხლმა, საშინელის
ძალით, სარქველივით ასწია თხელი კანი დედა-მიწის ზურგისა
და წარმოუდგენელის ძლიერებით ამოხეთქა აღულებული ტლა-
პო (lava), დომხალივით არეული გამზვალი ქვა, მიწა და ათას-
ნაირი ლითონები. წყალმა და ცეცხლმა რამდენიმე მილიონი
წელიწადი იბრძოლეს (ეხლაც იბრძვიან) — რასაც ცეცხლი აშე-

ბდა, იმას წყალი არღვევდა, ჩაქონდა თავის უფსკრულში
› იქ მწყობისად ალაგებდა მომავალ ვაკე ადგილებისთვის.

მას მერე ბურთი და მოედანი წყალს და ცეცხლს დარ-
უ და როგორც ნებავდათ, ისე სკრილნენ და ჰერავდნენ —
იალი ზურგს უცივებდა დედა-მიწას და ცეცხლი კიდევ ხან იქ
ახეთქვედა აღუღებულ ტალასს დედა-მიწის გულიდამ, ხან აქ.
კუთხლისაგან ამნახეთქმა მასალამ ბოლოს მაინც იმდენ ხანს
ნუწყვეტელად იღინა, ვიდრე უზარ-მზარი მთები აშენდე-
და და ათი ათასგან კუნძულნი გამოჩნდებოდნენ.

ღვთის წყალობა გაქვთ, იყალრა წყალმა და დაგვითმო
კლეთი, მაგრამ რა, განა ბევრი დაგვითმო? დღესაც სამი წი-
რ დედამიწის ზურგისა წყალს უკირავს და მხოლოდ მეოთ-
ზი ნაწილი ხმელეთს შეადგენს!

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ის ადგილი, სადაც
კუს დიდი ქალაქები გაშენებულიან და კაცთა სიცოცხლე
უდს, მაგალითად, ბერლინი, ვენა, მიუნხენი, კოურიხი,
ბჟავა და სრულიად რუსეთი მთლიად ზღვა-ოკეანს ეჭირა.

მეცნიერთაგან დამტკიცებულია, რო მთელი კავკასია და
წი საქართველოც სულ მთლიად ხმელთა-შეა ზღვას ეჭირა.
ალითად, ეხლანდელი ხმელთა-შეა ზღვა, შავი ზღვა, კას-
ს ზღვა და არალის ზღვა, მაშინ სულ შეერთებულ, ერთ
ველებელ ზღვას შეადგინდნენ.

მეცნიერთა აზრით ჩვენი კავკასია შედარებით სულ ახა-
, ხმელეთია. ათასი საუკუნე არც-კია მას აქეთ, რაც დედა-
ის გულის ცეცხლმა ასწია ამ ზღვის ძირი, ამოჰყო თავი
ლეთმა, ამოხეთქმეს სანძრებმა და აშენდნენ ეს აუარებელი
ები და ჩვენი უზარ-მზარი კავკასიონის ქედი, მთა გრეხი-
, რომელთა შორის მეფობენ იალბუზი და მყინვარი.

ჩვენი არჩეული გზა ძრიელ მოკლედ სკრის განძილს, ჯავახეთიდამ წალკაზე გადასასცლელად.

მეფე ერეკლეს, ასპინძის გამარჯვებულ ომის შემდეგ, როდესაც გაეშურა თბილისისკენ შინაურების დასამშვიდებლად, მაშინ აქვთ, ამ გზით მოუქრია მოკლედ.

ხიზაბაერაში დღესაც გაიგონებთ აქაურ ქართველებისაგან: ირაკლი ხანი ომ-გადახდილი, ასპინძიდამ მტკვრის ხევ-ხევ ხიზაბაერას ამობძანდა და იმ ღამეს აქ დარჩაო. თავით ფეხებამდე ზილხი (აბჯარი) ეცვა და მხოლოდ პირი-სახეზე და მაჯგბს ქვევით არ ემოსაო. იმ ღამეს ზილხს რომ იხდიდა, დაიბერტყა და საში ოუა (უხრა გირვა). ტყვია დასცვივდაო.

— აი, ბიქებო, ამდენი ტყვია მომარტყეს იმ ურჯულო ლექებმაო.

ზილხი რომ გაიხადა, ქვეშ კიდევ ნაბადსავით მოთვლილი ჰერანგი ეცვაო.

ხიზაბაერიდამ მეფე ერეკლე თავის მხლებლებით გაუთენებლივ გზას გასდგომია. გაუცლია გოკიაზე, ასულია ხუმრისს, გადაუკლია ამ მთებს შუა (თავკვეთილა და შევნაბადა), გადასულია წალკას, გადუცლია მანგლისზე, კოჯორზე და ჩისული თბილისში ხალხისა და შინაურების დასამშვიდებლად.

დელე პავლიაშვილმა ეს ისტორიული ამბავი ცნობილი ლექსით დაამთავრა:

„შენ, ერეკლე ოქმიანო,
ცენ-აბჯარ უნაგრანო,
შენი ნახოცი ღეგები
ასპინძის ბოდის ურანო,
გევა-ურორანი ღეშს სჭამს,
კაგებნი თელებს თხრანო.“

ამ მთებიდამ წალკის დაცემული ვაკე თვალ-წინ წარმოგვიდგა. მთების კალთებზე ძირს მოფენილი იყო ფარა-ფარად

თეთრი ცხვრები, რომელნიც ამ ერთ-უეროვნ უტყუო არე-
მარეს ასურათებდნენ, სულს უდგამდნენ.

აქ ნახმთ თუშებს, ქაზიყელებს, თბილისის მაზრელებს,
წალკის ბერძენთ და სხვა, რომელთაც სიცხისათვის მოურიდე-
ბიათ დიდ-ძალი ცხვარი. ერთმა „ზასტავის“ უფროსმა მიამბო,
რომ ყოველ წლივ გაზაფხულობით, ამ თრიალეთის და ჯავა-
ხეთის მთებისენ, იაილებზე საძოვრად ერთ მილიონზე მეტი
ცხვარი აივლის და ჩამოიკლის ხოლმეო.

როდის დამზადა კაუმა ეს მისთვის სასარგებლო ცხო-
ველი-ცხვარი — არავინ იცის. ფრიად საინტერესოა ბრემის აზ-
რი შინაურ ცხვარზე. ეს ცნობილი მეცნიერი საშინელის ზი-
ზლით იხსენიებს შინაურ ცხვარს. შინაურ ცხოველთა შორის —
ამბობს ბრემი — ყველაზე ძლიერ ცხვარია მონობისაგან დამახი-
ნჯებული და გადაგვარებული. ამ ცხოველზე ისე საშინლად უმო-
ქმედნია დიდი ხნის მონობას, რომ აჩრდილი აღარც-კი და-
რჩობია თავის თავისუფალ წინაპრის, გარეულის ცხვრებისა.

მაგრამ ამა უყურეთ თხას, ხომ ერთ ფარაში დადიან,
ერთსა და იმავე გარემობაში და პირობებში სცხოვრობენ,
თხა იქამდე ყოჩალია, რომ მონობაშიაც-კი არა ჰყარგავს თა-
ვის ბუნებრივ ზნე-ხასიათს და წინაპართა ჩეულებას — გასაოც-
რად იცავს თავისებურებას, თავის ვინაობას და აინუნშიაც-კი
არ იგდებს მონობის ულელს. ცხვარი-კი კაცის მფლობელო-
ბის ქვეშ სამარცვინდ დაჩაგრულა და სრულიად დაუკარგავს
თავისი პიროვნება, წინაპართა ღირსება. რაც თავისუფალ გა-
რეულ ცხვარს სიმპატიური ბუნებრივი ძეირფასი თვისებანი
სჭირს, ყოველივე სამუდამოდ დაუკარგავს შინაურ ცხვარს.
სადღა აქეს ის ახოვნება, ის სილამაზე-სიცევიტე, შხიარული
ცელქობა, სიმამაცე, გულადობა, თავისუფლების სიყვარული
და ჰერცუ-გონების გამოყენება განსაცდელის დროს?

შინაური ცხვარი მხოლოდ მის პატრონს თუ მოსწონს თა-

ვისი საჩვენობლობისთვის, თორებ სხვაფრივ-კი ყოვლად საზიზღა-
რი არსება არის. მისი უტვინობა და უხასიათობა მთელ მის
არსებაში იხატება. რაც უნდა ღონიერი ცხვარი იყოს, იქამდე
ფრთხილი და ლაპარია, რომ გოშია ძალილი-კი გაულიათი
ჰგონია—გზას უთმობს. პატარა რამ ცხოველს შეუძლია მთელ
ცხვრის ფარას თავზარი დასცეს. დამფრთხალი ცხვრის ფარა
ერთის მეთაურის უგუნურის წინდაუხედავობით, სრულიად
მოუსაზრებლად, თუნდ აშეარადაც ჰქედავდეს განსაცდელს,
მაინც თავხედად მირბის და თავს იჩეხავს კლდეში, ღრეუში და
იღუპება თუნდ ზღვის ზეირთებში, თუმცა-კი აშეარად ჰქედავს,
რომ მისი ამხანაგები, რომელიც-კი ზღვაში გადავარდა, ყვე-
ლა დაიხრჩო.

არ არის არც ერთი ცხოველი, რომელიც ასე უცილოდ
ყურ-მოკრილ ყმასავით გმორჩილებოდეს თავის ბედს — მონო-
ბის უღელს, როგორც შინაური ცხვარი. წარმოიდგინეთ უხა-
სიათობა საღამღის მიღის! ამას უხაძიან კიდევ, რომ თითონ
თავს არ იწუხებს და სხვის ხელშია მისი ბედი და უბედობა—
საკვირვლად, სამარცხეინოდ ქამყოფილია, რომ თავიდამ აშო-
რებული აქვს თავის თავზე ზრუნვა.

დასაბამი ყველა ამ საზიზღართვისებათა, რასაკვირველია,
ცხვრის დაცემული ხასიათი და მისი უტვინობაა და სწორედ
მოგახსენოთ არაფერი მოსაწონი ეპიტეტია, როცა ვისმეს აქვ-
ბენ: „კრავივით წყნარიაო“...

თ ა გ ი II.

თრიალეთის იაილების სივარდე და სისასტიკე.—ბუნებაში უსარგებლოდ არა იღუპება-ჩა.—მისი ცხოვრების სასწორი შეურჩეველია.—მალტის აფრითხილებდა კაცობრიობას.—საინ-ტერჯის ეპიზოდი მწყემს-მეცხარების ცხოვრებიდან.—ჯა-გახეთის მემამულენი რატო არ ეწყობინ ცხვრის მოშენე-ბას?—„უხვარო, ვისი ხარ? ვის კარხედაცა ვბლავიო“.—ქურ-თი მწყემსი-კომუნისტი.—მწყემსთა საჭმელ-საშელი და მათი მდგომარეობა.—იმედი მთხოვბის დედა.—ქიზიელ მეცხარის სიტყიშლეს რა ბარბაროსული შედეგი მოჰყვა?—საინტერესო ეპიზოდი თარაჯამა თათხების ცხოვრებიდან.



აფხულობით ამ თრიალეთის მთების კალთები სწო-რედ რო უკვდავებაა ცხვართათვის. მაგრამ აქ კიდევ ზოგჯერ სიცივე უჭირებთ საქმეს. ხან მოსულისა-თანავე, მაისის პირველ რიცხვებში, უწყდებათ მოულოდნელ სიცივისაგან დიდ-ძალი ცხვრი და ზოგჯერაც ზაფხულის ბოლოს, ვიდრე ცხვარი შინათვენ დაიძრის.

შარშან სეკტემბრის ჩილდებს უეცრად ისეთი თოვლი და სიცივე ასტყედ, რომ ამ მთების იაილაზე მოსული ცხვარი კინაღამ სრულებით გასწუვიტა. მარტო ერთ თუშს თოვლის ბუქმა და ნამქერმა აბულის კალთებზე უსწრო და ორი ათასი ცხვარი დაუძრა, დაუხრიო—ცხვარი აბუეტია.

მართლა და მეტად გულ-საკლავი სკენა იყო, როდესაც ამოდენა ცხვრის პატრიონი, ამინდის კაპრიჩით (ეინინობთ) რამდენიმე საათში ხელ-ცარიელი დარჩა. საბრალო კაცი, მდუ-ლარე ცრემლით მტირალი, დაყინულ, გაშოთილ ცხვრებს თი-თო აბაზად იშორებდა თავიდამ, ოლონდ-ეი გზის ფული აელო და გამწარებული შინ კოცხალი მაინც მისულიყო.

მაგრამ ნუ გაგიკირდებათ... ასეთია წესი ცხოვრების

შეჯლისზე. „ქირსა შინაგამაგრება, ისე უნდა ვთ ქვიტკირსაო.“ რასაკვირველია, ამ კაცს აკლდა ხასიათის სიმტკიცე და გამო-
ცდილება, ამიტომ ვერ გაიტანა თავი ცხოვრების მეჯლისზე
ბრძოლაში, თორებ მეტე ბევრი ვაჭარი გამოჩნდა, რომელიც
ტყავისა და ლუმა-ქონისათვის თითო ცხვარში მანეთსაც არ
იშურებდა, რადგან ქონი საპნის ქარხანისთვის უნდოდათ და
ტყავი სამოგვეთ.

აბა რა სათქმელია ბუნების კანონებისთვის ერთი კაცის
ზარალი—ორი ათასი ცხერის გაულეტა! ეგ მხოლოდ ჩვენ
თვალშია დალუპტოლი, თორებ ბუნებაში უსარგებლოდ არა
იღუპება-რა. ვინ უწყის, ჩვენი ზარალი ბუნებისთვის რა დიდი
სასარგებლო არის ხოლმე! მართლაც და წაშმოიდგინეთ თუნდ
პატარა ფარა ცხვარი, რომელიც ყოვლად უზარალოდ მრა-
ვლდებოდეს. ოციოდ წელიწადში მთელ თრიალეთზე ერთი
ფეხის გადადგმა ადგილი აღარ იქნებოდა—სულ ცხვარი და-
იქერდა. ჰო და ბუნებაც თავისს კანონს ადგია.—ცხოველთა
შორის თანასწორობა statis კი არ უნდა დაირღვას, ყოველ-
გვარ არსებას თავის-და-გვარი ადგილი და ზომიერება უნდა
ექიროს ცხოვრების მეჯლისზე.

მეცნიერთაგან გამოანგარიშებულია, რომ უბრალო თვალთ-
უხილავი ბაკტერია-მიკრობებიც—კი მისწრაფიან მთელი დე-
და-მიწის ზურგი ხელთ დიჭირონ და ისეთი საშინელის სის-
წრაფით მრავლდებიან, რომ ორიოდ დღეში ერთი წყვილიდ-
გან მილიონი ჩნდება. ერთ-ნაირი ბუზია, პურის მავნებელი
(კუვაკა); ეს ბუზი უთვალიერებიათ მეცნიერებს და იმ დას-
კვნას მოსულან, რო ამ ბუზის ერთი წყვილი დედალ-მამლის
ჩამომავლობა 25 წლის შემდეგ 6 მილიონად გარდაიქცეოდაო,
ხოლო 70 წლის შემდეგ სწორედ ორს ათას მილიარდს შეად-
გნდათ.

ასე რო მთელ დედა-მიწის ზურგზე თითო ოთხ-კუთხ დი-

შეჯლისზე. „ქირსა შინაგამაგრება, ისე უნდა ვთ ქვიტკირსაო.“ რასაკვირველია, ამ კაცს აკლდა ხასიათის სიმტკიცე და გამო-
ცდილება, ამიტომ ვერ გაიტანა თავი ცხოვრების მეჯლისზე
ბრძოლაში, თორებ მეტე ბევრი ვაჭარი გამოჩნდა, რომელიც
ტყავისა და ლუმა-ქონისათვის თითო ცხვარში მანეთსაც არ
იშურებდა, რადგან ქონი საპნის ქარხანისთვის უნდოდათ და
ტყავი სამოგვეთ.

აბა რა სათქმელია ბუნების კანონებისთვის ერთი კაცის
ზარალი—ორი ათასი ცხერის გაულეტა! ეგ მხოლოდ ჩვენ
თვალშია დალუპტოლი, თორებ ბუნებაში უსარგებლოდ არა
იღუპება-რა. ვინ უწყის, ჩვენი ზარალი ბუნებისთვის რა დიდი
სასარგებლო არის ხოლმე! მართლაც და წაშმოიდგინეთ თუნდ
პატარა ფარა ცხვარი, რომელიც ყოვლად უზარალოდ მრა-
ვლდებოდეს. ოციოდ წელიწადში მთელ თრიალეთზე ერთი
ფეხის გადადგმა ადგილი აღარ იქნებოდა—სულ ცხვარი და-
იქერდა. ჰო და ბუნებაც თავისს კანონს ადგია.—ცხოველთა
შორის თანასწორობა statis კი არ უნდა დაირღვას, ყოველ-
გვარ არსებას თავის-და-გვარი ადგილი და ზომიერება უნდა
ექიროს ცხოვრების მეჯლისზე.

მეცნიერთაგან გამოაწვარიშებულია, რომ უბრალო თვალთ-
უხილავი ბაკტერია-მიკრობებიც—კი მისწრაფიან მთელი დე-
და-მიწის ზურგი ხელთ დიჭირონ და ისეთი საშინელის სის-
წრაფით მრავლდებიან, რომ ორიოდ დღეში ერთი წყვილიდ-
გან მილიონი ჩნდება. ერთ-ნაირი ბუზია, პურის მავნებელი
(კუვაკა); ეს ბუზი უთვალიერებიათ მეცნიერებს და იმ დას-
კვნას მოსულან, რო ამ ბუზის ერთი წყვილი დედალ-მამლის
ჩამომავლობა 25 წლის შემდეგ 6 მილიონად გარდაიქცეოდაო,
ხოლო 70 წლის შემდეგ სწორედ ორს ათას მილიარდს შეად-
გნდათ.

ასე რო მთელ დედა-მიწის ზურგზე თითო ოთხ-კუთხ დი-

უმშევ თითო „კუზუა“ ბუზი იჯდებოდათ. — აპა სპილო ხო სპილოა და დარგინის ანგარიშით გამოდის, რომ ერთ წყვილ სპილოა ჩამომავლობა, თუნდაც თითო ფურ-სპილომ მთელ თავის სიცოცხლეში მხოლოდ სამი სპილო შობოს, მაინც ამი წლის შემდეგ 15 მილიონი შეიქმნებოდათ. კიდევ ხუთასი წელიწადი და მთელ ხმელეთს სპილონი დაიკურიზენ, რადგან იმ ერთი წყვილის ჩამომავლობა ას ხეთა ათასი მილიარდი სპილო შეიქმნებოდა და ხმელეთის თვითურულ ოთხ-კუთხ საექნზე სამ-სამი სპილო მოვიდოდა და ძლივს დაეტეოდათ.

ამ გვარად, თუმცა ყოველი გვარი ცხოველი და მცენარეუ მიისწრაფის მთელი ხმელეთი და ზღვა-ოკეანო თავის ჩამომავლობით გაავსოს, მაგრამ ბუნების კანონის ძალით თანასწორობა არ ირლვევა, ბუნებაში ცხოვრების სასწორი შეურყეველია. მომეტტბული ნაწილი საჭმლის, საკვებავის უქონლობით წყდება, ზოგი პევის აუტანლობით იხოცება, ზოგი ავალცუოფიბით და ზოგი ხოვ ხო თავის მტერი არ ელევა. ხოლო, ახლად დაბადებულები დანაკლისს ისევ აისებენ. — ცოტად თუ ბეკრად მხოლოდ აღმიანი ებრძვის, ეწინააღმდეგება, არ ემორჩილება ამ ბუნებრივ კანონს, მაგრამ აღმიანსაც დაუდგება ის დღე, როცა ბუნება ეტყვის: შედეგ! გეყოფათ. აյი ამიტომაც აფრთხილებდა მალტუსი კაცობრიობას: „ადრე ნუ ქორწინდებით, შვილებს ბევრს ნუ გააჩენთ, თორე საკვებავი არ გეყოფათ.“

ერთი საინტერესო ეპიზოდი ამ მწყემს-მეცხვარეების ცხოვრებიდამ: „უოკემი რამდენიმე წელიწადი მიკიტნის დუქანი მქონდა — ასე გვიამბო სერგომ — ზაფხულობით მთიულები მიერევებოდნენ ცხვარს ამ იაილებზე (თრიალეთის მთა), ღმერთმა ააშენოს იმათი ოჯახი, სინიღისის ხალხია და მეც ყველასთან პირიანად ვვაპრობდი. ერთხელ იმათი სარქალი (უფროსი) მეწვია და მეც კაი პატივი ვეცი. რომ მცოხვებოდა, მითხრა:

უმშევ თითო „კუზუა“ ბუზი იჯდებოდათ. — აპა სპილო ხო სპილოა და დარგინის ანგარიშით გამოდის, რომ ერთ წყვილ სპილოთა ჩამომავლობა, თუნდაც თითო ფურ-სპილომ მთელ თავის სიცოცხლეში მხოლოდ სამი სპილო შობოს, მაინც ამი წლის შემდეგ 15 მილიონი შეიქმნებოდათ. კიდევ ხუთასი წელიწადი და მთელ ხმელეთს სპილონი დაიკურიზენ, რადგან იმ ერთი წყვილის ჩამომავლობა ას ხეთა ათასი მილიარდი სპილო შეიქმნებოდა და ხმელეთის თვითურულ ოთხ-კუთხ საექნზე სამ-სამი სპილო მოვიდოდა და ძლივს დაეტეოდათ.

ამ გვარად, თუმცა ყოველი გვარი ცხოველი და მცენარეუ მიისწრაფის მთელი ხმელეთი და ზღვა-ოკეანო თავის ჩამომავლობით გაავსოს, მაგრამ ბუნების კანონის ძალით თანასწორობა არ ირლვევა, ბუნებაში ცხოვრების სასწორი შეურყეველია. მომეტტბული ნაწილი საჭმლის, საკვებავის უქონლობით წყდება, ზოგი პევის აუტანლობით იხოცება, ზოგი ავალცუოფიბით და ზოგი ხოვ ხო თავის მტერი არ ელევა. ხოლო, ახლად დაბადებულები დანაკლისს ისევ აისებენ. — ცოტად თუ ბეკრად მხოლოდ აღმიანი ებრძვის, ეწინააღმდეგება, არ ემორჩილება ამ ბუნებრივ კანონს, მაგრამ აღმიანსაც დაუდგება ის დღე, როცა ბუნება ეტყვის: შედეგ! გეყოფათ. აյი ამიტომაც აფრთხილებდა მალტუსი კაცობრიობას: „ადრე ნუ ქორწინდებით, შვილებს ბევრს ნუ გააჩენთ, თორე საკვებავი არ გეყოფათ.“

ერთი საინტერესო ეპიზოდი ამ მწყემს-მეცხვარეების ცხოვრებიდამ: „უოკემი რამდენიმე წელიწადი მიკიტნის დუქანი მქონდა — ასე გვიამბო სერგომ — ზაფხულობით მთიულები მიერევებოდნენ ცხვარს ამ იაილებზე (თრიალეთის მთა), ღმერთმა ააშენოს იმათი ოჯახი, სინიღისის ხალხია და მეც ყველასთან პირიანად ვვაპრობდი. ერთხელ იმათი სარქალი (უფროსი) მეწვია და მეც კაი პატივი ვეცი. რომ მცოხვებოდა, მითხრა:

— სერგოჯან, ამდენი წელიწადია შენთან ვვაჭრობთ და
ამ, ჩვენთვის უცხო ქვეყანაში, გვაძტრონობ, ამით შენი ძლი-



თუშები ბინაზე.

ა გადლიერნი ვართ ყველანი. ალბად ჩვენც კაცს გვეძახიან
უდი გახურავს, შენ პატივისცემას გადაგიხდით. აი, ჩა არის, ძმაო

— სერგოჯან, ამდენი წელიწადია შენთან ვვაჭრობთ და
ამ, ჩვენთვის უცხო ქვეყანაში, გვპატრონობ, ამით შენი ძლი-



თუშები ბინაზე.

ა გადლიერნი ვართ ყველანი. ალბად ჩვენც კაცს გვეძახიან
უღი გახურავს, შენ პატივისცემას გადაგიხდით. აი, რა არის, ძმაო

„ამ ერთ კვირაზე სუსელას ცხვარი ჩამოიელის — შინ სივდიგართ — შენ, ჩემო ძმაო, აგერ იმ გორასთან პურ-ლვი-წოთი დაგვიხვდი და ზარალში არ ჩავარდებიო.“

„მეც მოვემზადე და დანიშნულს დროს, დანიშნულ ალა-კას ისეთის ხარჯით დავუხვდი, რომ თქვენი მოწონებული კათავდა თუ არა ლხინი, ახლა, ბატონო, მოჟყვნენ და იმან ათი ცხვარი მომილალა, იმან ოცი, იმან ოც-და-ათი... შევ-აედე და ააშენოს ლმერთმა იმათი ოჯახი! ას ოც-და სამი ცხვა-რი მომიგროვეს საჩუქრად.“

„ყველაზე მეტი-კი ი სარქალმა მაჩუქა და მერე გაავსო ჯამი ლვინით და დამლოცა: — „ლმერთმა, ძმაო, მშეიღობაში ჭიგახმაროს ეს ცხვარი და ერთი ასად გრქუოს!... ჯამი რო უაცალა, განაგრძო: „მაგრამ აი რა არის... შენ ამათი შენა-ზა გაგიტირდება, აი ძმავ, —ნიშანი დავადოთ და ჩემს ცხვარ-ში გავურჩე შენს ბედობაზე. მაისს რო მოვალოთ, მაშინ ინა-ხულე შენი საქონელი“. „

„მე დიდი მადლობა გადუხადე ყველას და მერე სარქალ-საც თავი დაუუკარ — თუ-კი, ძმავ, მაგისთანა სიკეთეს იზამ-თქო... შემინაბავ კიდეც.“

მეფე ერეკლემ ბევრჯელ შეუთვალა ხან სამდურავი, ხან მუქარა, ხან თხოვნა თავის ურჩს გათამამებულ ერისთავს, ბევრჯელაც აუხსნა მამა-შეილურად რა საშინელი დალატია სამშობლოს წინაშე—გინდ კაცმა თავის ხელით ყელი გამოსჭრას თავის მშობელ დედას და გინდ ამოდენა მტერი—ლეკი საყაჩალოთ შეუსევია უმძისოდაც დასუსტებულ საქართველო-ში. მაგრამ არ მისცა ლმერთმა ქართველს კაცს ის ნიკი და შეგნება, ვერ მიხედა რა მნიშვნელობა აქვს ერთობას, ერთსულობას და ერთ-გულობას!.. ქნის ერისთავი თავისას არ იშლიდა, ლეკები თავისუფლად გადმოდიოდნენ ახალციხისკენ და მეფე ერეკლესაც იმდენი ძალა ჰქონდა, რომ შეემუსრა

ახდენდნენ მგზავრთა. მეფემან ირაკლიმ ეს ლონე იხმარა, რომ ამ ხიდის მცხეთის გაღმა და გამომა, კოშკები გაახლებინა, შეიგ კარგი ვაუკაცნი დააყენა, რომელნიც ამ გზებსაც იცავდნენ, მგზავრთაც მშეიდობინათ ატარებდნენ და ვეღარც ამ ხიდზე ლექი გადიოდნენ, და ამათთვის მეფემან ურემზედ შაური განუწერა, ფქვილ ერთ ჩანახი. და ამ ყარაულებს ეძლეოდათ და ოდეს მეფემან სიმხნითა თვისითა, მრავალს აღგილს ჰსძლო ლექთა და შიშა შინა მოიყვანა, დამშვიდა ქვეყანა“. („ყარამასობა“ გვ. 105).

მოკირნახულე მეფემ ქვეყანა დიალაც დაამშეიდა გარეშე მტერთაგან, მაგრამ შინაურ მტერთ-კი ვერ შეიგნეს სამშობლოს ერთგულობა და მფეის მზრუნველობის მნიშვნელობა. აილეთ საქართველოს ისტორია და იქ წაიკითხამთ, რომ ქსნის ერისთავი იუდასავით ვერცხლზედ ჰყიდდა თავის სამშობლოს—ლეკის ბელადები მიართმევდნენ ხოლმე მდიდრ ფეშქაშებს, ლეკურ შალებს და სხვ. და თავ-გასული ერისთავი იდუმალ ნებას აძლევდა უშველებელ ლექთა ბრბოს, რომ გადმოეთელად მოელი საქართველო, გზა და გზა რბევით და ყარალობით.

მეფე ერეკლემ ბევრჯელ შეუთვალა ხან სამდურავი, ხან მუქარა, ხან თხოვნა თავის ურჩს გათამამებულ ერისთავს, ბევრჯელაც აუხსნა მამა-შეილურად რა საშინელი დალატია სამშობლოს წინაშე—გინდ კაცმა თავის ხელით ყელი გამოსჭრას თავის მშობელ დედას და გინდ ამოდენა მტერი—ლეკი საყაჩალოთ შეუსევია უმძისოდაც დასუსტებულ საქართველო-ში. მაგრამ არ მისცა ლმერთმა ქართველს კაცს ის ნიკი და შეგნება, ვერ მიხედა რა მნიშვნელობა აქვს ერთობას, ერთსულობას და ერთ-გულობას!.. ქნის ერისთავი თავისას არ იშლიდა, ლეკები თავისუფლად გადმოდიოდნენ ახალციხისკენ და მეფე ერეკლესაც იმდენი ძალა ჰქონდა, რომ შეემუსრა

თავის ფეოდალის თავ-გასულობა. ბოლოს შეპყარა ერეკლებ კათოლიკოზი, ეპისკოპოსი და მთელმა კრებულმა წყევასა და კრულვას, ანავემას გადასცა მეფის და სამშობლოს მოღალატე ერისთავი. და წვენც მეტი რაღა გვეთქმის—წყეულ-შეჩენებულნიც ყოფილია იგი სამშობლოს მოღალატენი, ამინის უკუნისამდე!

არ-ჟი იფიქრო, მკითხველო, რომ ერეკლე მეფეს მართლა და იმდენი ძალაც აღარ ჰქონდა, რომ თავის ურჩი ერისთავის დასჯა ვერ შესძლო. მეფე ერეკლებ დიდხანს უთმინა ქსნის ერისთავს თავ-გასულობა, და ბოლოს, როცა სულ-გრძელობის ფიალა აიქსო, სასტიკად დასაჯა მეფებ მთელი გვარი ქსნის ერისთავებისა.

აი რა შესანიშნავს ისტორიულ წერილს ვპოულობთ გან-სვენებულ ლუკა ისარლოვის წიგნში:

„ლენერალი თ. გიორგი იასეს ძე ერისთავი ქსნისა იყო დიდი ნამსახური; მას ჰქონდა მინიჭებული ღირსება სენატორისა, მაგრამ რუსული-კი არ იცოდა სწორედ. იგი იყო ტფილისში, გორში და გორს ახლო სოფელ ატენში: ამის ნათევამია შემდეგი:

„მეფე ერეკლებ ამოსწყვიტა სულ ჩეენი გვარი, ქსნის ერისთავიანიო და ჩამოგვართვა ყმა და მამულიო. მე და ჩემი ძმები პატარები ვიყავითო და დედა ჩეენი გორში გვმალამდა. ბრძანები იყო, რომ სადაც ვეპოვნეთ, უნდა მოვეკალითო, და არავის არც საჭმელი და არც სასმელი არ უნდა მოეცათო, თვარის დოდად დასჯიდნენთ. დედა ჩემი შუა ლამე რომ გახდებოდა, ჩუმად წავიდოდათ ზოგიერთ გორელთ ოჯახებში და ძლიერ ჯამით ლობიოს და პურს მოგვიტნდათ. ჩეენი ყმა და მამული ზოგი ჩეენ აზნაურ შეილებს უბოძა მეფე-მაო: ხმალისებთაო, ჩერქეზიშეილებთაო და ფურცელაანთაო, რომელთ ლრამატაში უწერიათ, რომ ერისთავიანთ ყმა-მამული

თავის ფეოდალის თავ-გასულობა. ბოლოს შეპყარა ერეკლებ კათოლიკოზი, ეპისკოპოსი და მთელმა კრებულმა წყევასა და კრულვას, ანავემას გადასცა მეფის და სამშობლოს მოღალატე ერისთავი. და წვენც მეტი რაღა გვეთქმის—წყეულ-შეჩენებულნიც ყოფილია იგი სამშობლოს მოღალატენი, ამინის უკუნისამდე!

არ-ჟი იფიქრო, მკითხველო, რომ ერეკლე მეფეს მართლა და იმდენი ძალაც აღარ ჰქონდა, რომ თავის ურჩი ერისთავის დასჯა ვერ შესძლო. მეფე ერეკლებ დიდხანს უთმინა ქსნის ერისთავს თავ-გასულობა, და ბოლოს, როცა სულ-გრძელობის ფიალა აიქსო, სასტიკად დასაჯა მეფებ მთელი გვარი ქსნის ერისთავებისა.

აი რა შესანიშნავს ისტორიულ წერილს ვპოულობთ გან-სვენებულ ლუკა ისარლოვის წიგნში:

„ლენერალი თ. გიორგი იასეს ძე ერისთავი ქსნისა იყო დიდი ნამსახური; მას ჰქონდა მინიჭებული ღირსება სენატორისა, მაგრამ რუსული-კი არ იცოდა სწორედ. იგი იყო ტფილისში, გორში და გორს ახლო სოფელ ატენში: ამის ნათევამია შემდეგი:

„მეფე ერეკლებ ამოსწყვიტა სულ ჩეენი გვარი, ქსნის ერისთავიანიო და ჩამოგვართვა ყმა და მამულიო. მე და ჩემი ძმები პატარები ვიყავითო და დედა ჩეენი გორში გვმალამდა. ბრძანები იყო, რომ სადაც ვეპოვნეთ, უნდა მოვეკალითო, და არავის არც საჭმელი და არც სასმელი არ უნდა მოეცათო, თვარის დოდად დასჯიდნენთ. დედა ჩემი შუა ლამე რომ გახდებოდა, ჩუმად წავიდოდათ ზოგიერთ გორელთ ოჯახებში და ძლიერ ჯამით ლობიოს და პურს მოგვიტნდათ. ჩეენი ყმა და მამული ზოგი ჩეენ აზნაურ შეილებს უბოძა მეფე-მაო: ხმალისებთაო, ჩერქეზიშეილებთაო და ფურცელაანთაო, რომელთ ლრამატაში უწერიათ, რომ ერისთავიანთ ყმა-მამული

ჩამორთმეული სახელმწიფო ოცნები. მეჩე რომ წამოდგზარდეთ
გიორგი მეფეს ვახლით და იმას ვემსახურებოდით. მისი ქა-
ლი გაიანე ბატონიშვილი შეერთო, მაგრამ მამული-კი არ და-
უბრუნებით. შემდგომში, როცა მეფე გიორგი გამეფდა,
ამან ყოველივე მაძული დაუბრუნა და მათ უორის თხები-
ცაო”.

დიალ, იმას გოგაბენებდი, რომ ხშირად გადასთოდავდ-
ნენ ხოლმე ამ სახელმწიფო საზღვარს თხმალოს თათრები და
თხმალეთში საყაჩალოდ გადმოცვინული ლეკები, რომელნიც
ბორჩალოს თათრებსაც ყონაღად უძღებოდნენ და ეს შეერ-
თებული ბრბო ავაზაკებისა ნავარდობდნენ ბორჩალოს გაზრა-
ში, ლორში და შიდა ქართლშიაუ-კი შეცვიდებოდნენ ხოლ-
მე. არბევდნენ, აწიოკებდნენ ქართველ ხალხს და მრავალი
ტყვეც მიჰყავდათ.

ახლა ისევ ერეკლე შეფის და იმ ელჩების აშბავი ვსთქვათ
—რა იყო მიზეზი მეფის განრისხების?...

თურმე იმ წინა ღამესაც მანგლისისაკენ დასცემოდენ ლე-
კნი და თხმალოს თათრობა ქართველთა სოფლებს, საჭონელი
დაეტაცათ, დაერბიათ, ზოგიც ტყვეთ წაეყვანათ და რამდენი-
მე კაციც მოეკლათ. გაჭირვებული ქართველობა, მობეზრე-
ბულნი ამ განუწყვეტელ ავაზაკობისაგან, ილაჯ გაწყვეტილნი
მეფესთან ჩასულან საჩივლელად და ორი კაცის აჩენილი გვა-
მებიც ჩამოეტანათ და მეფის წინ დაეყარათ — „ამაზე მეტი აღარ
შეგვიძლიან, გავწყდით, გვიპატრონენ — ერთი სულები-ლა
გვიდგია, თორე ღვთისაგან განაჩენი, სულს იქითი აღარა შე-
გვარჩინეს-რაო!!...

მოამაგდარე მეფე ვით პატრონი და მამა საშინლად აღ-
ლდა, საშინლად ეწყინა თათართა ამ გვარი თავ-გასულობა და
გათამამება, მით უფრო რომ ამ გვარი ბარბაროსობა პირველი
არ იყო და არც უკანასკნელი იქმნებოდა...

ჩამორთმეული სახელმწიფო ოცნები. მეჩე რომ წამოდგზარდეთ
გიორგი მეფეს ვახლით და იმას ვემსახურებოდით. მისი ქა-
ლი გაიანე ბატონიშვილი შეერთო, მაგრამ მამული-კი არ და-
უბრუნებით. შემდგომში, როცა მეფე გიორგი გამეფდა,
ამან ყოველივე მაძული დაუბრუნა და მათ უორის თხები-
ცაო”.

დიალ, იმას გოგაბენებდი, რომ ხშირად გადასთოდავდ-
ნენ ხოლმე ამ სახელმწიფო საზღვარს თხმალოს თათრები და
თხმალეთში საყაჩალოდ გადმოცვინული ლეკები, რომელნიც
ბორჩალოს თათრებსაც ყონაღად უძღებოდნენ და ეს შეერ-
თებული ბრბო ავაზაკებისა ნავარდობდნენ ბორჩალოს გაზრა-
ში, ლორში და შიდა ქართლშიაუ-კი შეცვიდებოდნენ ხოლ-
მე. არბევდნენ, აწიოკებდნენ ქართველ ხალხს და მრავალი
ტყვეც მიჰყავდათ.

ახლა ისევ ერეკლე შეფის და იმ ელჩების ამბავი ვსოჭვათ
—რა იყო მიზეზი მეფის განრისხების?...

თურმე იმ წინა ღამესაც მანგლისისაკენ დასცემოდენ ლე-
კნი და თხმალოს თათრობა ქართველთა სოფლებს, საქონელი
დაეტაცათ, დაერბიათ, ზოგიც ტყვეთ წაეყვანათ და რამდენი-
მე კაციც მოეკლათ. გაჭირვებული ქართველობა, მობეზრე-
ბულნი ამ განუწყვეტელ ავაზაკობისაგან, ილაჯ გაწყვეტილნი
მეფესთან ჩასულან საჩივლელად და ორი კაცის აჩენილი გვა-
მებიც ჩამოეტანათ და მეფის წინ დაეყარათ — „ამაზე მეტი აღარ
შეგვიძლიან, გავწყდით, გვიპატრონენ — ერთი სულები-ლა
გვიდგია, თორე ღვთისაგან განაჩენი, სულს იქითი აღარა შე-
გვარჩინეს-რაო!!...

მოამაგდარე მეფე ვით პატრონი და მამა საშინლად აღ-
ლდა, საშინლად ეწყინა თათართა ამ გვარი თავ-გასულობა და
გათამამება, მით უფრო რომ ამ გვარი ბარბაროსობა პირველი
არ იყო და არც უკანასკნელი იქმნებოდა...

ოსმალის ელჩინი როცა გამოსამუშვიდობლად მივიღნენ
მეფესთან, მაშინ ერეკლე მეფემ უკანასკნელად უთხრა:

„როდემდე უნდა ვითმინოთ თქვენი ხალხისაგან ამდენი
უსამართლო ძალუა - რბევა და მხეცური მტაცებლობა - ავა-
ზაკობა!?

„გადაეცით თქვენს ფაშას:— ღმერთი-რჯული თქვენს ქე-
რქში დადექით, მოგვასვენეთ, თორემ ირაკლი ჯერ ისე არ
დაბერებულა, რომ... თუ არა და გაბეჭრებული ისეთს საქმეს
ჩაეიდენ, ვფიცავ ირაკლის მზეს, რომ თქვენი კბილითვე თქვენს
ხორცს გაგლეჯინებთ: ვალლა, ბილლა, ისეთს პატრიონს მო-
ვუყვან საქართველოს, რომ მეც ლანძღვით საფლავშიაც-კი
აღარ მომასვენოთ და თქვენც სამარალისოთ აღიგაოთ პირი-
საგან ქვეყანისა!...“

ოსმალის ელჩინი როცა გამოსამუშვიდობლად მივიღნენ
მეფესთან, მაშინ ერეკლე მეფემ უკანასკნელად უთხრა:

„როდემდე უნდა ვითმინოთ თქვენი ხალხისაგან ამდენი
უსამართლო ძალუა - რბევა და მხეცური მტაცებლობა - ავა-
ზაკობა!?

„გადაეცით თქვენს ფაშას:— ღმერთი-რჯული თქვენს ქე-
რქში დადექით, მოგვასვენეთ, თორემ ირაკლი ჯერ ისე არ
დაბერებულა, რომ... თუ არა და გაბეჭრებული ისეთს საქმეს
ჩაეიდენ, ვფიცავ ირაკლის მზეს, რომ თქვენი კბილითვე თქვენს
ხორცს გაგლეჯინებთ: ვალლა, ბილლა, ისეთს პატრიონს მო-
ვუყვან საქართველოს, რომ მეც ლანძღვით საფლავშიაც-კი
აღარ მომასვენოთ და თქვენც სამარალისოთ აღიგაოთ პირი-
საგან ქვეყანისა!...“

თ ა გ ი II

დაღურებილი წალკა.—გიფი პური დალიჯა.—ქ'ილოვის ბა-
ტები.—მაწინი უებარი წამალია.—რეხის დამახინჯებული
ქართველობა.—ბერძნული წირვა, თათრული სახარება და თა-
თრულად ალსარება. — „ხრისტოს დირილი“ და „ხრის-
ტოს ანგელი“.—სკოლაში სწავლა უნდათ და ქართული-
კი არსად არი. — მიზეზი ჩეხელ ქართველების გადაგვა-
რებისა და მათი წარსულის შავი ისტორია. — მანია დიდე-
ბულობისა და მანია პირუტყვაბისა. — დარეჯან დედოფლის
შეთქმულობა. — კიდევ რამდენიმე სურათი ტანჯულ-წამებულ

ოსმალოს ქართველების ცხოვრებიდან. —
„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“. — პატარა
ეპიზოდი უნივერსიტეტში — და რავენ გრუ-
zinianis православნис!?...

ოფიციალურ ჯავახეთი, წალკაც ისეთი მოტიტ-
ვლებული ქვეყანაა.

ჩებს თანამგზავრს ვკითხე — რა ხალხი მო-
სახლობს წალკაში თქო?

აღმოჩნდა, რომ თითქმის მთელი წალკა ბერძნებითაა და-
სახლებული, რომელნიც პასკვეიჩის დროს (1828—30) ოსმა-
ლეთიდან გადმოსახლებულან; ამათში მხოლოდ თრიოდე
სოფელი: ქუმბათელები, თაქ-ქილოსელები, სანთა, ბაშტაშენი
და იბილაში ბერძნულს ლაპარაკობენ, იმასაც თათრულ ნა-
რევად; დანარჩენები-კი, მაგალითად, ავრანელები, ჯინისელე-
ბი, გიარაქელები და შიბაქელები ესენი სულ ლაპარაკობენ
.სომხერს და თათრულს და დედა-ენად ამ ბერძნებს სომხური
გახდომიათ, დანარჩენი ბერძნების დედა-ენა სულ თათრულია.

ოფიციალ ჯავახეთში, წალკამიაც სოფლები დაღურებილი
შეხედულობისა არიან; ტალახით და უთლელ-ქვით ნაშენი,
ნახევრად მიწაში წასული სახლები, მიწის ფრადვე გამოიყუ-

რებიან. არსად ვენახი, არსად ბალიბოსტანი. მოგეხსენებათ, რომ ამისთანა მოტიტვლებულ არეს-მარეს ფრინველებიც არ ეკარებიან. ხოლო რა ქვეყანაშიაც ფრინველი არ არის, ის ქვეყანა მკედარია; ვისაც გსურთ თქვენი კარ-მიდამო გააცილოთ, ფრინველები მოიწვიეთ და ვისაც გსურთ ფრინველების მოპატიება, დარგვით ბუჩქები, ხეები და ხილ-ნარი. დიდი ხნის ცდა არ დაგჭირდებათ, ფრინველები თითონ მოვლენ და ყოველ ზაფხულს ჰიკ-ჰიკ-გლობით, თავის ცელქობით, მხიარულებით სიცოცხლეს დაგიტებობენ და მთელ არე-მარეს გაახარებენ.

აქაურმა მოსავალმა თუმცა მაღალი ყანა იცის, მაგრამ, მეტადრე წევიმიან ზაფხულში გავი ჰური მოდის. ამ მათრობელა პურს აქ დადგიჯას ეძახიან თათრულად და თუ გაპირებული არა, —სხვა არავინ სკამს და იმასაც ქერის ფქვილ-ნარევს აცხობენ. ამ გვარად წალკელი გლეხი უფრო საქონლის მოშენებას მისდევს და მეტადრე თუმცრ ცხვარს ინახვენ თუშებისავ წესზე. ტყე, საციციან, წალკას ახლო აქვს, მაგრამ ეს ტყე ეძიორებათ და საწევად უფრო წიგას ხმარობენ.

როგორც ვსთქვით, მთელი წალკა დასახლებულია გაღა-გვარებული ხალხით, ე. ი. მთლიად წალკა ბერძნებითაა დასახლებული, მაგრამ ისეა დამახინჯებული ამათი ეროვნება, რომ კაცის ზიზლი მოსდის, სწორედ რო, ძალლი პატრონს ვერ იცნობს... მომაგონდა კრილოვის ბატები... უეპველია ამათაც თავი მოაქვთ ბერძნება ვართო.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ საღამოს ჩაის დრომ მოაწია და ცხელ წყალს ნაჩვევი ხალხი წყურევილმა დაგვეძლია — ცივი-ლიზაცია არ არი! მარა ჯანაბაა,..

ერთ ქაჩალ სოფლის ახლო ძნის ბულულიდგან ძერა ავაურინეთ და ბულულის ჩრდილში ჩამოვედით დაღალულ-და-

ქანული ხალხი და ჩვენი ზაქარია მაწვნის საყიდლად სოფელში გავგზავნეთ, თან ცივი წყალიც დავაბარეთ.

ზოგმა წყალი სეა, ზოგმა გაწონი კამა, ზოგმაც ჩალ-ხამით (წყალ-ნარევი მაწონია) გული გავიგრილეთ. იყო დრო, როცა ქართველებს დაგვცინოდნენ, მაწვნის ჭამიერებს გვეძა-ხდნენ, მაგრამ ახლა-კი ჩვენ ვაჯობეთ; წარმოიდგინეთ, რომ ეხლა მაწონი დიდ მოდაზია და საუკეთესო ღოქტორ-პროფე-სორები უებარ წმილად სოვლიან და ხშირად უნიშნავენ მრა-ვალ ნაირ ავადყოფობაში. ერთი ჩემი ნაცნობი ღოქტორი ზ. შარშან ხურვებით (თემა ნრიშინი) ავათ გახდა არტან-ში და მაწვნის მეტი არაფერი არ მიიკარა; წამალიც ის იყო მი-სი, საქმელიც და სასმელიც—უარ-ჰყო ყოველივე წამლობა და წამლები—ერთ კვირაზე კაცი უეხზე წმოდგა. კუპის ტკი-ვილებშიაც (კატარქ ჯელუდკა) მაწონი ნამდვილი უკვდავების წყალია. ეს! ჩემთ ჰორაუიო, ვინ იცის ჩვენს საქართველოში რამდენი ამისთანა საიდუმლოებია დამარტეული, რომელსაც გა-მოქვეყნება, შეუქის მოფენა სქირია! ია, ჩვენ ლობითსაც ხო-დასცინოდნენ, ეხლა-კი ყველა მეცნიერი იმ აზრისაა, რომ ადა-მიანის საკვებად ლობით კართოფილს ათასწილად სჯობს— მაძლრობაც მეტი აქვს და ჯანისთვის, გულის-ყურისთვის და სიმბნე-სიმამაციისთვისაც ლობითს ჭამა სჯობია! კართოფილი კარიელი სახამებელია და კაცს ლაშარს, მოლეშილს გამოზრ-დის ხოლმეო.

გავედით მდ. ქციას, რომელიც ნაქებია გემრიელი კალ-მახით და სამიიდ ვერსის მანძილი რო გავიარეთ, აქ ერთად-ერთი ქართველი სოფელი ვიპოვეთ, სახელდობრ რეხა, რომე-ლშიაც 160 კომლი ქართველობა ასახლია. გამხარდა, ვიფი-ქრე, სულ არარაობს, წმილად ხო მანც დაზჩენილა ქართვე-ლობა წალკაში. მაგრამ ისე თქვენი მტერი და დამაწყევარი დალონდეს, როგორც მე ამ რეხელების ნახეამ დამალონა. აპა,

შენი ნაულერთები, მრავალ ტაქულო საქართველო! რეზე-
ლებმა ქართული საყველ-პურილ ძრივს-და იციან და ამათაც
გვიძლი დედა-ენის, ქართულის, მაგირ დედინაცვლად თათ-
ხული ენა გახდომიათ. მღვდელი „ბერძენი“ ჰყავთ, რომელიც
კულესაში ბერძნულად სწირავს, თუმცა თითონაც არ ესმის
ჩასა სწირავს, რადგან ბერძნული ლაპარაჟი არ იცის, მაგრამ
ეს მღვდელი სახარებასაც-კი უთარგმნის თავის მრევლს ბერ-
ძნულიდამ თათრულად და ქადაგებასაც თათრულ ენაზე ამობს.
ჩადგან რეზელებმა არც ერთი სიტყვა ბერძნული არ იციან,
ვა მღვდელმა კიდე ქართული არ იცის, ამიტომ აღსარებასაც
თათრულ ენაზე ეძნებათ.

აღდგომის დღეს ერთმანერთს თურმე უწინ თათრულად
ულოცდენ:

„ხრისტოს ღირილდი!“ (ქრისტე აღზდგა).

„ჰა! ჰა! ღირილდი (ჰეშმარიტად აღზდგა).

მერე ბერძნულად დაეწყოთ:

„ხრისტოს ანესტი!“

„ალითოს ანესტი!“

დღეს-კი ქართულად, სამშობლო ენაზე ულოცვენ ერ-
თმანერთს აღდგომას, თუმცა-კი თათრულ-ბერძნულსაც ურე-
კენ ხოლმე.

აი რეზელების გვარები: ხუციშვილი და აწ ქეშიშ-ოლლი,
კოფიაშვილი, საბაშვილი ანუ საბაანი, მინაძე, მიქაძე, მურ-
ჯანიშვილი და ან მურჯან-ოლლი, ზანდალაშვილი, მაცუკატო-
ვი და სხვ....

მაცუკატოვების გვარიდამ ორი მღვდელი მღვდლობდა
ამ სოფელში. პირველად კირიაკი, რომელმაც მხოლოდ კით-
ხეა იცოდა ბერძნული და ლაპარაკი-კი არა. ეს მღვდელი გარ-
დაიცვალა ამ 30 წლის წინად და მერე მისი შვილი, ისტა-
ფილა, მღვდლობდა, რომელიც აგრეთვე ბერძნულად წირვა-

ლოცვას ასრულებდა, თუმცა-კი არც ეს ლაპარაკობდა ამ ენაზე. ესეც გარდაიცვალა ამ ოცის წლის წინეთ და დღეს მღვდლობს ავრანელი, რომელმაც ქართული არ იცის და რომელიც მხოლოდ ბერძნულ ენაზედ წირვა-ლოცვას ასრულებს და თითონ-კი არ ესმის ბერძნული, რადგან ავრანელ ბერძნებს, როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, დედა-ენად სომხური განცომიათ.

სკოლაზე ჩამოაგდეთ ლაპარაკი, რატომ სკოლა არ გაქვსთ-თქო? სკოლა როგორ არა გვაქვს, ჩვენი სკოლა საშივერსის მანძილზე სოფ. აერანში, სადაც „ბერძენი“ მასწავლებელი მხოლოდ რუსულ ენაზე ასწავლისო.

რეხელი ქართველობა სწავლის ძრიელ ეტანებიან, მაგრამ ის აწებებთ, რომ ქართული არსად არი. ერთი რეხელი ყმაწვილი ახალ-ქალაქის სამოქალაქო სასწავლებელში მიაბარეს იმ იმედით, რომ სახელმწიფო ენასთან, რომელიც ძრიელ ექირვებათ, ქართულიც ესწავლა, მაგრამ რადგან ახალ-ქალაქის სასწავლებელში, სადაც დღესაც 30 ქართველი ყმაწვილი სწავლობს, ქართულ ენას სრულებით არ ასწავლიან, ამიტომ ყმაწვილმა ისევ გორის სასწავლებელში ირჩია გადასვლა იმ აზრით, რომ რუსულთან ქართული ლაპარაკიც შეისწავლოს და წერა-კითხევაც.

ამ გვარათვე რეხელ ქართველმა, მიხეილ მურვანიშვილმა, რომელიც ახალქალაქში ცხოვრობს, შეილი გორის სასწავლებელში გმირზარდა ქართული ენის გულისხმის, რისთვის-საც ხელ-მოკლე კაცი თვეში ორ თუმანს მეტს იხდიდა ვაჟის სადგურ-საკვებში და სხვ.

გამოვიყითხე მიზეზი რეხელ ქართველების გადაგვარებისა. რა მოხდა იმისთანა, რომ რეხელმა ქართველობამ თითქმის დაპკარგა თვეინათი სამშობლო ენა და ეროვნება?

სოფელ რეხის ქართველობა გაღმოსახლებულა ოსმალე-

თიღამ პასკევინის დროს 1828—30 წ. არტანის სანჯახის სოფ. ველილამ. მურვანის შვილმა მითხრა—მარტო ჩექნის ოჯა-ნიდამ თორმეტი აკანი წამოვიდათ.

გადმოსახლებულებს ხუთმეტიოდ კომლი ქართლიდან მოჰ-მატებია: კოვზიაშვილები, ოსიაშვილები და სხ. ნეტა ეს ქარ-თველები რაღა ენაზე ეუბნებიან მღვდელს აღსარებას? ან რა ესმით ბერძნული წირვა-ლოცვისა და თათრულის ქადაგებისა?

— ესენიც გადაგვარდებიან მარა ჯანბაა! იყოთ ეს ამ-ბავი სადა ხდება? ჩექნ თვალ წინ, თბილისიდგან ერთ დღის სავალზე.

„ვაი საბრალოს, ჩექნ საქართველოს ჩექნ დაჲჭაჭეთ მის შესარცხულად!!“...

როცა საქართველო ძლიერი იყო და ამ ზემო-ქართლს ჰასან-ყალა—ტრაპიზონშდე განაგებდა, მაშინ რა თქმა უნდა ველელი ქართველები თავის დღდა-ენაზედ ლაბარაკობლენ და წირვა-ლოცვაც სამშობლო ენაზე ჰქონდათ, მაგრამ არ მისუა ღმერთმა ქართველებს ერთობის ნიჭი, თორებ ამისთანა გულ-ვეფხ ხალხს, რა მტერი და რომელი მტერი დასძლევდა! რო-მელიმე ფეოდალი ერისთავი ანუ ძლიერი მთავარი ისერს გა-ისუქებდა თუ არა, მაშინათვე იმის ფიქრში იყო, მეფე ტახ-ტიღამ ჩამოვაგდო და მე გამშეუდეო. ამას მოსდევდა-რა? ურ-თიღრთა მტრობა, მომქეთა ქლეტა და დაუბოლოვებელი „ჩემი“—„შენი“-აობა. ეტყობა ყველას სჭირდა ავდმყოფობა მანა დაიღებულობათ.

ეგ რად გინდათ, ქართველების ისტორიაში ამ გვარ მხე-ცურ ფაქტსაც ვპოულობთ: „დომენტი კათოლიკოზება, სპარ-სეთის შაპს განუცხადა: „უკეთუ საქართველოს ტახტს მე მო-მცემთ, მაშინ (კათოლიკოზი!) მაპშადის რჯულს მივიღებ და ცოლსაც შევირთავი“...

ნეტა ეს რომელს-და „მანია“ მიუაწეროთ? ეს კიდე უთო-
ოდ არის მანა პარუტყუფაისა.

ეს ხო ძევლი ამბავია და უფრო ახალს მოგახსენებთ.
განსცენებული ლუკა ისარლოვი მოგვითხრობს თავის წიგნში,
გიორგი კნიაზის ერისთავის ნათქვაშს:

„მეფე გიორგის მმას, ალექსანდრე ბატონიშვილს, აბა
შიძეს და ზოგიერთთა დარეჯან დედოფლის თანადასწერებით-
რჩევა ექმნათ, წიგნი დაწერათ და ტფილისიდამ გაეცნანაა
ჩუმად ახალციხის ფაშასთან, რომ ეხლა კარგი დრო გაქვსო
რომ შემოხვიდეთ ჯარით ტფილისის ასაღებათაო. მეცვე გიო
რგი არავის უყვარსო, რაკი ბორჯომს გამოსცილდებით, მა-
შინ ჩვენც იქ დაგიხვდებით და მეცვე გიორგის აღვილად ჩა
მოვაგდებთ სამეფო ტახტიდმათ.

„ახალციხის ფაშას რომ მიეღო ეს წერალი, ებძანა პა-
ტივი და ულუფა მიეცათ წიგნის მიმტანისათვის, მარა ის წიგ-
ნი გამოუგზანია თვეთ გიორგი მეუისუკის გამოჩენილის მუთი
ბეგის ხელით და დააბარა, რომ ეთქვა მეცვე გიორგისათვი-
მისი სახელიც, ვინც მიუგანა ის წიგნი.“ ალექსანდრე ბატო-
ნიშვილი სპარსეთს გაქცეულა, დარეჯანი დედოფლი, მეცვი
დედინა ცვალი, კინალამ სპარსეთს ანუ რუსეთს გააძიესა დ
რამდენიმე კაცი დამაშავე მეცვის ბძანებით მეტების კლიდა-
გადაწესების მტკარშიო.

დიალ, იმას მოგახსენებდით, წაართვა ოსმალომ ქართვე-
ლებს, ანუ უკეთ ვსოქეათ გაჰყიდეს სამშობლო ქართველი და
დებულებმა ფაშობაზე და სხვა პირად სარგებლობაზე, გადასცე-
ს, გაძლიერებული ქართულ სიცოცხლით არე-მარე და ციხ;
ქალაქ-სიმაგრეებით, მონასტრებით საესე, და მას აქეთ ოსმ-
ლთა მთავრობამ ქართველ დიდებულთავე შემწეობით განმდე-
ნვარებული დევნა დაუწყო განსაკუთრებით ქართველების ენ-
და სარწმუნოებას. არა ხალხი არ იყო ისე დევნული და შ.

ვიწროებული, როგორც ქართველობა და მათი ზნე-ჩეულება-სარწმუნოება. ამის მიზეზი, რასაკირკელია, უნდა ვეძიოთ გირდა მაშვადის სჭავლასა, პოლიტიკურ მოსაზრებაშია, უფრო-კი პოლიტიკურ მოსაზრებაში, რადგან აზრად ის ჰქონდათ, რომ შეემცირათ პოლიტიკური სიძლიერე საქართველოსი და ძალმომრეებით სამარადისოთ მოეწყვიტათ ეს ამოდენა მხარე საქართველოსთვის. ახლა, როგორ გვინიათ, ვინ გარბოდენ სტამბოლს ხონთქართან სხვადა-სხვა პროექტებით, თუ რა სა-შუალებით შეიძლება უფრო საჩქაროდ და ძლიერად გადავგა-რება ქართველობისათ? პროექტების ივლირნი გახლდნენ ქარ-თველთვანიერ, რომელთაც თავის მამა-პაპის რჯული ჰგმეს, მამადიანობა მიიღეს, მამადიანობასთან ჯილდოდ ფაშობა, სანჯახ-ბეგობა, მამულები და სხვა მრავალი პატივი ხორცია მათთათვის.

რომ ოსმალოს მთავრობას ქართველი ერის გადავგარება პოლიტიკური აზრით საჭიროდ მიაჩნდა, ამას ისიც გვიმტკი-ცებს, რომ სომებთა და ბერქენთა ერთვენება, აგრეთვე კათო-ლიკთა სარწმუნოება სტულის თავისუფლებით სუვერენი. სო-მხებს იმიტომ არ ერჩიონენ, რომ პოლიტიკური თკით-არსე-ბობა ღილი ხნის დაყარგული ჰქონდათ და უფრო საჭირონიც იყვნენ ვაჭრობა - ხელისწინობისთვის. კათოლიკეთა სარწმუ-ნოებას არას უშლიდნენ, რადგან მისიონერებით საეს იყო აქაურობა, რომელთაც ზურგი გამაგრებული ჰქონდათ რომი-დგან.

აი ამისთანა გარემოებაში ყოფილან ისმალეთში ეს რეხე-ლი ქართველებიც. ერთი მოხუცი მღვდელი შერჩენოდათ და ისიც მოუკედათ. ღდესმე ღიღებული საეპისკოპოზო, საკათე-დრო ტაძრები და მონასტრები ზარზმა, საფარა, ვარძია, კუ-მურდო, წყაროს-თავის მონასტრები, ღვთაების ეკლესია : სწავლის სპირისკენ, საიდანაც გადარჩენილ იქმა ღვთაების ხატი, რო-

შელიც ახლა ასევნია თბილისში ანსა: ტის ექლესია, გმოჩენილი ოპიზის მონასტერი აქარისკენ, ტბეთის ეკლესია შევ-შეთში, იშხანის ეკლესია თორთუმ-ბაიბურდისკენ, მონასტერი ხახულისა თორთუმის ხეობაში, რომელიც აღაშენა დავით კურატპალატშა, ბაგრატ მეფის მამობილმან, საიდგანაც სასწაულთ-მომქმედი ხახულის ღვთისმშობლის ხატი ძლივს გადაარჩინეს და დღეს გელათს ასევნია,—ერთის სიტყვით, მრავალთა უმრავლესი ტაძრები და მონასტრები, საიდგანაც ეფინებოდა ამ არე-მარეს ქრისტეს მცნება, რელიგიური ზნეობრივი აღზრდა და საერო განათლება, სადაც იყურთხებოდნენ მღვდელნი და მღვდელ-მონაზონნი და სადაც ომის წინა დღეს მიიღებდნენ ხოლმე ლოცვა-კურთხევა-ზიარებას და იკრეფლენ სულიერ ძალას ქრისტეს მტრებზედ მიმავალნი, საჭმობლოსთვის თავ-განწირულნი ქართველნი ვმირნი, ცველა ეს დიდებული ტაძრები, კეშმარიტი საუნჯენი ქართველთა სარწმუნოებრივი და ზნეობრივი ძლიერებისა, სრულებით გაუქმებული და აოხრებული იყვნენ ისმალთა ხელში. ვისაც მღვდლობა ჰსურდა, უნდა კურთხებულიყო ბერძნის ეპისკოპოზის ხელით, რომელიც ერთი არზერუშში იჯდა და შეორე ტრაპიზონში. საქართველო გაშინ შინაურთაგან წერვა-გლეჯით დასუსტებული იყო და ის ღონე აღარ ჰქონდა, რომ თუ პოლიტიკური არა, ზნეობრივი გავლენა და სარწმუნოებრივი კავშირი მაინც არ დაპარგოდა ქართველებთან ამ წართმეულ, დაკარგულ მხარეში. ამიტომაც მაშინდელ ველელებს და აწ რეხელ ქართველებს საქართველომდე ხელი ვერ მიუწვდათ, მღვდელი ვერ მოითხოვეს და ვერც ითავეს ვინმე ქართულ წერა-კითხეის, საღმთო წერილის მცოდნე არზერუშის ეპისკოპოზისთვის ეკურთხებინათ. ბოლოს „გაფრანგებას“, კათოლიკობის მიღებას—რისთვისაც იქვე მოქმედობდნენ იეზუიტები, რომელნიც გაკათოლიკებასთანავე მრავალ ნაირ შეღავათსაც ჰპირდებოდნენ—

ისევ ასე არჩიყს: მოუწოდეს მართლ - მაღიდებელ ბერძნის მლელელს და წირვა-ლოცვა ბერძნულად დაიწყეს თათრულ ენაზე განმარტებით.

ვინც იქამდე შეგნებული არ არის და არ დააფასებს დე-და-ენას, ანუ ვასაც არ სჯერა, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ერისთვის სამშობლო ენას, ვურჩევთ კარგად ჩაუფიქრდეს ამ რეხელების თავ-გარდასავალს და დააკვირდეს მათ აწინდელ უნუგეშო მდგომარეობას.

დღეს რეხელები ჩვენთვის აშერა მაგალითს წარმოადგე-ნენ ენა-დაკარგულ ერისას. რეხელების ამბავი საქვეყნოდ ღა-ლადებს, ცოცხალ მინუშს წარმოგვიდგენს ერის ძალ-მომრეო-ბით გადაგვარებისას და ნამდვილად გვიმტკიცებს, რომ ცოც-ლად ძლიერ სარწმუნოებასაც-კი ვერ შეუძლიან მდაბიო ერი დაიხსნას, დაიფაროს გადაგვარებისაგან.

ამ სწორედ რეხელებზედაა გამოკრილი პოლის სიტუაცია:

„ესის წილერება,
მისი დიდება,
მის ისტორია
დაწულ არს ენით;
რა ენა წასდეს,
ენირ დაეცეს...
წერსოს ჩირჭი
ტაძარსა წმიდას!..“

მართლაც და აბა რა ქართველია ეხლა რეხელი? რა ვუყოთ, რომ სარწმუნოებით იგიც მართლ-მაღიდებელია!.. დედა-მიწის ზურგზედ მრავალნი აღიარებენ მართლ-მაღიდებ-ლობას, მაგრამ საქართველოს ავი და კარგი ჩირალაც არ მია-ჩნიათ. ბევრი მართლ-მაღიდებელეც არის, რომელმაც არც-კი იცის საქართველოს ქვეყანაზე არსებობა.

ჩემი დღეში არ დამავიწყდება ერთი შემთხვევა. უნივერსიტეტში დამიკვიანდა—არ ვიცოდი თუ ვადა სუფევდა—ქალალდები მარიამბის ბოლოს რიცხვებში წარვადგინდ. რამდენიმე დღის შემდევ სეკურეტრისაგან შევიტყე, რომ დაგვიანების გამო მიღებულ არ ვიქნი. ესთხვე ფაკულტეტის დეკანს და დიდი უარი მივიღე—„სოვეტის“ დადგენილობას ვერ დავარღვევო. მეტი რა ჩარაა.

წავედი თვით რექტორთნ: მოწყალება მოიღეთ—საიდან სად, კავასიიდან მოესულვარ, ხარჯი ხო ხარჯად მევარგება და მთელი ერთი წელიწადი დრო დამეკარგება-მეთქი.

ჯერ ძლიერ ეჭვის თვალით შემომხედა—მგონა ურაა ვეგონე.

— Вы какои национальности?

— Грузинъ, Ваше прев—ство.

დაიპარა სეკურტარი, მოატანინა ჩემი ღუმენტები, ჩარიკეს, ჩარიკეს, იჩურჩულეს.

— Вы говорите—грузинъ?

— Да... Грузинъ—კრძლვით მოვახსენე.

— Да разве грузины православные?

— ?...

— არა, მაინც, ნუ თუ ქართველები მართლ-მაღიდებლები არიან,—ჩამაცივდა რექტორი.

— რას ბძანებთ, ბატონო! როგორ თუ ქართველები მართლ-მაღიდებლები არაან! ქართველებმა რო ქრისტეს სარწმუნოება მიიღეს რუსების სახელი ჯერ ისტორიაში არსად იყო... ჩვენ მე-IV საუკუნის დასაწყისში მივიღეთ ქრისტიანობა წმ. ნინოსაგან.

დიალ, აი ასე გახლავთ... არიან რუსთა შორისაც იმის-თანა ინტელიგენტი, რომელნიც არც-კი გვიცნობენ თავის

თანა-მოძევე, თანა-მეტჯულე ხალს. აბა მოდი და წუ გეტეი-ნება გული!

ლმერთი, რჯული კიდევ ჩეენი ბრალია, რომ არ გვიცნობენ...

მაგრამ... ქმარა. ისევ რეხელების ამბავი განვაგრძოთ.

სწორედ საკოდაობა იყო ჩემი ბასი რეხელ ქართველებ-თან. ხო ვიცოდი, რომ რეხელები მართლ-მაღიდებელნი ქართველნი არიან, მაგრამ რა ვუყო სარწმუნოებას, თუ-კი ლაპარაკი დედა-ენაზედ ვერ შეეძლოთ. ჩემმა გულმაც ვერც ერთი ამათგანი ვერ შეითვისა, ვერ იგრძნო გულმა დაკარგულ მოძის სიყვარული და სიბრალული.

იმ დროს-კი, როდესაც თავ-შეხვეული, სარუხიანი ქართველი მაჟმაღიანი დედა-ენაზე ქართულად მესაუბრება, რაღაც საიდუმლო ზეგარდმო ძალა ანდამატევით მისკენ მიზიდავს, წაშვე გრძნობს გული მისდამი სიმატია-სიყვარულს, სიბრალულ-სინანულს და თვალებით თან სიხარულის ცრემლებით ივ-სება.

როგორ ასსით ამ გრძნობას, არ ვიცი, მე მხოლოდ გულ-ახდით ვალვიარე ჩემი პირადი შთაბეჭდილება, სულის მდგმარეობა ორსავ შემთხვევაში.

თ ა გ ი III.

უპატრონი ქართველების მფარველი ანგელოზი.—კიდევ რამდენიმე შავი სურათი ისმალოს ქართველების ცხოვრებიდან.— მდაბლო ხალს რჯული და ეროვნება ერთი ჰეონია.— როცა ქართველები კერძებს ვეკმით თაყვანს, ქართველად არ ვიხსენებოდით?—ხალხთა შეუგნებლობით დაქარგული რამდენიმე მილიონი ქართველობა.—ჩვენი ისტორია-გეოგრაფია არ ვიკით.—მურავანიშვილის მოწხობილი ძეველი ამბავი.— ირაკლი მეფის ომები და ქაიხოსრო მურვანიშვილი.— სამცხე-ჯავახეთის მღვდელთა ცხოვრება ვით ისტორიული მასალა.



ს ე გადაგდარდა ამ მხარეში მრავალ ტანჯულ-წამებული ქართველი ერი. ძალად მოუკლეს ბუნება და გაყაფულ ვენაბზე ნამყენ კანკურს აბა რა ნაყოფი უნდა გამოეღო?

მოგეხსენებათ „უპატრონი ეკლესიას ეშმაკი დაქარტრონენი“. უპატრონიდ დარჩენილ ქართველებზე ვინც არა მგონია ნაღირობდა-ნავარდობდა. ისმალოს მთაერობა ძალად ამავმადიანებდა, ხოლო ვინც თავის მამა-პაპის რჯულზედ მტკიცედ იდგა ათასნაირ გადასახადებით ტყავს აძრობდნენ, შეუბრალებლად სდევნილნენ ქართველ „გიაურებს“ და ყოველივე აღამიანურ ლირსებას უგინებდნენ, უმცირებდნენ, უსპობდნენ.

სულით გამწრებულს და ხორცით დატონჯულ ქართველობას, სასოწარვეთილობის წამს კათოლიკე მისიონერები მფარველ ანგელოზად ეცნობოდნენ:

— გათათრებას ისევ ის არ გირჩევნიას, კათოლიკე ქრისტიანები იყოთო!

თუ ქრისტეს სარწმუნოებას კათოლიკეთა დოლმატზე

մողոլքի, մամոն ռևմալուս թուղրանքներու գործության դա մերու ხարջուսացան զանդազուսպալլագիտ, հռմոն քանիս սովորությունը դա ածեցնութ դա զոնձա հաս զագոնքացուուու.

Ե, զագոնքա յատուույուննա, մաշրամ ծերիսո յարտացուլուն ծոլուս ոյամցու գանձուուցույցն, ոյամցու գանձու լունց զանձա, հռմ սոմեց-յատուույութեա-պ-յո նու ուրունցն-մունցը թահո: Տագաւորի յարտացու յատուույունն եարտ, ու-յո սոմես բունցն նու տէց-ն նորուուցուցա...

Ամ զարաւ մուլու յս նոյնո յարտալու, հռմելուս պ թագ- ցենց դա արա մարտու սամցեց դա չազաեցու, արամց յրություն-թաց- թացու, յուլու-արցանո, արտանո-արցանցո, ըառ-ունտուսո, յուլուցու-քանցու դա միացալու սեյս յարտացու პրոյնուցն ուցն քասան-պալումցու (ցուրչու ծոլուն) դա զուուր բրամունցումցու, հռմելունու յրուած հռմ այուուտ, յելունցու սայարտացուլունց ու նոյտաց արա, սամչեր մանց պ մերու ոյնցն բա- ռա- նցուուրա, եռակ-մերուուու համուատալու սայարտացու դա մուտ դա- աւուսրա յարտացու პուլուույուրու ուզուտ-արցանցուն, պալցուց- լուննա. մատմա տակս-սամասու վլուս մեցոնցարցն գանձանցուն սամ-ուտ մոլուունամցու յարտացուլուն սրունցուն դա պարցա արամց ու սարթմունցանցուուր, արամց յուցուլունց նեցոնցուուր կապ- րու-յո տացուն տ մոնացուսաց յիսը յարտացուն յարտացուլուն.

Ես արո պացուուրցն, հռմ մօգանու գանցուուտարցնցու եալ- են հչուլուս դա յրուունցն յրումանցուն լունմանուու պացուցն.

Այս չզոնցու-հա եալսու հչուլուս պ մուլցն, յրուունցուու ու եալս պացուցն.

Մացրամ հաս ոչամտ, հռմ մօգանու գանցուատուուրցնցու եալ- ուլուած, թելուունու յեմուտ սայմուս յուտարցն դա մօգանումաւ լունց յարտացու մակմանցուն հռմ ուտերա յարտացու եար-տէյու, ոմաս այս չզոնցու յունցն նու թեն յարտացուն եարու-յարտացու դա յիս- րունու յրուու դա ոցուց եուրուս չզոնցու...

კარგი და პატიოსანი! მაშ როცა ქართველები კერძებს ვცემდით თაყვანს, როცა მზეს და შთვარეს ვაღმერთებდით, მაშინ ქართველები არ ვიყავით?! ქართველებს არ გვეძახოდნენ?

ჰერიტი! რას ბძანებთ, ბატონები, რჯული სადა, ეროვნება სადა.... შუაში დიდი ზღვარი, დიდი განსხვავება უძვოთ...

პო და ამ გვარად, ხალხთა შეუგნებლობით, დავკარგეთ ამ მხარეში რამდენიმე რილიონი ქართველობა.

შეიძლება, მყითხეველო, არუ-კი დაიჯერო, რომ ნამდვილი საქართველო ეს ზემო ქართლია და ქართველი ხალხიც ზოგი გამამადიანგბული, ზოგიც გაუათოლიებულ-გასომხებული ხუთჯერაც მეტია, ვიდრე ახლანდელ საქართველოში! კი, ბატონი! არუ მიკირს, თქვენმა მზემ, რომ არ გჯეროდეთ, რადგან ჩვენდა სამარცხვინოდ ქართველებმა ჩვენი ღვიძლი სამშობლოს ისტორია-გვეგრაფია სრულებით არ ვიცით და თუ რაიმე სასწაულით ვიცით, ისიც ზერა-ქვერად, დაუდევრად. ხოლო, ვისაც სკოლა-გიმნაზიებში რამე უსწავლია, იმან ამე-რიკა-აფრიკის ვითარება უკედ იცის ვიდრე საქართველოსი...

ეს! დავასრულოთ ისევ რეხელ ქართველების ამბავი.

ერთმა რეხელმა ქართველმა მიხეილ მურვანიშვილმა, რომელიც სრულებით თავისუფლად ლაპარაკობს ქართულს, მიამ-ბო:

„ჩვენი პაპა სურამელი ყოფილა, თავადი მურვანიშვილი. როცა საქართველოს იქლებდა ლეკი და ყიზილბაში ამათაც გაუჭირდათ და იფიქრეს: ე ხო აღაძ გვასვენებენ და ამდენ რბე-ვას, მოდით და ორ ჭირში ერთი ავირჩიოთ, მოდით და სა-თათრეთში გადავსახლდეთო. სმნი ძმანი ყოფილია. უმცროსს უთქვაშს: „არა, ძმავ, მე არ წამოვალ, მე აქ, ამ კაკლის ძირ-ში, უნდა მოვკედე-დავიმარხოო.“

ამდგარან და ეს ორი უფროსის მშა ბალტურად გადასულან ისმალეთს და არტანის სანჯახში ქართველების სოფ. ველს დასახლებულან. იმ დროს თურმე ხმა გოდიოდა, რომ ველცლ ქართველებს კარგი სანჯახ-ბეგი ჰყავთ, ქართველებს ძრიელ არ აწუხებსო.

ისტორიულ ინტერესს არ არის მოქლებული იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ მოყვანილი ამბავი.

იპოლიაკვართა იოანე სურამის რო მიაღწია, სურამის მოურავა არ მისუა თავისთან ბინა. მაშინ გაუჩასინდლდა ქაიხოს-რო მურავანიშვილი და ვახშაშს რო შეექცეოდნენ მასპინძელმა თოხშაბათის მარხევა გასტეხა, რისთვისაც შენიშვნა მიიღო იპოდიაკონისაგან. ამაზე ქაიხოსრო მურავანიშვილმა უპასუხა:

— მე მეფე ერეკლეს ორმოცდა თუთხეტი წელიწადი ვემსახურე და ჩემის მსახურებისათვის ყაზახის თათრებში განმაწესა და იმათ თავაზით შეცემივ მარხევის ჭამს, რომ იმათ არ ვაძლევდი დაბრკოლებას, და ამ სახით გაუერთობულე ის ერი მათ სიმაღლეს.

— გათ უმაღლესობას სადა და სად მსახურეთ?

— „რომ ცოტა ესთქვა მათ უმაღლესობასთან თუ სხვაგან ორმოცდა ათი მეტი ომი მიხილავს, მაგრამ სახელოვან ომებში ყოველგან ვხლებივარ მათ სიმაღლეს: აზათხანის ომში, რომ სამი ათასის ქართველით თერამეტი ათასი კაცი დაამარცხა უზარბაზნოთ ბატონმან, და იმისი ურდო მთლად დაგვრჩა, რომ განვმდიდრდით. ოთხი ათასის კაცით, აჯი ჩალიაფის შეილი თორმეტი ათასის კაცით მოსული ბორჩლოს დაამარცხა, და მრავალი ტყვე და საქონელი ვიშოვეთ. ივარის ხანი რვა ათასის კაცით მჭადის-ჯვარს იდგა,—დავამრცხეთ და მუირეს ჯარით და მრავალი დავხოცეთ და დავატყვევეთ. დანლიზში, ქიზიყის ბოლოს, ვძლიერ ლეკითა და მრავალი აღვხოცეთ და იმ ღამეს დედოფლის წყაროზედ მდგომარეობა, დაგვესხა სხვა უდიდესი ჯა-

რი თავსა მას გაქცეულს ლეკითან შეერთებული, და იგინიცა დავამარტეთ, დავწყვიტეთ. ხერთვისი ავიღევით და მრავალი ოსმალი დაეხოცეთ. აბდულა ხანი ბაგრატიონი, თორმეტი ათასის ყიზილბაშით მოვიდა, ციხეც თათრებს ეჭირათ და სოლოლაკზედ დავამარტეთ და ავწყვიტეთ. ასპინძას ოსმალისა და ლეკის ჯარზედ გავიმარჯვეთ, რომ რუსები დაგვიბრუნდნენ, არლა გვიშველეს. და სულ ის თათრის ჯარი მთლად ფარაოსავით მტკარში დავლუპეთ და მეფებან მოკლა თავისის ხელით კოხტა-ბელადი. ერევნის დიდს ომში იქ ვახლდი და რვა ათასი კაცი დავმარტეთ მეფის ძის გიორგის მიზეზით და გარჯილობით. ავარის ხანი ოცდა თოხი ათასის კაცით ყვარლის ციხეს შემომდგარიყო, სამასი კაცი წავედით დაუთალაბად და შევედით ციხეში და გავაქციეთ ეგოდენი ჯარი. მცხეთას მიმავალს ღამე დაგვხედა ლეკისა ჯარი, ჰსძლო მუნ ბატონმან, თავისის ხელითაც მოკლა ლეკი და ჩვენ სამთ ძმათა დაეხოცევით ლეკები, სამთავ მივართოთ თავები და მაშინ მიბორა ჯილდოდ ჯაბადართ-უხუცესობა და სხვა წყალობა“.

აი ასეთი სახელლეგანი კაცი ყოფილა მურვანის შეილების გვარში მეფე ერევლეს დროს. ჩემმა მობაასემ მიხეილ მურვანის შეილმა კვლავ განაგრძო:

„პაპაჩემის ძმას პეტრეს პყავდა ცოლად ახალციხელი ქართველი ქალი, კარგა აღზრდილი, ლვთისნიერი, მწიგნობარი, ხელ-საქმის კარგი მცოდნე. ამ მეუღლეთ მიეცათ ველში ვაუზევილი ვასილი, რომელიც დედობ აღზარდა ლვთის შიშში, და ასწავლა ქართული წერა-კითხვა და საღმთო წერილი.

„ვასილი ნიკიერი ყმაწვილი გამოვიდა, ისე შეუყვარდა საღმთო წერილი და წმიდათა ცხოვრება, რომ მოემზადა მღვდლად კურთხებულიყო. თათრობის დროს აბა აქ სად იყო ქართველი ეპისკოპოსი და მიტომ ვასილი წავიდა კისკიში, რადგან კისკიმი უფრო გახლოა (ტრაპიზონისკენაა).“

„յուլյոմի՛ն մա՛նին (1828 წ.) յունիկովուսոմճա ծերժեն յունիկովուսու տպագութու, հռմելմաւ մըզդլաւ պյուրտես զասուլու և գամուսութիւնիւ. զասուլ լըզդելմա յունիմօմա պյարանց գալմռուսա և պյա շըյրկու հուսու շըմռսելու սամլելու. անալուսիւս հռմ մոցուա, նասա, հռմ պուստ հուսու չարու շըմռնըմու լըմու (1828 წ. ացակուսու 15). եռա յունի սոլու նասյցահիմա յը մեսարց.

յարտզելուն գացցյեարճա և մացրց! զուոյիկրտ էկլայու ունիկոնա լմբրութա և գացըցըլու յարտզելունիւն—յունիկուն ելութիոց գացըուլուն մացրամ հայու մերյ յահսու և արւանի շյանց գաճասցու ուսմալուս, մա՛նին-յու տիցենու մըրյու, հռ հիյեն նըլուն լուցանցու. հիյենցու ալար լուցնեն սատարետնու, յարտզելու յունիկուն յուցըլուս յանունուա, տատրեն անձայու հիյեննեց ուրուն չապրսաս, հռգան յարտզելունիւն սոսարունու շըյլունու հուսու չարս հուուպ-յու շըյմլու, հռա գայնիունուա սոյարս արւանունցան մուցլու սուցըլու զըլու և մամահեմու մա՛նին նամունցա սուցըլու և պյա հյեսան դաշտալուու. մարտու հիյենու ոչչասիւճան տուրմերու պյանու նամունու.

„զասուլ մըզդըլու մա՛նինաւց պյումա նասյցահիմա չապանցու համընմեց սուցըլու մըրյըլուա: նոչչառու, ենիսածայրա, զահյանու, տույու և սեց. եռլուս չապաթետու և նամունցա սուցըլուս, սասա-յու յարտզելու յունիկունու դարինունուու, նոցու սիսալուզ և նոցու մալունուա, մատաւ որու մըզդըլու միցնունու—յուուլուցըլու նոյունու մըզդըլու և նամունցա նըրու մըզդըլու.

„տաես նըլուսա զոյսաց մյ, հռոցքսաւ զասուլ մըզդըլուն տայստան նամունցան, լցուու սոյսահուն միջուն և սալմտու նըրուն մանիսաւնուա. ամ հյեսան մա՛նին յուրույու մըզդըլուն, հռմըլու, հռոցու նըմու մոցասենցու, տումլս յարտզելու ույու, մացրամ յարտունու լուցունցունու և ծերինունու կու նըմուն սինուազդա, հռգան տատրունուս մըրու սեցա յնա արունու. ծոլուս և ծոլուս յարտունու պուրատու նըունիսաւն

და ჩემს ყმაწვილობაში მახსოვეს, რამდენჯერაც რეხაში მივდი-ოდი, ქართულად წავუკითხამდი ხოლმე სამოციქულოს და ორიოდე ძილის პირიც ვიყოდი გალობით. საწყალი ბერი-ჯა-ცი მღვდელი ისეთის აღტაცებით მოისმენდა ხოლმე ქართულ გალობას და სამოციქულოს, რომ სიხარულის ცრემლები ღა-ჟა-ღუპით გაღმოსდიოდა.“

ბოლოს ჩემმა მოძაასემ მითხრა, რომ ვასილ ღვდლის ამ-ბებს კიდევ მერე გეტუვიო.

მართლაც და, როგორც შევიტყე, იმ დროის ღვდლების შრომა და კეთილ-მოლვაწეობა, განსაკუთრებით ორბელიანისა, რომელსაც თათრებმა ახალციხეში თავი მოჰკვეთეს, სულხანი-შვილებისა, რომელთა გვარშიაც ცი მღვდელი გამოსულა და აგრეთვე ვასილ, პეტრე და ნიკოლოზ მღვდლებისა, საქმაო ამ ლირს-პატივცემულ მამათა ცხოვრება და მოღვაწეობა აწე-როს, რომ მთელი მესხეთისა და ჯავახეთის, მათის დროის (1800—1853 წ.) ისტორია შესღებეს.

თ ა გ ი IV.

„ზოგი ჭირი მარგებელია!“ — როგორ უშეველოთ რეხელ ქარ-თველები? — პატია ელემენტთა თვისება და ეს ქართველო-ბა. — რაში იხატება რეხელების სამშობლოსადმი მი-სწრაფება? — საკიდავო, რეხელები!..



აც იყო, იყო, ეჭ! დავანებოთ თავი წარსულზე ამდენ ჩივილ-ტირილს: სჯობს წარსული მაგალითი გავითვალისწინოთ და ჩვენს აწმყოს იმის და გვარად გავუძღვეთ. ნათქვამია: „ზოგი ჭირი მარგებელია!“. წარსულმა უბედურებამ უბედობა უნდა დასთრგუნოს, როგო-რათაც სიკვდილით სიკვდილი ითრგუნება — ეს ბუნების და ცხოვრების კანონია.

თქვენ ეს მიპრანეთ, ახლა რა უშეელოთ და როგორ ვუშველოთ ამ რეხელ ქართველობას?.. ბევრჯელ ვინატრე: ქართლის რეხა აქ გაჩენილიყოს და წალკის რეხა ქართლში.

ქართლის რეხის სკოლა ამ რეხაში მოქმედებდეს და იმ რეხის მღვდელიც ამ რეხაში მოლვაწეობდეს...

დიახ, მე ისევ ჩემი რეხელების მოციქული ვარ...

67 წელიწადი შესრულდა, რაც ეს ჩვენი მოძმე რეხელი ქართველობა თაორების კლასებიდან ჩვენვე დაგვიძრუნდა. მერე? გვიზრუნია რამ ამ ხალხისათვის? — არაუგრი. არცა ვიცოდით ამ ხალხის ქვეყანაზე არსებობა, არამც თუ გაგვერიგებინოს რამე. ვინ ჰყავთ გულ-შემატკივარი? არავინ. ვინ უნდა გამოჩნდეს ამათი ჭირისუფალი? — ჩვენ. ვინ არის ზეობრივი მოვალე იმათ დაეხაროს? — ჩვენ.

ჰაერი, რომლითაც ჩვენ ვსუნთქამთ, ორის მარტივის საეულისაგან შესდგება — აზოტისაგან (79 წილი) და მეავბადისაგან (21 წილი). ვინ იცის, რამდენი ათასი მილიონი წელიწადია, რაც ეს ორი გაზი ერთად არიან არეულნი და ერთად მოქმედებენ, მაგრამ მის დღეში ესენი ერთმანეთს არ შეუერთდებიან და არ შეუსისხლხორციელებიან — აზოტს თავისი ბუნებრივი ზე-ხასიათი ყოვლად შეუცვლელად რჩება, მეავბადს თავისი.

ამ ვარადვე რეხელი ქართველობა თუმცა სამ საუკუნე-ზე მეტია სტოკორბს სხვა ეროვნებასთან ერთად, მაგრამ ესენი მათ ვერ შეუერთ-შეუსისხლ-ხორციელებიან. ხოლო ბუნებით ვე დაყოლილ კანონის ძალით, რომლითაც შობილი მშობელს ეტონება, რეხელებიც სულით და გულით ელტვიან ქართველობას, მაგრამ მოთავე არავინ ჰყავთ, რომ ბუნებრივ სულ-თა-სწრაფეს საჭირო გაუძლვეს.

აი რაში გამოიხატება ამათი ქართველობა და მისწრაფება ქართველობის მიმართ.

რეხელები ბერძნის ქალს არ იჩივენ და არც ქალს მია-

თხოვებენ. ძლიერ იშვიათად დარიბი ვიწმე უნდა იყოს, რომ ან ითხოვოს, ან მიათხოვოს ბერძენს ქალი, ხოლო ჩეხელებს ქართველი ქალები მოჰყავთ—თონეთიდამ, გომარეთიდამ, კლდე-ისიდამ და ჯავახეთის უცელა ქართველ სოფლებიდამ და ამათ-ვე მიათხოვებენ ხოლმე თავიანთ ქალებს, მისელა-მოსელა და ნათელ-მირონი აგრეთვე ზემოხსენებულ ქართველებთან აქვთ. ჩატა-დახურვა ვაჟთა და ქალთა ისეთივე აქვთ, როგორც ზე-მოხსენებულ სოფლებში ქართველებს. მოწყობილება ოჯაბში, ავეჯეულობა და ვამა-სმაც იგივეა, რაც ჯავახელ ქართველს აქვს.

კომლეული აღწერის დროს, ვიღაც ჭკუის-კოლოფ ვაჟ-ბატონებს ურჩევიათ რეხელებისთვის ბერძნად ჩაწერეთ, მა-გრამ ამათ თურმე უპასუხეს:

„რას ამიბ, ყარდაშ, რა გვიგავს ბერძენს? სადაური ბერძენი ვართ, როდესაც ნამდვილად ვიცით, რომ ჩეენი მამა-პა-პა ქართველები იყვნენ და ჩეენი ნათესაობა დღესაც ქართლ-ში ცხოვრობდნო.“ ამიტომაც ამათგან გამოყვანილი „სალდა-თი“ გორში მიღის ქართველებთან ერთად და არა წალკის ბერძნებთან.

ახლა ერთი ეს მიბანეთ, ცოდვა არ არის ამოდენა ხალ-ხი ასე უყურადღებოდ დავტოვოთ? მასხარობა არ არის, რომ ამ ქართველ ხალხს ბერძნულად ჭერდეს წირვა-ლოცვა, რო-მელიც არც მღვდელს ესმის და არც ერსა? სირცხვილი არ არის ჩვენთვის, რომ ამ მართლ-მაღიდებელ ქართველ ხალხს სახარებას თათრულად უკითხსავენ, აღსარების თათრულად ათქმევინებენ და ოჯა-შიაც ძალა უნებურად დედა-ქნად თათრული ენა გახდომიათ?..

საცოდავო რეხელებო! თქვენ არ იმედით მოგიხარიდათ ქართველ მომეებისკენ გაღმოსახლება და არ გულ-გრილობა, უმეტესად დაგვხედათ! სა....მო....ცი წე....ლი....წა....დი სცხოვრობთ ჩეენში და ჩეენ, სამოცი სიტყვაც არ დაგვიხა-ჯავს თქვენს სასარგებლოდ.

ნეტა ვიცოდეთ, რა გაქირდა ამათთვეს ერთი პატიოსანი ქართველი მღვდელი და მასწავლებელი!

როგორც ამ ხალხმა ამისხნა, ესენი სასუჯვეელივით მო-
ელიან ქრისტეს მღვდელს და ქართულ წირვა-ლოცვებს, სამ-
რევლო სკოლას და ქართველ მასწავლებელს, რისთვისაც შზად
არიან ყოველივე ხარჯი იყისრონ სკოლისათვის და ღვდლი-
სათვის— „პანი, ბატონო, პატრიონი!“ ასე დააბოლოვეს ჩემ-
თან საუბარი რეხელმა ქართველებმა.

ვაჟ ესთოვთ, ვისაც შეუძლიან და ვისგანაც დამოკიდებულია, დახმარება აღმოყჩინოს ამ 700—800 სულს მართლ-მადიდებელ ქართველობას, რომელნიც ჩვენი, ქართულის და-უდევრობის და უთაურობის გამო, დღეს ამისთანა სასაცილო მდგომარეობაში არიან.

სხვა არა იყოს-რა, ამდენი სული ქართველი ქალები მა-
ინც შეიძრალეთ, რომელნიც აქ რძლად მოსულან და კელავ
მოვლენ, რომელთაც არც თათრული, არც ბერძნული არ
იყიან და ვერც აღსაჩების თქმა შეუძლიანთ და ვერც ბერძ-
ნულ-თათრულის წირვა-ლოცვის მოსმენა.

თუ არა და ეს ხუთმეტი კომლი ქართველობა ხომ ქართლიდამ მოსულიან და აქ ჩეხაში დასახლებულიან, რომელნიც ვინ იცის ეხლა ას სულოედ მეტი არიან. ამათ, ამ ას სულს, რაღა გრალი აქვთ, რომ ძალა-უნებურად ჩეენვე ვათათრებთ და დამახილებული ბერძნულ-თათრული წირვა-ლოცვაც უნდა მოისმინონ...

ପାଠ୍ୟକର୍ତ୍ତାଙ୍କ ପଦିକାଳିକା । ୩୮

მეცნიერებათ:
გვ. 2 წ. 1 სტატუსი თური: დაპირის და უფლის:

50	25	ფარნეცუზები	ფარნეცუზები
51	4	ქარისტეს-	ქარისტე-
"	22	დაბმული სბო	რომ სბო
65	26	შეუწესარებელია	შეუწესალებელია
70	15	კს.	კს.
77	13	მიტულობს	მ-ტულობს
77	23	სართული	სართულის
81	8	საზოდო	საზოდოთ
90	7	„მ „ აქ	მ აქ
92	21	სიცოცხლით	ს-ცოცხლე
121	15	ღვინისა	ღვინისა
125	24	ჩამეცვალი	ჩამეცვალი
126	27	-პაქსი, მკრი	-პაქსიმარი
129	17	ნამგრევაზე	ნანგრევაზე
130	28	გაიშელის	დაგვისნის
135	2	მინდოოზე	მინდოოზე
137	18	უასევდად	უასევდად
142	4	ფრთხისაღი	ფრთხისაღი
161	18	რაო	—რაო,
"	19	—ჭო,	ჭო,
164	30	-შექმეურსებრიდმა	-შექმეურსებრიდმა
170	8	თაჭქილოსებები	თაჭქილისებები
171	2	არეს-მარეს	არე-მარეს
173	24	და ან	და ან
175	8	—ესენიც	ესენიც

